საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სამეცნიერო-პოპულარული სერია
„ათინათი“

ჯ. ჩედვიკი

ᲨᲘᲙᲔᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ინგლისურიდან თარგმნა,
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
თემურ ბუაჩიძემ

„მეცნიერება“
თბილისი
1989

63. 4(0)
ჩ 391

ჯ. ჩედვიკის „მიკენური სამყარო“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს მიკენური კულტურის სფეროში. ავტორი აქტიურად თანამშრომლობდა მ. ვენტრისთან, რომელმაც გაშიფრა B-ხაზოვანი დამწერლობა და რომელიც წარმოადგენს. უდიდეს სპეციალისტს მიკენოლოგიაში დღევანდელ დღეს. წიგნში განხილულია გვიანბრინჯაოს ხანის საბერძნეთის ცივილიზაციის ყველა ასპექტი. აღნიშნული წიგნის შემოკლებული თარგმანი არის პირველი ცდა — გააცნოს საბჭოთა მკითხველს უახლესი კვლევის შედეგები აღნიშნულ სფეროში. წიგნი გათვალისწინებულია ძველი ისტორიის, არქეოლოგიისა და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტებისათვის, ასევე ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი. რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი

რეცენზენტები: აკად. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე
ისტ. მეცნ. დოქტორები: გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე,
ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე.

J. Chadwick

The Mycenaean world

© Cambridge University press

This book was originally published in the English language by Cambridge University Press of Cambridge, England.

ჩ 0502010000 / М 607 (06)—89 247—89

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989

ISB 5—520—00497—8

მთარგმნელის წინასიტყვაობა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბერძნეთმა უდიდესი როლი შეასრულა ყოველი ერისა თუ ქვეყნის ისტორიაში, კულტურის განვითარების საქმეში. ბერძნული ენიდან თითქმის ყველა ერის ენაში მრავალი საკუთარი თუ საზოგადო სახელი გადავიდა. ენგელსი აღნიშნავდა: „იმ საფუძვლის გარეშე, რომელიც ძველმა საბერძნეთმა და რომმა ჩაყარა, არ იქნებოდა არც თანამედროვე ევროპა". რაც საბერძნეთია ევროპისათვის, იგივეა მიკენი საბერძნეთისათვის. ფართო მკითხველისათვის უდავოდ საინტერესოა გაეცნოს ცივილიზაციას, არსებულს საბერძნეთში კლასიკურ ბერძნულ ცივილიზაციამდე გაცილებით უფრო ადრე. ამ პერიოდის კულტურაზე ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ ნაშრომს წარმოადგენს ჯ. ჩედვიკის წიგნი, რომლის შემოკლებულ თარგმანს ვთავაზობთ ჩვენ ქართველ მკითხველს. ავტორი „მიკენური სამყაროს" დასაწყისში აღნიშნავს რა ბერძნული ენის ღირსებას, ურთავს თანამედროვე ბერძენი პოეტის ა. ა. სინოპოულოსის სიტყვებს: „კვლავაც გაისმის ოცდაცამეტსაუკუნოვანი ზარების რეკვა".

ვერ ვიტყვით, რომ განვიცდიდეთ იმ წიგნების ნაკლებობას, რომლებშიც აღწერილია საბერძნეთის ცივილიზაციის განვითარება გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში — ძვ. წ. XVI—XIII საუკუნეებში. აღნიშნული პერიოდი ცნობილია როგორც მიკენური პერიოდი და თითქმის ყველა წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო ამ ეპოქის საბერძნეთის ცივილიზაცია, ეკუთვნის არქეოლოგებს, ხოლო მათი ყურადღება ყოველთვის კონცენტრირებულია ნივთიერ საბუთებზე — ისტორიული ცნობები მოცემულია არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით. მხოლოდ 1939 წლიდან გახდა ცნობილი მიკენის სასახლეების წარწერები, ხოლო 1952 წლიდან — მ. ვენტრისის მიღწევები B-ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრის საქმეში, აქედან კი ის ფაქტი, რომ XIV საუკუნის მიკენური ფირფიტები შესრულებული იყო ბერძნული ენის არქაულ დიალექტზე. მ. ვენტრისს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია წინამდებარე ნაშრომის ავტორმა. ჯ. ჩედ-

ვიკს ზემოაღნიშნული დამწერლობის გაშიფვრის ისტორია აღწერილი აქვს წიგნში — „B-ხაზოვანი დამწერლობის დეშიფრირება“ (კემბრიჯი, 1958 წ. XI გამოცემა)*.

წინამდებარე წიგნის ავტორს ჯ. ჩედვიკს კარგად იცნობენ სპეციალისტები, განსაკუთრებით 50-იანი წლების შემდეგ, რადგანაც იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მონაწილეობა მიიღო მაშინ ჯერ კიდევ უცნობი დამწერლობის გაშიფვრის პროცესში და ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც რეალურ შედეგს მიაღწია.

ამ დროიდან მოყოლებული მკვლევარებს მრავალმხრივი საშუალება მიეცათ მიკენური საბერძნეთის კვლევის საქმეში. აუცილებელი გახდა ისეთი წიგნის შექმნა, რომელშიც აღწერილი იქნებოდა მიკენური სამყარო ისე, როგორც მას წარმოგვიდგენენ წარწერებიანი ფირფიტები.

მოვლენები, რომლებიც ფირფიტებზეა ჩაწერილი უცნობ გადამწერთა და მოხელეების მიერ, ამჟამად მკვლევართათვის მისაწვდომი გახდა. რასაკვირველია, ბერძნებმა მინოსელებისაგან, რომელნიც მათ დახვდნენ ეგეიდში, გადაიღეს დამწერლობის სისტემა, რომლითაც ბერძნული ენა წარმოგვიდგინეს ფირფიტებზე.

ფირფიტების შინაარსი, ერთი შეხედვით, უინტერესო ჩანს: სახელების გრძელი ნუსხა, უცნობი მოხელეების ჩანაწერები შინაური ცხოველების, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების ანგარიშწარმოების შესახებ. მაგრამ ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე ჩანაწერებიც დეკორირებული მაგიდებისა და მდიდრულად მორთული ეტლების შესახებ, რომელიც თითქოს ერთგვარად არღვევს მონოტონურობას.

ფირფიტების მთავარ ღირსებას მათი აშკარა უტყუარობა წარმოადგენს, რადგანაც ისინი შეიცავენ სიტყვებსა და გამოსახულებებს, შედგენილს იმ ხალხის მიერ, რომელმაც შექმნა ცივილიზაცია, და რასაც ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებიც ადასტურებენ.

მკვლევარებს არა აქვთ იმის საშუალება, რომ ზუსტად დაათარიღონ მთელი ბრინჯაოს ხანის მოვლენები საბერძნეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. ისინი ძირითადად ეყრდნობიან არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ნივთების სტილსა და ზოგ შემთხვევაში, ამას უფარდებენ უფრო ზუსტად დათარიღებულ ეგვიპტის ისტორიას.

კლასიფიკაციის მიხედვით არქეოლოგები განასხვავებენ ადრეულ, შუა და გვიანდელ ბრინჯაოს ხანას. ეს პერიოდები თავისთავად იყო-

---

* Чедвик Дж. Дешифровка линейного письма-Б. Перевод с английского Г. А. Барановой в сборнике: Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. М., Прогресс, 1976, с. 105—250.

ფა ქვეჯგუფებად, ესენი კი, თავის მხრივ, ფაზებად. წიგნის ავტორი წინამდებარე ნაშრომში მოვლენებს ათარიღებს საუკუნეებით და მიუთითებს — „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დათარიღება მაინც მიახლოებითია". ქვემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი მოვლენების ავტორისეული დათარიღება:

საუკუნე ძვ. წ.

XX საუკუნე (ან უფრო ადრე) — ბერძნების წინაპრები მკვიდრდებიან საბერძნეთში.

XVI საუკუნე — გვიანჰელადური ან მიკენური პერიოდის დასაწყისი.

XV საუკუნე — დასაწყისში, ძლიერი ვულკანური ამოფრქვევები თერაზე. ბერძნები შეიჭრნენ კრეტაზე (დაახლოებით აღნიშნული საუკუნის შუა პერიოდი).

XIV საუკუნე — კნოსოსის დარბევა (გვიანმინოსური III-A პერიოდის დასასრული. III-B გვიანმინოსური პერიოდის დასაწყისი).

XIII საუკუნე — მიკენური ცივილიზაციის მწვერვალი; მიკენური სამყაროს დასასრული — თებეს, მიკენის, პილოსის და სხვა ქალაქების განადგურება.

XII საუკუნე — გვიანჰელადური III-C პერიოდი.

VIII საუკუნე? — ჰომეროსის ხანა.

წინამდებარე წიგნში ავტორს მიკენური სიტყვები უცვლელად აქვს დატოვებული, რასაკვირველია, თარგმანშიც ეს სიტყვები უცვლელად გადმოვიტანეთ. თარგმანში უცვლელადაა დატოვებული აგრეთვე კლასიკური პერიოდის ბერძნული სიტყვები და დასახელებანი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია აიხსნას ის პრინციპი, რომლითაც თვით ავტორი სარგებლობს მათ გადმოსაცემად.

B-ხაზოვანი წარწერების ტრანსკრიფცია გადმოცემულია ორი სახით:

1. წარწერების ნიშნების პირდაპირი ტრანსლიტერაციით, სადაც მარცვლები დეფიზის საშუალებით არის დაყოფილი. მაგალითად, a-to-ro-go.

2. სიტყვები წარმოდგენილია გამოსათქმელი ფორმით, მაგალითად, a-to-ro-qo-სთვის გვექნება anthrōquōi.

კლასიკური სიტყვების გადმოსაცემად ავტორი იყენებს ლათინურ ტრანსკრიფციას. რიცხვითი სახელების გადმოსაცემად ტრანსკრიფცია უფრო მარტივია, რადგანაც მიკენური რიცხვითი სახელები მსგავსია რომაული რიცხვითი სახელებისა. რაც შეეხება იდეოგრამებს, აქ საქმე უფრო რთულადაა, რადგანაც ისინი ბერძნული სიტყვების დამწერლობას არ შეესაბამება. ჩანს, რომ იდეოგრამების შესაქმნელად გარ-

ქვეული თავისუფლება არსებობდა. მაგალითად, სხვადასხვა ჰურჭლის აღსანიშნავად გამოყენებულია პატარა ზომის სქემატური სურათები. ფირფიტებზე, მათ გარდა, ვხვდებით პირობით ნიშნებსაც იდეოგრამების სახით და მათი უმრავლესობის მნიშვნელობა მკვლევართათვის ცნობილია. აქედან გამომდინარე, ნაშრომში აღნიშნულია მხოლოდ მათი მნიშვნელობა.

ცალკე პრობლემას ქმნის ზომა-წონის ნიშნები. მაგრამ ეს პრობლემა მკვლევარებმა გადაჭრეს პირობითი ნიშნების სისტემის შემუშავებით, სადაც ნიშნების აღსანიშნავად გამოიყენეს ალფაბეტის დიდი ასოები — L-დან Z-მდე, თანამიმდევრობით. ამ ნიშნების გამოყენებას პრაქტიკულად მკითხველი შეხვდება VII თავში.

ბერძნული ტოპონიმების ქართულ ენაზე გადმოცემისას მაქსიმალურად ვითვალისწინებთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მიკენური სიტყვების ტრანსლიტერაციისას ლათინური ანბანით K-მ შეიძლება გადმოსცეს kh-ც, t-მ th-ც, p-მ ph-ც. ასევე არ გვაქვს, გარდა d-სა, მჟღერთა გადმოცემის სისტემაც. k, ჩვეულებრივ, გამოიყენება g-ს მაგივრადაც. ასევე z-მ შეიძლება გადმოსცეს ts და dz. ასო r გამოყენებულია ტრანსკრიფციაში, მაგრამ ის ისმის ხან r-ს ხან კი l-ს ადგილას. g-ს აქვს gu-ს (ან kw-ს) ფუნქცია, და შეიძლება მისი ასპირაცია (guh) ან გამჟღერება (gu). არ არის ნიშანი h-სათვის. დანარჩენ თავისებურებებთან დაკავშირებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, წარმოვადგენთ შენიშვნებს.

ფირფიტების ტექსტების ანალიზი ნაშრომში განმტკიცებულია არქეოლოგიური და სხვა დამხმარე მასალებით. წიგნის ძირითად მიზანს წარმოადგენს გვიჩვენოს, თუ რას მოგვითხრობენ ფირფიტები, როგორ შეერწყა ეს ცნობები აქამდე არსებულ წყაროებს და რა შედეგია მიღწეული მათი ანალიზის პროცესში. სწორედ ამით განსხვავდება წინამდებარე ნაშრომი სხვა ნაშრომებისაგან, რომლებშიც ყურადღება უპირატესად გამახვილებული იყო არქეოლოგიურ მასალებზე.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს წიგნის ავ-კარგზე მსჯელობა, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ წიგნი საინტერესო იქნება არა მარტო ანტიკური ხანის ისტორიის შემსწავლელთათვის, არამედ ფართო მკითხველისთვისაც. წიგნი პირველად ითარგმნება ჩვენს ქვეყანაში და გასაგებია ის პასუხისმგებლობა, რომელიც მის დასტამბვასთან არის დაკავშირებული.

თარგმანი წარმოდგენილია შემოკლებული სახით. შეკვეცა მოხდა მეორეხარისხოვანი პრობლემების ხარჯზე. იმედი გვაქვს, რომ შემოკლების შედეგად მიკენური სამყაროს ავტორისეული სურათი არ შე-

ცვლილა და წიგნი უფრო დაუახლოვდა ფართო მკითხველის ინტერესებს.

თარგმანი, ალბათ, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ, თუკი ის ქართველ მკითხველს მცირეოდენ სამსახურს მაინც გაუწევს, მთარგმნელი გამართლებულად ჩათვლის თავის შრომას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროფ. რ. გორდეზიანს თარგმანზე მუშაობის პროცესში გაწეული კონსულტაციებისა და დახმარებისათვის.

ჯ. ჩედვიკის „მიკენური სამყარო" ითარგმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილებაში.

თავი I

საბერძნეთის ელინიზაცია

წარსულზე საუბრის დროს, უშინაარსო შეკითხვებზე ადვილი არაფერია. მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში, ეს კითხვები კეთილგონივრული აღმოჩნდება ხოლმე. მაგალითად, კითხვა: „სად იყვნენ ინგლისელები, როცა იულიუს კეისარი ბრიტანეთში შეიჭრა"?. ამ კითხვაზე, რასაკვირველია, პასუხი არ გაიცემა, ვინაიდან იმ პერიოდში ბრიტანეთში არ არსებობდა მოსახლეობა „ინგლისელები", როგორც ასეთი. ასეთივე კითხვა შეიძლება დაისვას, მაგრამ უფრო ფრთხილად — „როდის დამკვიდრდნენ ბერძნები საბერძნეთში?" ფრთხილად იმ ვარაუდით, რომ ბერძნები არსებობდნენ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. ეს კითხვა ხშირად წამოიჭრება ხოლმე და, ჩვეულებრივ, იგი (მეტ-ნაკლებად) უპასუხოდ არ რჩება.

ორივე განხილულ მაგალითში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ „ბერძნებს" ან „ინგლისელებს". აქ მე ვგულისხმობ, შესაბამისად, ბერძნულ ან ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფს. ბერძნული ენა ცნობილია ძვ. წ. XIV საუკუნის საბერძნეთისა და მოგვიანებით, აგრეთვე (როგორც კოლონიზაციის შედეგი) სხვა ქვეყნების დოკუმენტური მასალებიდანაც. მაგრამ ამ ენის სამშობლო ყოველთვის იყო ახლანდელი საბერძნეთის ტერიტორია, თუმცა მისი საზღვრები ჩრდილოეთით არ იყო ისე ვრცელი, როგორიც დღეს არის.

ბერძნული ენის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ჩანს, ისტორიული პერიოდის გარდა, მას არავითარი კვალი არ დაუტოვებია საბერძნეთის ფარგლებს გარეთ. უძველესი საბერძნეთის რუკაზე მრავალი ადგილის დასახელება, რომელთაც ბერძნულ ენაზე მნიშვნელობა არა აქვთ, უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ოდესღაც აქ სხვა ენა იყო გაბატონებული, მაგრამ კერძოდ რომელი, არ არის ცნობილი, დასახელებანი, როგორიცაა—Korinthos, Zakunthos, Athānai (ათენი), Mukānai (მიკენი), Knōsos (ტრადიციულად მიღებული ფორმა Knossos — არასწორია), Amnisos, Tulisos, უდავოდ წარმოქმნილია უცნობი ენისაგან, რომელზედაც ადრე მეტყველებდნენ საბერძნეთში. ცხადია, რომ წინაისტორიულ საბერძნეთში არაბერძნულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეო-



სურ. 1. საბერძნეთის ელინიზაცია (მიკენური საბერძნეთი და ეგეოსის კუნძულები).

ბის არსებობის ფაქტმა სწავლულების წინაშე დასვა კითხვა: როდის დამკვიდრდნენ ბერძნები საბერძნეთში?

ტრადიციული შეხედულება, რომ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე მეომრებმა გაილაშქრეს ბალკანეთში საბერძნეთის დასაპყრობად, მოძველებულია. იგი განმტკიცდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსათვის გამოჩენილი ავსტრიელი ლინგვისტის პაულ კრეჩმერის ნაშრომში. ყველაზე ხშირად ზემოხსენებულ თეორიას აყალიბებენ შემდეგი ფორმით: საბერძნეთის ტერიტორიაზე შეიჭრა დამპყრობთა სამი ტალღა; ხშირად მათ, ბერძნული ენის კლასიკური დიალექტების შესაბამისად, უწოდებენ: იონელებს, აქაველებს და დორიელებს. არქეოლოგიური საბუთების მიხედვით, შესაძლებელი გახდა ამ მოვლენათა დათარიღება: იონელები შეიჭრნენ დაახლოებით ძვ. წ. XX საუკუნეში, აქაველები XVI საუკუნეში, ხოლო დორიელები კი XII საუკუნეში. მაგრამ ამ ვერსიას აქვს ერთი სუსტი მხარე: XII საუკუნის დორიელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე 800 წელი მონათესავე იონელებთან კონტაქტები გაწყვეტილი უნდა ჰქონოდათ, ჯერ კიდევ იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რომლებზედაც იონიელები, თუ არ გავითვალისწინებთ უმნიშვნელო განსხვავებას. ანალოგები გვაფიქრებინებს, რომ ამ ხნის მანძილზე წარმოქმნილი განსხვავებები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ეს გვაქვს აღნიშნულ შემთხვევაში. შესაბამისად, ვცადოთ სხვანაირად ავხსნათ ფაქტები. წამოვაყენოთ ჰიპოთეზა, რომ ბერძნული ენა არ არსებობდა ძვ. წ. XX საუკუნეში, არამედ იგი წარმოიშვა საბერძნეთში ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა ენაზე მოლაპარაკე დამპყრობლების შერევის შედეგად. ძნელია ვუპასუხოთ კითხვას, თუ რა იყო ეს სხვა ენა. ბერძნული ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ჯგუფს. ამ ოჯახის ენების უძველესი წერილობითი მასალების ურთიერთშედარებით შესაძლებელია აღვადგინოთ წინაისტორიული ენის, რომელსაც ჩვენ პროტოინდოევროპულს ვუწოდებთ, დიდი ნაწილი. საეჭვოა, რომ საბერძნეთის დამპყრობლები ლაპარაკობდნენ წმინდა პროტო-ინდოევროპულ ენაზე. მაგრამ ბოლოსდაბოლოს, ჩვენ შეგვიძლია მათი ენის მრავალი ელემენტის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ძნელია განისაზღვროს განვითარების ის ზუსტი საფეხური, რომელზედაც ენა დამპყრობლების გამოჩენის დროს იმყოფებოდა.

წინარე ბერძნებმა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მიაღწიეს საბერძნეთის ტერიტორიას, შეერიენენ ადგილობრივ მოსახლეობას და ისესხეს მათგან უცნობ საგანთა სახელწოდებები. ადგილობრივ მკვიდრთა მიერ ბერძნულის არასწორმა გამოთქმებმაც დასაბამი მისცა ამ ენის მუდმივ ფონეტიკურ ცვალებადობას. განსაკუთრებით საინტერესოა ნასესხები სიტყვები. ისინი მოიცავენ მრავალი მცენარისა და ცხოვე-

ლის სახელებს. ჩვენ ახლაც ვხვდებით ბერძნულში ხის გარკვეული ჯიშის აღმნიშვნელ სიტყვას — კვიპაროსს და აგრეთვე სიტყვებს, რომ-ლებიც გამოხატავს სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის დასახელებას.

ბერძნული ენის დიალექტებად დაყოფის პროცესი, როგორც ჩანს, მიმდინარეობდა მხოლოდ საბერძნეთის ტერიტორიაზე. საგულ-ისხმოა, რომ არც ეს თეორია წარმოქმნის რაიმე პრობლემებს არქეო-ლოგიური თვალსაზრისით. ე. წ. წინარე ბერძნების დამკვიდრება სა-ბერძნეთში შეიძლება დათარიღდეს არაუგვიანეს ძვ. წ. XIX საუკუ-ნით. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომელთა მიხედვითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები საბერძნეთში უნდა მომხდარიყო უფრო ადრეც — ძვ. წ. XXII საუკუნეში, როდესაც მრავალი ქალაქი დაინგრა და შემდეგ კვლავ აღდგა. ცვლილებები, რომლებიც, არქეოლოგების მტკიცების თანახმად, მოხდა ძვ. წ. XVI საუკუნეში, სრულიადაც არ არის სავალ-დებულო დავუკავშიროთ ახალი ხალხების შემოჭრას საბერძნეთის ტე-რიტორიაზე. ამ ცვლილებების მთავარი მიზეზები უნდა ვეძებოთ სა-ბერძნეთზე კრეტას დიდ გავლენაში.

მიკენური პერიოდის დასასრულის მოვლენები პრობლემატურია. ბერძნული ტრადიციები მიგვანიშნებენ, რომ სწორედ ამ პერიოდისათ-ვის ბერძნული ეთნოსის ერთ-ერთი განშტოება — დორიელები — შეი-ჭრნენ პელოპონესში. ტომები, რომლებმაც დაიპყრეს თითქმის მთელი პელოპონესი ცენტრალური ნაწილის გარდა, თავიანთ თავს დორიე-ლებს უწოდებდნენ და ლაპარაკობდნენ ბერძნული ენის მონათესავე დიალექტებზე. მაგრამ შეუძლებელი გახდა არქეოლოგიური მასალების მიხედვით აღმოგვეჩინა კვალი, რომელიც უშუალოდ ამ მიგრაციაზე მიგვითითებდა. თუ ისინი მოგვევლინენ ჩრდილოეთ საბერძნეთიდან, ეს ადგილი არ უნდა ყოფილიყო თესალია, რადგანაც მას უშუალო კავ-შირი ჰქონდა მიკენურ ცივილიზაციასთან. ერთადერთი მხარე, საიდა-ნაც შესაძლოა დორიელები დაძრულიყვნენ, არის ჩრდილო-დასავლე-თი საბერძნეთი, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, რომ ეტოლიისა და ეპი-რის მთებში ეცხოვრა ისეთ მრავალრიცხოვან მოსახლეობას, რომ მას დაესახლებინა სამხრეთ საბერძნეთი, რაგინდ სუსტი არ უნდა ყოფი-ლიყო მიკენელების წინააღმდეგობა. ვფიქრობ, ამ პრობლემას უნდა გამოვუძებნოთ გაცილებით მეტად საფუძვლიანი ახსნა, მაგრამ ვინაი-დან ეს საკითხი არ შედის ამ წიგნის კომპეტენციაში, განსაზღვრული შაქვს იგი შემოვინახო შემდგომი განხილვისათვის.

ჩვენ ახლა შევეცდებით მოკლედ აღვწეროთ და აღვადგინოთ სა-ბერძნეთის ისტორია ძვ. წ. XXII საუკუნიდან XII საუკუნემდე. ეს პერიოდი დაიწყო მეომარი ტომების თარეშით. მათ ჰყავდათ ახლან-დელზე მცირე ზომის ცხენები და ჰქონდათ განსხვავებული ტიპის კე-რამიკა. ჩვენთვის ჯერაც უცნობია, თუ საიდან მოგვეელინენ ეს ტო-

მები. თავდაპირველად ისინი დამკვიდრდნენ ცენტრალურ საბერძნეთსა და ჩრდილო პელოპონესში. ეს ტომები შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და შექმნეს ბერძნული ენა, რომელიც შემდეგ გავრცელდა მთელ კონტინენტზე, ალბათ, მაკედონიის გარდა. ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუ როდის აითვისეს ბერძნებმა კუნძულები. თუკიდიდე ლაპარაკობს კრეტელების პრივილეგიაზე ამ არეში და არქეოლოგიური სიზუსტით ასკვნის კარიელების (ხალხი, რომელსაც იგი იცნობდა როგორც სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიის მკვიდრთ) არსებობას ამ კუნძულებზე. კუნძული კრეტა დაპყრობილ იქნა ძვ. წ. XV საუკუნემდე და ეჭირათ იმ ტომებს, რომლებიც ბერძნულად არ ლაპარაკობდნენ, ვინაიდან ჩვენ გაგვაჩნია მათი ენა წერილობითი სახით და მაინც არ შეგვიძლია მისი იდენტიფიცირება. ეჭვგარეშეა, რომ ეს ენა არ არის ბერძნული (ჩედვიკი, 1967. 12—15, 154—56). ამ ენას ეხვდებით B-ხაზოვანით შესრულებულ თიხის ფირფიტებზე, და სხვა წარწერებში, რომლებიც ნაპოვნია კრეტის მრავალ ადგილში და ეგეოსურ კუნძულებზე: ქიოსზე (Kēa — ატიკაში), კითერაზე (Kithira — ლაკონიაში), მელოსზე (milos), როდოსზე და თერაზე (Santorini)*.

სწორედ თერადან ვიცით ყველაზე მეტი კუნძულებზე მინოსური პერიოდის შესახებ. აკროტირის (Akrotiri) ფართო მასშტაბის არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებიც მიმდინარეობდა აწ განსვენებული პროფესორის ს. მარინატოსის ხელმძღვანელობით, თავდაპირველად გამოაჩინა მხოლოდ ფერდობი, რომელიც უნდა ყოფილიყო დიდი ქალაქის სამხრეთი ნაწილი. მიუხედავად ამისა, აქ აღმოჩნდა შენობების მთელი კომპლექსები, ქუჩები და მოედნები 7—8 მეტრის სიმაღლის ქედლებით. თუმცა არც ერთ აქამდე გამოკვლეულ შენობას არ ჰქონია მინოსური სასახლის ტიპური განლაგება. ისეთი, რომელიც კარგად არის ცნობილი კრეტადან. საუცხოო ქვის წყობა და შესანიშნავი ფრესკები მოწმობს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კარგი ტიპის სასახლეთან. ეს მხარე დასახლებული უნდა ყოფილიყო გავლენიანი მოსელეებით და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი წარმოადგენს კრემლის ტიპის კომპლექსს.

დაახლოებით ძვ. წ. XVI საუკუნეში მინოსური გავლენა კონტინენტურ საბერძნეთში მკაფიოდ გამოიხატა. აქ, როგორც ჩანს, დაპყრობას ადგილი არ ჰქონია. მოსახლეობა, რომელსაც უკვე შეიძლებოდა ბერძნები რქმეოდა, იყო მეომარი ხალხი, დაინტერესებული იარაღითა და ნადირობით. ეს მაშინ, როდესაც მინოსელები ცხოვრობდნენ ღია სასახლეებში, ბუნებრივ დაცვას მოკლებულ ადგილებში.

---

* ფრჩხილებში მოგვაქვს თანამედროვე ბერძნული გამოთქმა ამ სახელწოდებისა.

როგორც ჩანს, კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიაზე ცივილიზაცია კრეტიდან უნდა შემოსულიყო. მინოსელებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ასპარეზობა ხარებით. ამას ცხადყოფს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ფრესკები და ხელოვნების სხვა ნიმუშებიც. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სპორტის ამ სახეობას არა-



სურ. 2. თიხის ფირფიტები ენოსოსიდან, სადაც გამოსახულია B-ხაზოვანი წარწერები.

ვითარი კავშირი არა აქვს ესპანურ კორიდასთან, რადგანაც მოასპარეზე ადამიანები არ არიან შეიარაღებულნი. მოასპარეზეს შიშველი ხელებით უნდა გაეღიზიანებინა ხარი. ამის შემდეგ იგი კრიტიკულ მომენტში რაც შეიძლება მაღლა უნდა ამხტარიყო, რათა თავს გადაეღებოდა გამძვინვარებულ ცხოველს. მსგავსი სანახაობა ჯერ კიდევ პოპულარობით სარგებლობს სამხრეთ საფრანგეთში და მოასპარეზე ადა-

სურ. 3. [illegible] თერა

მიანისაგან მოითხოვს დიდ გამბედაობასა და სიმარჯვეს. საეჭვო არ არის, რომ ძველბერძნული ტრადიცია ამ სანახაობას მიიჩნევდა სისხლისმღვრელ მსხეკრპლშეწირვად. ხალხი, რომელმაც „ეესო ენაზე მოლაპარაკეს" უწოდა „ბარბაროსი", კრეტელებს კვლილშობილური სპორტის დანერგვის უფლებას არ დართავდა.

კრეტული ხელოვნება და ხელოსნობა, და ეკვეგარეშეა, კრეტელი ფერმწერები და ხელოსნებიც მრავლად გამოჩნდნენ კონტინენტზე. მეშწამს, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც ხდება დამწერლობის სისტემის ათვისება, კვლავ მინოსელებისაგან, ანგარიშის წარმოების მიზნით. რამდენადაც, ნებით თუ იძულებით, ხელოსნები ერთიანდებოდნენ, დიდგვაროვნებმა, თავიანთ პროდუქციაზე კონტროლის მიზნით, შემოიღეს ანგარიშის წარმოება. მინოსელებმა დიდი ხნის წინათ შეიმუშავეს ანგარიშწარმოების სისტემა და ამასთანავე, დამწერლობა გამოიყენეს სალოცავებზე მიძღვნითი წარწერებისათვის. ბერძნებმა გადაიღეს მინოსური დამწერლობის სისტემა, მიუსადაგეს თავიანთ ენას და სრულყვეს ანგარიშწარმოება. ძალზე მარტივი რეფორმა, რომელიც განახორციელეს, წარმოადგენდა თითოეული ჩანაწერის ახალი ხაზიდან დაწყებას. ამიტომ ფირფიტების ზომა, ჩვეულებრივ, შეესაბამებოდა ტექსტს, რომელიც მასზე უნდა გადაეტანათ.



სურ. 4. კნოსოსის სასახლე (მინოსური სასახლისეული ნიმუში).

მაგრამ მინოსურ სამყაროში ყველაფერი რიგზე არ იყო. ძვ. წ. XVI საუკუნეში მნიშვნელოვანმა მიწისძვრამ ძლიერი ზიანი მიაყენა თერას, და აშკარად იმავდროულად კრეტასაც. მსგავსი მოვლენა რეგისტრირებულია კნოსოსის, ფესტოს და კრეტის სხვა ადგილების არქეოლოგიურ შრეებზე. მოვლენები XVI საუკუნეში უნდა ყოფილიყო

განსაკუთრებით სასტიკი. მიუხედავად ამისა, როგორც კი სტიქია მიწყნარდებოდა, მინოსელები დაუყოვნებლივ აღადგენდნენ თავიანთ ქალაქებს და ცხოვრება კვლავინდებურად გრძელდებოდა. რასაკვირველია, მომდევნო პერიოდებისათვის შესამჩნევია მზარდი განვითარებისა და აყვავების ნიშნები.

სურ. 5. ჰაგია-ტრიადაში აღმოჩენილი ერთ-ერთი ვაზა, რომელზედაც გამოსახულია „ხარების სპორტი".

არცთუ დიდი ხნის შემდეგ, დაახლოებით ძვ. წ. 1500 წელს, პროფესორ მარინატოსის აზრით, კუნძულ თერას სასტიკი ზიანი მიაყენა მიწისძვრებმა, რომლებსაც თან ახლდა ვულკანური ამოფრქვევები. მოსახლეობის ნაწილი, სავარაუდოა მაღალი ფენა, გადასახლდა უფრო საიმედო კუნძულ კრეტაზე. მოგვიანებით თერაზე საშინელი უბედურება დატრიალდა. ვულკანმა კვლავ, ამჯერად უფრო ძლიერად, იფეთქა და კუნძულის ქალაქები ფერფლის ფენით დაფარა. ვულკანის მძვინვარებამ მიაღწია კლდოვანი მთის მასივებს და რამდენიმე მძლავრმა ამოფრქვევამ ამ მთების ნაწილი ზღვაში ჩარეცხა. ამჟამად ამ ადგილას დარჩენილია მხოლოდ კუნძულის ნაშთი. შემორჩა პატარა კუნძული, რომელიც ოდესღაც თერას დასავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. ისეთი მძლავრი ვულკანური ამოფრქვევები, როგორიც მოხდა კუნძულ თერაზე, ძალზე იშვიათი მოვლენაა. ეს ვულკანური ამოფრქვევა შეიძლება შევადაროთ კუნძულ სუმატრასა და იავას შორის მდებარე სრუტეში არსებულ კუნძულ კრაკატაუს კატასტროფას, რომელიც მოხდა ჩვ. წ. 1883 წელს.

ამ მეცნიერულად დამოწმებულმა შემთხვევამ დიდი კამათი გამოიწვია. მოსაზრება, რომელიც ამ მოვლენას უკავშირებს პლატონის მიერ მოთხრობილ უცნაურ ამბავს ჩაძირული მიწის — ატლანტიდის — შესახებ, შეგვიძლია ადვილად უარვყოთ იმის გამო, რომ თუ ეს ეხება თერას, პლატონის ცნობაში სამი მნიშვნელოვანი შეცდომაა (სივრცე, თარიღი და მდებარეობა), რომ აღარაფერი ვთქვათ ნაკლებად საყურადღებო შეცდომებზე; და თუ ეს ნამდვილად არის ამ მოვლენის შორეული ანარეკლი, მაშინ იგი ძალზე დამახინჯებული ცნობაა იმისათვის, რომ დაგვეხმაროს ჰეშმარიტების დადგენაში, თუმცაღა იგი გაართობდა გამოცანათა მოყვარულთ.

ვულკანური ამოფრქვევის შედეგები გავრცელდებოდა ყველგან. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მისი ხმა განსაკუთრებით ძლიერი და შემაშფოთებელი იქნებოდა. კრაკატაუს ვულკანური ამოფრქვევის ხმა გაისმა ავსტრალიაში, აქედან გამომდინარე, თერას კატასტროფას შეიტყობდა მთელი ეგეოსური კუნძულები ვულკანური ამოფრქვევის შემაძრწუნებელი გრგვინვის მეშვეობით. ვულკანიდან ამონატყორცნ ფერფლის ღრუბელს ცა უნდა დაეფარა ასობით კილომეტრზე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვულკანურ ამოფრქვევას ზღვაზე უნდა მოეხდინა — როცა კლდოვანი მთის კედელი იყოფა ორ ნაწილად და ირეცხება ზღვაში, მას შედეგად უნდა მოჰყვეს ისეთი ტალღების წარმოქმნა, რომელიც ცნობილია იაპონური ტერმინით — ცუნამი. ამ ტალღებს უნდა მიეღწია ეგეიდის კუნძულებამდე.

ეჭვგარეშეა, რომ სანაპირო ზოლის მთელი რიგი დასახლება ზღვაში ჩაირეცხებოდა, მაგრამ ამის დასამტკიცებლად არა გვაქვს არ-

ქეოლოგიური მასალები. უფრო მეტიც, ზღვის ტალღების მოქმედება მეტად კომპლექსური უნდა იყოს. კრაკატაუს ვულკანური ამოფრქვევის შემდეგ წყლის დონემ ისე უმნიშვნელოდ დაიწია, რომ კრაკატაუს მახლობლად რეიდზე მყოფი ხომალდები გადასცემდნენ ცნობას ტალღების ნორმალური მდგომარეობის შესახებ; შედარებით უვნებლად უნდა დარჩენილიყო მინოსელების ფლოტიც, თუ თერაზე ვულკანური ამოფრქვევის მომენტში ისინი იმყოფებოდნენ კუნძულ კრეტას სამხრეთით. მაგრამ ეპიცენტრიდან მოშორებით ამოფრქვევა იწვევს უზარმაზარ ტალღებს. მაგალითად, კრაკატაუს შემთხვევაში ტალღების სიმაღლემ 30 მეტრს გადააჭარბა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ შემდეგი: იმ შემთხვევაში, თუ მინოსელების ხომალდები თერაზე ვულკანური ამოფრქვევის დროს იმყოფებოდნენ კრეტას ჩრდილოეთით, ისინი პატარა-პატარა ნაწილებად უნდა დამსხვრეულიყვნენ. სრულიად დასაშვებია, რომ ყოველივე ამან მწყობრიდან გამოიყვანა მინოსელთა ფლოტი, და, როგორც ჩანს, ეს ის ძალა იყო, რომელმაც კრეტელები აიძულა იმ პერიოდისათვის თავი შეეკავებინათ ეგეოსური კუნძულებისაკენ გალაშქრებისაგან. როგორც ჩანს, მინოსელებს ბერძნებთან შედარებით ნაკლებხელსაყრელი პირობები გააჩნდათ გემთმშენებლობის აღდგენისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბერძნებმა დაიპყრეს კრეტა, მათ შეეძლოთ აღედგინათ ფლოტი, რომელიც მინოსელებისაზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და აუცილებელ ძალას წარმოადგენდა წარმატებული ლაშქრობებისათვის. აქედან მოყოლებული მინოსელებმა დათმეს თავიანთი პოზიციები, როგორც ზღვის მმართველებმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც საბერძნეთში დაიწყო საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა.

ვულკანური ამოფრქვევის მესამე შედეგი ყველაზე ძნელად გასათვალისწინებელია, მაგრამ, შესაძლოა, ყველაზე დამაზიანებელი. ვულკანიდან ამოტყორცნილი ფერფლი უნდა შეჭრილიყო ატმოსფეროში და დაბრუნებულიყო დედამიწაზე წვიმის მსგავსად. ორი ამერიკელი გეოლოგის დ. მ. ნინკოვიჩისა და ბ. ს. ჰოზენის ნაშრომის (1965 წ.) თანახმად, ფერფლის ნაშთები აღმოჩენილია წყალში, თერას ირგვლივ. სხვადასხვა მიმართულებით გაფანტული ფერფლის სისქე მოწმობს, რომ ქარი მძვინვარებდა ჩრდილო-დასავლეთით. ყოველივე აქედან გამომდინარე, ფერფლი უნდა მოფენილიყო ცენტრალური და აღმოსავლეთ კრეტას და დოდეკანესოსის მიდამოებში. ძნელია დავაზუსტოთ ფერფლის ნალექის სისქე. იგი რომ ყოფილიყო ათი სმ სისქის, როგორც ვარაუდობენ, მაშინ ეს ნალექი გამანადგურებლად იმოქმედებდა მცენარეულ სამყაროზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ფერფლის მცირე რაოდენობა სასარგებლოც არის ნიადაგისათვის — ქარის საშუალებით ფერფლი მოეფინებოდა მიწას და აღად-

გენდა ნაყოფიერებას. ანალოგიური შემთხვევა დამოწმებული იყო კრაკატაუს ვულკანური ამოფრქვევის დროს, მაგრამ აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს — კრაკატაუ მდებარეობს ტროპიკული წვიმების ზონაში, კრეტაზე კი ეს უნდა იყოს პერიოდი, როდესაც კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილი გახდა უნაყოფო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მასალები არ გვაძლევს ზემოაღნიშნული მოვლენის დამამტკიცებელ არავითარ საბუთს. პირიქით, სასახლეები ისევ აღზევებულა.

ჯერ კიდევ საიდუმლეობითაა მოცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. კუნძულ თერაზე ვულკანური ამოფრქვევა თარიღდება გვიანმინოსური 1-A პერიოდის დასასრულისათვის (დაახლოებით ძვ. წ. 1500 წელი), ხოლო გვიანმინოსური I-B პერიოდის ბოლოს, დაახლოებით ძვ. წ. 1450 წელს ძლიერმა კატასტროფამ დაანგრია კრეტული სასახლეები. მინოსური სასახლეები მთელ კრეტაზე, შესაძლოა კნოსოსის გარდა, ცეცხლის ალში გაეხვია. ცდუნება, რომ მინოსური პერიოდის კრეტის დანგრევა ქრონოლოგიურად უშუალოდ მივაწეროთ თერაზე ვულკანური ამოფრქვევის შედეგებს, ძალზე დიდია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეტად ძნელია დროის ინტერვალის გამოთვლა, ვინაიდან იგი მეტისმეტად დიდია იმისათვის, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთს დავუკავშიროთ. გარდა ამისა, წარმოუდგენელია ვულკანურ ამოფრქვევას გამოეწვია ისეთი ხანძარი, რომელიც გავრცელდებოდა 160 კმ-ის მანძილზე. სავარაუდოა, რომ თერას ვულკანური ამოფრქვევის შედეგებმა იმდენად დაასუსტა მინოსური ხელისუფლება, რომ ბერძნებმა მოახერხეს, ყოველ შემთხვევაში ერთი თაობით გვიან, მისი დაპყრობა და მინოსური ძალაუფლების ყველა ცენტრის განადგურება, კნოსოსის გარდა, სადაც ისინი დასახლდნენ ჩინებულ ადგილებზე და სასახლეების ზოგიერთი ნაწილი გადააკეთეს თავიანთი გემოვნების მიხედვით.

ამ მოვლენის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ დაახლოებით ამავე პერიოდისათვის კონტინენტზე სახლდებიან კრეტელი ხელოსნები. გაგვაჩნია ცნობები, რომლებიც ადასტურებენ მათ დამკვიდრებას კონტინენტზე მომდევნო პერიოდის განმავლობაშიც. კრეტაზე ძლიერი ცენტრალიზებული მმართველობა იყო, მაგრამ ესეც ხანმოკლე აღმოჩნდა. კვლავ აუხსნელი მიზეზით გადაიწვა კნოსოსის დიდებული სასახლე და იგი უკვე აღარასოდეს ყოფილა სატახტო ქალაქი. ამ მოვლენის ზუსტი დათარიღებაც ძალზე რთულია, მაგრამ, ალბათ, ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. XIV საუკუნის I ნახევარში. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კნოსოსში მეფე კვლავ არასოდეს ყოფილა. მან აიშენა სასახლე, მაგრამ სად, — არ არის ცნობილი, იგი

უნდა ყოფილიყო ძალზე სუსტგავლენიანი მეფე, რომელსაც არ შეეძლო თავისი ნება-სურვილი მოეხვია თავს კრეტის სხვა მმართველებზე.

ამ ეპოქაში ჩვენი ყურადღება გამახვილებულია კონტინენტურ საბერძნეთზე. სამხრეთი საბერძნეთი, შესაძლოა ჩრდილოეთით კუნძულ ბეოტიასა და თესალიას ჩათვლით, წარმოადგენდა ტერიტორიას, სადაც დამკვიდრდა განვითარებული ბერძნული საზოგადოება. მათ ჩვენ მიკენელებს ვუწოდებთ, პირველი მნიშვნელოვანი რეზიდენციის მიკენის სახელწოდების მიხედვით. ეს ადგილი ახლაც არქეოლოგიური გათხრების ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს, მიკენური საბერძნეთი დაყოფილი უნდა ყოფილიყო პატარა-პატარა სახელმწიფოებად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს პატარა სახელმწიფოები კლასიკური პერიოდის პოლისებს აღემატებოდა. ჩვენ დღეს წარმოდგენა გვაქვს მიკენის, თებეს, ათენის, ტირინთოსისა და პილოსის სასახლეებზე; თუმცა სასახლეები უთუოდ არსებობდა სხვა ადგილებშიაც, მაგლითად, სპარტაში, ელისში თუ კორინთოს მიდამოებში. მხოლოდ იმ არქივებიდან, სადაც შემონახულია თიხის ფირფიტები, ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დავადგენთ ტერიტორიის საზღვრებს, რომლებიც აღნიშნულ სასახლეებს ექვემდებარებოდნენ. აქ იგულისხმება ახლანდელი პილოსის არქივი, რადგანაც მიკენისა და თებეს ფირფიტები ძალზე მცირე რაოდენობითაა, რომ მოგვცეს მათზე მუშაობის საშუალება. მაგრამ პილოსის სამეფოს სიდიდე შეიძლება განისაზღვროს გარკვეული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის საშუალებით, და შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სხვა სამეფოებსაც, მსგავსად, ეკავათ განსაზღვრული გეოგრაფიული ადგილები. საოცარი იქნებოდა, რომ ლაკონია მთლიანად არ ყოფილიყო იქვე მდებარე სპარტის სასახლეზე დაქვემდებარებული. ასევე, ტირინთოსი ექვემდებარებოდა მიკენს.

მიკენელმა ბერძნებმა თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისში. ეს ის პერიოდია, როდესაც დასახლება ტროა, ცნობილი როგორც ტროა VII-A, განადგურებულ იქნა, აშკარად, შემოსევების შედეგად. მაგრამ არქეოლოგიური მასალების მიხედვით არ დასტურდება ის ვერსია, რომ ტროას განადგურებაში მიკენელების ხელი ურევია.

XIII საუკუნის შუა პერიოდისათვის მდგომარეობა შეიცვალა. მიკენური სასახლეები და მშვენიერი მიდამოები გაანადგურა ხანძარმა. ხანძარი და ნგრევა არ შეწყვეტილა, მაგრამ მიკენურ საბერძნეთში ცხოვრება მაინც გრძელდებოდა, ხოლო ცხოვრების დონე კი საგრძნობლად დაქვეითდა. დაკნინდა ხელოვნება: აღარ აგებენ ქვის მშვე-

ნიერ ნაგებობებს, დამწერლობა უქმდება, ხელოსნების ნაწარმი გაუ-ხეშდა და ცხოვრება მიწათმოქმედების დონემდე დავიდა.

იმ შემთხვევაში, თუკი შევძლებდით ზუსტად დაგვეთარიღებინა მიკენური საბერძნეთის მოვლენები, ჩვენ ხელთ გვექნებოდა მეტად საინტერესო პარადიგმები, მაგრამ არქეოლოგები ზუსტად ვერ ათა-რიღებენ მოვლენებს. როგორც ჩანს, ზოგიერთ ქალაქს არაერთხელ განუცდია კატასტროფა. მაგალითად, დასახლება მიკენის კედლებს გარეთ გადაიწვა უფრო ადრე, ვიდრე მის კედლებს შიგნით შენობები. თებეში კი ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით, მომხდარა ორი ხან-ძარი. მაგრამ ზოგადი სურათის ფარგლებში ჩვენ არ შეგვიძლია ზუს-ტი დასკვნების გამოტანა. დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება ვა-ღიაროთ, რომ მიკენური სამეფოები, გამორჩეული ცივილიზაციის დონით, განადგურდა. შემდგომი საუკუნეების საბერძნეთი წარმო-დგენილია მეჩხერი დასახლებებით, რომელიც ნაკლებად იყო დაცუ-ლი ზღვის მეკობრეებისაგან.

თავი II

დოკუმენტური მასალები

მიკენური საბერძნეთის შესწავლისათვის მასალას გვაწვდის არა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგები. საქმე ამ მიმართულებით დიდად წასწია წინ B-ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრის ფაქტმა (მ. ვენტრისი, 1952). ფირფიტები დამწერლობის ნიშნებით დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი მხოლოდ კნოსოსსა და პილოსში, მცირე რაოდენობით — მიკენსა და თებეში, ხოლო ტირინთოსში იმდენად ცოტა ფირფიტაა აღმოჩენილი, რომ მათი იქ არსებობაც კი ეჭვს იწვევს. ზოგ შემთხვევაში ჩვენი ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, იმდენად ბუნდოვანია, რომ განმაზოგადებელი დასკვნების საშუალებას არც კი გვაძლევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიკენური კულტურა საკმაოდ მკაფიო ერთგვაროვნებით ხასიათდება და, შესაბამისად, უცნაური იქნებოდა, საბერძნეთის სხვა ნაწილებში განსხვავებული ცხოვრება გვეკვარაუდა.

ჩვენამდე მოღწეული ფირფიტების რიცხვის დაზუსტება მეტად რთულია. მათი უმრავლესობა შემორჩენილია თითო-ოროლა ფრაგმენტის სახით. შესაძლებელია ასეთი ფრაგმენტების ფირფიტებად მიჩნევა არც იყოს სწორი — იქნებ ისინი სულ სხვა დოკუმენტურ წყაროს ეკუთვნოდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ფირფიტების მიახლოებითი რიცხვი. მაგალითად, კნოსოსში ნაპოვნია დაახლოებით 3000, ხოლო პილოსში — 1200 ფირფიტა. მაგრამ, რადგანაც პილოსის ფირფიტების ზომა უფრო დიდია, ფაქტობრივად, ეს წარმოადგენს ჩვენი ინფორმაციის ძირითად წყაროს. ამ ფირფიტებს იმდენად აქვს ჩვენთვის ღირებულება, რამდენადაც ისინი ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა უძველესი საბერძნეთის ცივილიზაციის შესწავლისათვის. წერილობითი წყაროები რომ არა, არქეოლოგიური გათხრების შედეგები ზედაპირულ წარმოდგენას თუ შეგვიქმნიდა ამ ეპოქის შესახებ. საგულისხმოა, რომ თუ მიკენელებისათვის ფირფიტებს ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ მათ ისინი სათუთად უნდა შეენახათ, ფირფიტებში უნდა აღეწერათ იმ ეპოქის სამეფოთა ადმინისტრაციული და ეკონომიკური

მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტი. ამასთანავე B-ხაზოვანი დამწერლობის ნიშნები გვხვდება სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებზეც. თიხის დოქებზე ადვილი შესამჩნევია სხვადასხვა სახის ნიშნები, რომლებიც ალბათ უნდა გამოხატავდნენ ხელოსნის ან ნივთის მფლობელის ვინაობას. მაგრამ, თითქმის ყოველთვის, ეს არის მარტივი, რამდენიმე ხაზის მომცველი ნიშნები. ისინი ადვილად შეეძლო გაემეორებინა წერა-კითხვის უცოდინარ კაცსაც კი. წარწერებზე, როგორც ასეთზე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა მინიმუმ სამი ნიშანი ერთიმეორის მიყოლებით. ასეთი სახის წარწერები გვხვდება მიკენში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებზე. წარწერა შესრულებულია ჭურჭლის გამოწვის შემდეგ. დასრულებული სახით ასეთი წარწერები შედგება, ჩვეულებრივ, ერთი სიტყვისაგან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არის საკუთარი სახელი. გარდა ამისა, ნაპოვნია უფრო ვრცელი წარწერების მომცველი თიხის ჭურჭლის მცირე ჯგუფიც. მათი უმეტესობა ნაპოვნია თებეს გათხრების დროს. ასეთი წარწერები შედგება, როგორც აღვნიშნეთ, ორ- ან სამსიტყვიანი ფორმულისაგან, ჩვეულებრივ, ჭურჭლის ყელის ირგვლივ, ამიტომაც რთული დასადგენია, თუ სად იწყება და სად მთავრდება ეს წარწერები. მაგრამ, როგორც ჩანს, ნიშუში უნდა იყოს შემდეგი სახის: ადამიანის სახელი, ადგილის დასახელება და სხვა ადამიანის სახელი, მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში. საინტერესოა, რომ მატერიკზე აღმოჩენილ დოქებზე წარწერილ გეოგრაფიულ სახელთაგან არანაკლებ ოთხი სახელია ცნობილი კნოსოს ფირფიტებიდან, როგორც კრეტის ქალაქების სახელები. უნდა ვივარაუდოთ, რომ მიკენური საბერძნეთის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად ნაპოვნი ჭურჭლების უმრავლესობა კუნძულ კრეტაზეა დამზადებული.

ფირფიტები დამზადებულია უბრალო თიხისაგან. ზოგ შემთხვევაში, ალბათ, სიმყარისათვის, თიხაში გარკვეული ოდენობით ბალახსაც ურევდნენ. გატეხილ ფირფიტას თუ დავაკვირდებით, ბალახის კვალი დღესაც კი შეიძლება შევამჩნიოთ. ფირფიტებზე წარწერებს აკეთებდნენ ბასრი საგნით. ბასრ საგნებს, მარჯვედ გამოყენების მიზნით, უკეთებდნენ ერთგვარ სახელურს. წარწერების დასრულების შემდეგ, თიხის ფირფიტებს ინახავდნენ გასაშრობად. რამდენიმე საათის, ან ერთი დღის შემდეგ, თიხა გამოშრებოდა ისე, რომ ნაწერი შეიძლებოდა შეესწორებინათ ან ამოეშალათ. მაგრამ, შეცდომები ამგვარ წარწერაზე უკვე რთული ამოსაშლელი იყო და ზოგჯერ მათი პირვანდელი მონახაზი დღესაც კი შეიმჩნევა ხოლმე. „გამზადებულ“ ფირფიტებს ინახავდნენ ან კალათებში, ან შესაძლოა, ხის ყუთებში, მანამდე, სანამ ისინი კარგად არ გამოშრებოდა, და შემდეგ აწყო-

ბდნენ თაროებზე. არ ზიანდებოდა ისინი იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობას ხანძარი გაუჩნდებოდა. კალათებს, სადაც ფირფიტები ინახებოდა, უკეთდებოდა ეტიკეტი. ასეთი ეტიკეტის ნიმუშები დღემდე შემოგვრჩა. როგორც აღვნიშნეთ, ფირფიტები ხანძრის შემთხვევაშიც კი არ ნადგურდებოდა. პარადოქსალურია, რომ სწორედ ხანძარმა შემოგვინახა ისინი — გამოწვა ფირფიტები, რის გამოც სხვადასხვა ნაწილს ხ'ბირად სხვადასხვა ელფერიც კი დაჰკრავს. მაგრამ ხანძარმავე დაანგიანა თაროები, სადაც ფირფიტები ინახებოდა. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს საცავის იატაკზე დაფანტული ფირფიტე-



სურ. 6. კნოსოსის ფირფიტებზე გამოსახული იდეოგრამები.

ბის ფრაგმენტები. საქმის ვითარება გაართულა თვით არქეოლოგთა დაუდევრობამაც, განსაკუთრებით, კნოსოსის პირველი გათხრების პერიოდში. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია პილოსის ფირფიტები, რომელთა პირველი გამოცემა მოხერხდა 1951 წელს (გამომცემელი, ამერიკელი მკვლევარი ე. ლ. ბენეტი მუშაობდა არქეოლოგ ბლეჯენთან ერთად პილოსის გათხრების დროს — მთ. შენ.). ეს იყო არსებითად წინგადადგმული ნაბიჯი წარწერების გაშიფვრის საქმეში. ბენეტის ბოლო გამოცემებს ერთვოდა ახალი ტექსტები და ტექსტთა ინტერპრეტაციების ახლებური, გაუმჯობესებელი ვარიან-

ტები. თუმცა პირველი გამოცემა იმდენად სრულყოფილი იყო, რომ გაუმჯობესებას არც კი საჭიროებდა. ბენეტმა დიდი წვლილი შეიტანა ფირფიტების შესწავლისა და კლასიფიკაციის საქმეში. იდეოგრამების შესწავლის საფუძველზე პროფესორმა ბენეტმა სრულყო ფირფიტების სერიებად დაყოფის საქმე. სერიებად დაჯგუფების პრინციპი იყო ის, თუ, სახელდობრ, რას აღნუსხავდა ცნებების განმაზოგადებელი ნიშნებით — იდეოგრამებით — დახუსტებული ჩანაწერები. გაშიფვრის საქმე გარკვეული თვალსაზრისით გააადვილა აგრეთვე თვით მიკენელი საქმეთა მაწარმოებლების კლასიფიკაციამაც — გარკვეული თემატიკის ჩანაწერები ერთად იყო თავმოყრილი და დაჯგუფებული. ხელნაწერების შესწავლაც დიდად დაგვეხმარა ფირფიტებთან დაკავშირებული ამოცანის გადაჭრაში. მიკენური პერიოდის ხელწერა განსხვავებული იყო ისევე, როგორც იგი განსხვავდება დღესაც. გადამწერთა სპეციფიკური ხელწერა, აგრეთვე, გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ ჩანაწერების კლასიფიცირება. მაგალითად, გადმობრუნებული V-ფორმა წარმოადგენს მრავალი ნიშნის ბაზისს. იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია უკავია, მაგალითად, ამ V-ფორმას, შეგვიძლია ხელწერათა დახარისხება. თუ დავაკვირდებით საწერი ინსტრუმენტის კვალს თიხაზე, შეგვიძლია დავადგინოთ მიმდევრობა, თუ რა პრინციპით ხერხდებოდა წარწერების გამოყვანა ფირფიტებზე. ამ ნიშნების შესწავლით, ბენეტმა (1958 წ.) და ოლივიემ (1967 წ.) შეძლეს მეტ-ნაკლები სიზუსტით დაედგინათ კნოსოსისა და პილოსის ყველაზე პროდუქტიულ გადამწერთა ხელწერები.

როგორც ჩანს, ერთგვაროვანი თემატიკის ფირფიტებზე წარწერებს აკეთებდნენ ერთი და იგივე პირები, თუმცა გამონაკლისიც გვხვდება. ეს არის შემთხვევა, როდესაც ფირფიტაზე მუშაობდა ორი გადამწერი. ასეთი ფირფიტების რაოდენობა კნოსოსში აღწევს 70-ს, ხოლო პილოსში დაახლოებით 40-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადამწერები, ახლო აღმოსავლეთის გადამწერების მსგავსად, არ ყოფილან პროფესიონალი მწერლები. ესენი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე თანამდებობის პირები, რომლებიც საჭიროებისდა მიხედვით ადგენდნენ ფირფიტებსაც, თუმცა უპირატესად სხვა საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. ზოგი მაღალი თანამდებობის მოხელე, შესაძლოა, თავად იშვიათად ასრულებდა გადამწერის საქმეს. მას ამისათვის ქვეშევრდომები, მოხელეები ჰყავდა, მაგრამ ხანდახან მაღალი თანამდებობის პირიც იძულებული იყო საწერი მოწყობილობა მოემარჯვებინა.

უეჭველია, დაწესებულებაში სამსახურს მობეზრების მომენტებიც ახლდა და ალბათ, მაშინ, შესვენების დროს, ფირფიტების მეორე მხარეს მოხელე პატარ-პატარა ჩანახატებსაც აკეთებდა. მიკენის,

კნოსოსისა და პილოსის ფირფიტები მიანიშნებს ჩვენი ვარაუდის ჭეშმარიტებას. კნოსოსის ფირფიტებზე გამოსახულია ყური, თავი და თვით ცხოველი, მიკენის ფირფიტაზე ადამიანი, ხოლო პილოსის ფირფიტაზე დახაზულია ლაბირინთის სქემა.

დამწერლობის ყველა ნიმუშს ერთად თუ მოვუყარეთ თავი, აღმოჩნდება, რომ თითოეულ მოხელეს თავისი საქმე ევალებოდა და მასზე აგებდა პასუხს. მაგალითად, ერთი პილოსის მოხელე, როგორც ჩანს, ადგენდა ფირფიტებს, სადაც აღნუსხული იყო ეტლის თვლები.

ფირფიტებზე ერთხელ შესრულებული წარწერის შესწორება ან წარწერის გაგრძელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელი იყო, რადგანაც თიხა სწრაფად შრებოდა. აქედან გამომდინარე, ერთ ფირფიტაზე სამუშაო უნდა დასრულებულიყო გარკვეულ პერიოდში. დიდი ზომის, ვრცელი ჩანაწერის მომცველ ფირფიტაზე მუშაობა შეუსვენებლივ უნდა წარმოებულიყო. თუკი ინფორმაცია იყო ერთჯერადი, მაშინ თითოეულს დასჭირდებოდა ცალკე ფირფიტა. შემდეგ ხდებოდა ასეთი ფირფიტების კლასიფიკაცია. როცა კლასიფიკაციაც დასრულდებოდა, ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში, დიდ ფირფიტაზე გადაწერდნენ ხოლმე. ჩვენ ხელთა გვაქვს ასეთი სახის ფირფიტების ნიმუშები (მაგალითად, ე. წ. „მიწისმფლობელის“ ფირფიტა პილოსიდან). პრობლემებს განაპირობებს გადამწერთა შეცდომებიც. მიკენელი გადამწერებიც ისეთივე „საიმედონი“ იყვნენ, როგორი „საიმედო“ გადამწერებიც არსებობენ, ვთქვათ, დღეს. მათაც შეეძლოთ გამოეტოვებინათ ნიშანი ან არასწორად დაეწერათ ისინი, ან შესაძლოა, ერთი და იგივე სახელი სხვადასხვაგვარად ჩაეწერათ. ეს, თავისთავად, არ იყო დიდად თავსამტვრევი მათთვის, ვისაც ჩანაწერი უნდა წაეკითხა, ჩვენ კი ეს სერიოზულ დაბრკოლებად წარმოგვიდგება. ან, მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე ფორმულა მეორდებოდა ოდნავ განსხვავებული სახით. ამ შემთხვევაში ძნელია გადაჭრით ვაღიაროთ — შემთხვევითობაა ეს, თუ წინასწარგანზრახული კანონზომიერება. შეცდომა შეიძლება აღმოვაჩინოთ მხოლოდ მაშინ, თუ თავად გადამწერმა შეასწორა იგი (ვიდრე ფირფიტა ჯერ კიდევ სველი იყო). გასწორებული შეცდომები ფირფიტაზე ადვილი შესამჩნევია. საკავების არასრულყოფილი შემადგენლობა დღემდე გვიქმნის პრობლემებს, მაგრამ ამ სირთულის დაძლევა შესაძლებელია, თუ აღმოვაჩენთ ფირფიტებს, რომლებშიც სამუშაო შესრულებულია ერთი და იმავე თემაზე. არსებობს სხვა მეთოდიც, განსაკუთრებით, ე. წ. „შემაჯამებელი ანგარიშების“ მომცველი ფირფიტებისათვის: თუ, მაგალითად, ჩვენს ხელთ არსებულ ფირფიტებში მოყვანილი რიცხვები აღწევს მთელი ჯამის 70%-ს, სავარაუდოა, დანარჩენი 30%-ის მომცველ ფირფიტებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ყველაზე დიდი ხარვეზები, ჩვენი ინფორმაციის თვალსაზრისით, იძულებულნი ვართ შევავსოთ შემდეგი ვარაუდით: როგორც ჩანს, ხანძარმა გაანადგურა არაგამძლე მასალაზე შესრულებული ჩანაწერები. ყველა ანგარიშით თიხის ფირფიტებზე უნდა ყოფილიყო ნაკლებმნიშვნელოვანი საარქივო მასალა. თვით დამწერლობის ნიშნების ფორმა შიგვითითებს, რომ დამწერლობა თიხაზე საწერად არ იყო განკუთვნილი. თიხა, აშკარად, წარმოადგენს დაბალხარისხოვან საწერ მასალას, რომელიც, ალბათ, დიდი მოთხოვნილებით არცკი სარგებლობდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკეთესი საწერი მასალა უფრო ძვირიც იყო. გაუგებრობას, შესაძლოა, განაპირობებს ფირფიტათა საცავებიც. შაგალითად, პილოსის მრავალრიცხოვანი ჩანაწერები აღნუსხავენ ეტლის მხოლოდ თვლებს, მაშინ, როდესაც კნოსოსის ფირფიტებზე აღნუსხულია ეტლიც და თვლებიც. პილოსში ასეთი ფირფიტები საერთოდ არ აღმოუჩენიათ. კნოსოსისა და პილოსის გათხრების არე მხოლოდ ამ ქალაქების ნაწილს მოიცავს, თუმცა ეს ნაწილი ერთობ მნიშვნელოვანია. რამდენადაც ინფორმაციის ნაკლოვანების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი უკავშირდება წელიწადის იმ დროს, როცა სასახლეები განადგურდა, მცირე ფორმის მოგრძო ფირფიტებს, ჩვეულებრივ, ადარებენ პალმის ფოთლის ფორმას. სახელწოდება „პალმის ფოთლისებური" წარმოშობილია ძველ მწერლებთან ასოციაციით, ესაა უპირატესად, ხელოსნის შემოქმედება, ზომით იგი ჩანაწერის ტექსტის სიდიდესთანაა შეფარდებული. ზოგ შემთხვევაში, ესაა მცირე ფირფიტების ჯგუფი, გამოყენებული ერთი ვრცელი ფირფიტის სანაცვლოდ (ყველაზე ვრცელი 16×27 სანტიმეტრის, დაახლოებით 3 სმ სისქისაა. უმეტესობა გაცილებით უფრო მცირე ზომისაა), იკითხება დაახლოებით, როგორც, მაგალითად, კართოტეკის ბარათი (სხვა აღნუსხულ ფირფიტებთან ლოგიკური ერთიანობის გათვალისწინებით); რიცხვითი სახელები ჩანაწერებში პრობლემას არ ქმნის, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ხან დაზიანებულია, ხან არასრულყოფილი; დამწერლობის კიდევ ერთი ელემენტი — იდეოგრამა — არის რიცხვითების წინ თავმოყრილ ნიშანთა განმაზოგადებელი სახელი და აღნიშნავს აგრეთვე თვლად რაოდენობასაც. იდეოგრამები უფრო ხშირად ხატოვანია და ადვილად შეიძლება გამოვიცნოთ, მაგალითად, კაცები, ქალები, ცხენები, ეტლები, თვლები, მარხილები, თასები და სხვა. სხვა ნიშნები იმდენად სტილიზებულია, რომ ერთბაშად ძნელი გამოსაცნობია. ამ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ ჩანაწერების კონტექსტს (სტილიზებული ტიპისაა: ცხვრები, თხები, ხარები, ზეთისხილის ნაყოფი, ხორბალი, ქერი, ტანსაცმელი). ზოგჯერ განმაზოგადებელ ნიშანს ცვლის მარცვლოვანი ნიშანი, როგორც ერთგვარი შემოკლება (თუმცა, სამწუხაროდ, ამგვარი შემოკლებანი ჩვენთვის უცნო-

ბია). ფართო, ე. წ. „ბრტყელი ფორმის", ფირფიტები, ჩვეულებრივ, კანონზომიერებას არ ემორჩილება. ასეთი ფირფიტები შეიძლება იყოს ან ვრცელი დოკუმენტი, ან რაიმე ჩანაწერის ნაწილი. ზოგჯერ საბუთი ერთი ან ორი შავი ხაზით დაყოფილია მონაკვეთებად. ძალზე ხშირად ვრცელ ფირფიტებზე აღნუსხულია საკუთარი სახელები (გარკვეული ფორმულის მიხედვით). ხშირ შემთხვევაში ასეთი ფირფიტების ზედა კიდე დაზიანებულია და შესავალი ტექსტი, ის, რაც ფაქტიურად წარმოადგენს დოკუმენტის არსს, ან დაკარგულია, ან ფრაგმენტულია.

დამწერლობის სისტემა უხეშია, თუმცა შეესაბამება საცავებში არსებულ მასალას. სახელები და სიტყვები ჩაწერილია მარცვლოვანი ნიშნებით. მათი ფორმების რეკონსტრუქცია ხერხდება შესაბამისი ბერძნული სიტყვების საფუძველზე. მაგალითად, de-do-me-na მეცნიერებმა ადვილად აღადგინეს ბერძნული dedomena-ს მიხედვით და ა. შ. ზოგ შემთხვევაში რეკონსტრუქციას ართულებს კლასიკური ენისაგან განსხვავებული დიალექტური ფორმების შემთხვევები. დამწერლობის უმარტივესი რიცხვითი სისტემა თანამედროვე სისტემის ადეკვატურია. აქ ჩვენ ვხვდებით რიცხვებს 1-დან 5-მდე. მაგარმ ისევე, როგორც ანტიკური პერიოდის ყველა ცნობილ სისტემაში, აქაც ვერ ვხვდებით ნულის ნიშანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარტივი არითმეტიკული ოპერაციებისათვის იყენებდნენ დამხმარე საანგარიშო ხელსაწყოებს. არსებობდა სპეციალური ზომა-წონის ერთეულებიც.

ერთ-ერთ ძირითად სირთულეს წარმოადგენს არა „მონაცემების", არამედ მათი შინაარსის ამოკითხვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც არის შესამჩნევი ძვრები. ამ წიგნშიც წარმოდგენილია არსებული მონაცემების მიხედვით მიკენური სამყაროს რეკონსტრუქციის ცდა.

თავი III

მიკენური გეოგრაფია

მესენია

პილოსის მეფეს თავისი სასახლიდან გადაეშლებოდა მთელი პელოპონესის დასავლეთი სანაპიროს სამხრეთ ნაწილის ხედი. პილოსს ჩრდილო-აღმოსავლეთით აკრავს გრძელი მთის ქედი, რომელსაც დღეს ჰაგია ეწოდება. მისი სიმაღლეა 1,218 მეტრი. ეს ქედი გადაჭიმულია ჩრდილოეთითა და სამხრეთით, სადაც მთების სიმაღლე თანდათან კლებულობს და მასზე გადის მაგისტრალი კალამატასკენ. სამხრეთით გამოჩნდებოდა მთა, დღევანდელი ლიკოდიმოსი. ეს მთა მდებარეობს დღევანდელ პილოსზე დაბლა. ნავარინოს ყურე ქმნის საუცხოო ნავსადგურს, რომელიც ზღვისაგან დაცულია კუნძულ სფაქტერიას კლდით. სწორედ აქ, 425 წელს ჩვ. წ. აღ-მდე, გაანადგურა სპარტელების ფლოტი ათენელების ფლოტმა. ყურეში მთავარი შესასვლელია სამხრეთ-დასავლეთით და იგი, თუმცა წყალმცირეა, მაინც მოსახერხებელია დიდი ხომალდების მისადგომადაც კი. ყურიდან ჩრდილოეთით, კუნძულ სფაქტერიასა და კონტინენტს შორის, არის ვიწრო გასასვლელი, რომელიც სასახლიდან არ ჩანს, რადგან ფარავს კლდოვანი მთები. ეს მთები კი ყურის ჩრდილოეთით გადაჰყურებს ლაგუნს; ლაგუნის ნაწილი დღეს ამომშრალია. აქვეა პატარა ყურე, რომელსაც ვოიდოკილიას ან „ხარის ჩუმბოს“ უწოდებენ. თავის დროზე ეს ყურეც მშვენიერი ადგილი იქნებოდა ნავსადგურისათვის. მახლობელ მიდამოებს ემჩნევა მიკენური ოკუპაციის კვალი და ჩანს, მეზობელ მიდამოებში დასახლებაც უნდა ყოფილიყო. ყურედან მეფის სასახლე 6 კმ-ით უნდა ყოფილიყო დაცილებული.

იყო თუ არა ეს ტერიტორია პილოსის მეფის გამგებლობაში და თუ იყო, სადამდე ვრცელდებოდა მეფის ძალაუფლება? საკითხთან დაკავშირებით, განვიხილოთ, ზოგადად, გეოგრაფიული ასპექტები. სასახლე, აშკარად, არის გარემომცველი ტერიტორიის ადმინისტრაციული ცენტრი. ასეთი ცენტრები, საერთოდ, უნდა მდებარეობდეს მოხერხებულ ადგილებში კომუნიკაციის დამყარების მიზნით. სანაპი-





სურ. 7._მესენია—„ახლო" და „შორეული" პროვინციების მიახლოებითი რუკა.

რო ზოლში კომუნიკაცია უნდა განხორციელებულიყო მარტივად ჩრდილოეთ და სამხრეთ მიმართულებით, ვინაიდან ამ მიდამოებში მთები ორ ადგილას ადვილი გადასალახავი უნდა ყოფილიყო: კიპარისიას ზემოთ, 30 კმ ჩრდილოეთით და მთის სამხრეთით — ნავარინოს ყურის მოპირდაპირე მხარისაკენ. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რომ პილოსის სამეფო ვრცელდებოდა კიპარისიას ჩრდილოეთით, თუმცა აქ არის სასაზღვრე ნიშანი — დამცველი გამაგრების ზოლი სამხრეთით, სადაც მთები ზღვასთან ახლოს მიდიოდა. არსად ჩანს სასაზღვრო ხაზი თანამედროვე პილოსამდე. მხოლოდ ზემოთ მდებარეობს პატარა ნახევარკუნძული, რომელიც აკრიტასის კონცხით ბოლოვდება. როგორც ჩანს, სამეფო ვრცელდებოდა კიპარისიადან მეთონიამდე, სანაპირო ხაზის გასწვრივ.

კიპარისია მოითხოვდა გამაგრებულ ზოლს. ჩვენთვის ცნობილია, რაოდენ მჭიდროდ იყო დასახლებული მიკენურ პერიოდში ვრცელი ხეობა. მჭიდროდ იყო დასახლებული მთავარი ხეობაც და ჩრდილოეთით და სამხრეთით მიმდებარე ხეობებიც. ამჟამად ეს მხარე წარმოადგენს არქეოლოგიური გათხრების ობიექტს. კიპარისიას ჩრდილოეთ საზღვარზე მდინარე ხეობას ქმნის არცთუ მაღალი მთების ზოლში. ვიწრო სანაპირო ზოლი გაპყვება მდინარე ნედას სამხრეთით. ამ ადგილას შეიძლება ყოფილიყო სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი. მაგრამ რამდენად შორს ვრცელდებოდა ჩრდილოეთით ეს საზღვრები?

იმ პერიოდში სამეფოები შემოსაზღვრული იყო ბუნებრივი „დამცველი ზოლით", მაგალითად, მთების მასივებით, მდინარეებით, ხრამებით და სხვ. ამას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ასე რომ, პილოსის სამეფოს ჰქონია მშვენიერი ბუნებრივი დამცველები: მდინარე ნედა და მთის მასივი. ამგვარად, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მდ. ნედაზე გადიოდა სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი, მითუმეტეს, რომ სახელწოდება „ნედა" შეიძლება აღვადგინოთ წერილობითი წყაროებიდანაც. ამ წერილობითი წყაროების მიხედვით, თუმცა მათ თან არ ახლავთ რუკები, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დავადგინოთ, თუ რომელი სიტყვაა გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი, მათი იდენტიფიცირება შეგვიძლია ჩვენთვის ცნობილ გეოგრაფიულ სახელებთან. სიტყვა — Pu-ro უნდა იყოს ჩვეულებრივი მიკენური ტრანსკრიფცია — Pulos ანუ პილოსი, ამ სიტყვას აუცილებლად კავშირი უნდა ჰქონდეს სასახლესთან. ანტიკური ხანის გეოგრაფის მიხედვით სახელი, რომელიც მის დროს აღნიშნავდა ადგილს ნავარინოს ყელის ჩრდილოეთით, გადმოსულა დღევანდელი ჰაგიას მთის გარშემო მდებარე ადგილის სახელიდან. ახლა ამ სახელს გა-

დაუნაცვლია უფრო შორსაც სამხრეთისაკენ და მისი დღევანდელი ფორმაა — Pílos.

მიუხედავად ამისა, როდესაც ვამოწმებთ ადგილების სახელების ნუსხებს, ისინი არ შეესაბამება კლასიკურ გეოგრაფიულ სახელებს, იმ ქალაქების ნუსხებიც კი, რომლებიც დამოწმებულია ჰომეროსთან ნესტორის სამეფოს სფეროსათვის. მაგრამ ამ სახელებიდან ჩვენ შეუიცნობთ ძალზე მცირე რაოდენობას, მაგალითად, Luktron-ს. სახელებს შორის ვხვდებით აგრეთვე — Erkhomenos (მოგვიანებით, ცნობილია როგორც ორქომენოსი. (-მთ. შენ.) და Korinthos, რომელიც საეჭვოა, რომ იყოს ჩვენთვის ცნობილი კორინთო. მიკენური საბერძნეთის რუკაზე ერთი და იგივე სახელი რამდენჯერმე მეორდება. ფირფიტებზე აღნიშნული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილის სახელი იწყება Pi...., ხოლო მისი მეორე ნაწილის იდენტიფიცირება არ ხერხდება. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ეს არის, მთლიანობაში, Pisa და აიგივებს კლასიკურ სახელ Pisa-სთან, რომელიც ოლიმპიას მახლობლად მდებარეობს. ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს უნდა იყოს Pi-ja და აიგივებენ ანტიკურ სახელთან — Pheiai, რომელიც მდებარეობს ახლანდელ Katákolo-სთან. ჩემი აზრით, ეს სადავო ნიშანი (მეორე ნაწილი) არის SWá, მაგრამ ამავე დროს არ გამოვრიცხავ, რომ სახელი Piswa წარმოადგენს კლასიკურ Pisa-ს, რადგანაც W ამოვარდა კლასიკური ბერძნულიდან. და მე მაინც ვფიქრობ, ამ სიტყვას უნდა მივუდგეთ როგორც ერთ-ერთ ნიმუშს ორმაგი სიტყვისა. რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი მიკენური სახელი, ცნობილი პელოპონესის უფრო შორეული ადგილებიდან, შესაძლოა გადატანილ იქნა ახალმოსახლეების მიერ, რომლებსაც მიუტოვებიათ სამხრეთ-დასავლეთი პელოპონესი იმ ხანისათვის, რომელიც უნდა შევიჩნიოთ პილოსის დაცემის შემდგომ პერიოდად.

სხვა სახელთა შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც, ჩვეულებრივ, ბერძნულ სიტყვებს წარმოადგენენ. მაგალითად, როგორიცაა Rhion — კონცხი, Kharadros — ხევი, და Helos — ჭაობი. მაგრამ პირველი სახელი არ არის ანტიკური ადგილის აღმნიშვნელი, ადგილისა, რომელიც მოგვიანებით ცნობილია როგორც Asine. ის მდებარეობს Cape Akrítas შორეულ მხარეში, მესენიის სრუტის დასავლეთ სანაპიროზე, და ამგვარად არცთუ მოშორებით პილოსთან, ამ მსჯელობის თანახმად. ჩვენ ვხვდებით კიდევ ერთ სახელს, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. ეს არის Kuparissos, ხე — კვიპაროსის ბერძნული სახელი. ცნობილია, რომ დღევანდელი ამ ადგილის სახელია Kiparissia და ანტიკური სახელი, როგორც ვხედავთ, არის იგივე ან მსგავსი. რასაკვირველია, ჰომეროსი ამ სახელს მოიხსენიებს

სხვა ფორმით — Kyparissēeis, როგორც ნესტორის სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს. უდავოა, რომ კიპარისიაში ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება კვიპაროსები, განსაკუთრებით კი მის შორიახლოს, სამხრეთისაკენ, Philiatra-ს მახლობლად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია აღნიშნული სახელი ერქვა გარკვეულ ადგილს სადმე ამ არეში.

ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება აღარ ხერხდება, ვინაიდან ჩვენი ცნობები ამოიწურა. ახლა მიკენური მესენიის რუკის აღსადგენად უნდა გამოვნახოთ სხვა საშუალება. იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ სად რა სახელი უნდა მოთავსდეს, ჩვენ უნდა მივმართოთ ფირფიტებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაითვალოს ფირფიტებზე აღნიშნული სახელები. რასაკვირველია, საეჭვოა, არის თუ არა ეს სახელები ნამდვილად გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი. მათი რაოდენობა სახელთა ნუსხაში დაახლოებით 200 უდრის. საფუძვლიანმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმაც მოგვცეს იგივე ციფრი. რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა ჩავთალოთ, რომ ფირფიტებზე აღნიშნული ყველა ადგილი აღმოჩენილია და რომ ყველა ის შედიოდა სამეფოს სფეროში.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის დაშორებული ზღვიდან პროვინციები, პირობითად მათ უწოდეს „ახლო პროვინცია“ და „შორეული პროვინცია“ („ახლო“ — ზღვასთან ახლო მდებარე, „შორეული“ — მოშორებით მდებარე). მკვლევარებმა მიახლოებით დაადგინეს „ახლო პროვინციის“ ჩრდილო და სამხრეთი საზღვრები, რადგანაც ყველა ქალაქი არ მდებარეობს სანაპირო ზოლის გასწვრივ. ამ ტერიტორიაზე, მონაცემების მიხედვით, შეიძლება ბუნებრივი საზღვრების დადგენაც, მაგრამ ყველაზე რთულია შევადგინოთ ახლო და შორეული პროვინციების მიახლოებითი რუკა.

კონკრეტულ დეტალებს და ადგილთა სახელწოდებებს გვკარნახობს ფირფიტები. მეტ-ნაკლები სიზუსტით შესაძლოა რუკაზე ადგილთა სახელების იდენტიფიკაცია. ჩვენ გვაქვს ადგილების სახელების ნუსხა და მისი საშუალებით შეგვიძლია გავანაწილოთ ისინი რუკაზე. ამ ნუსხაში წარმოდგენილია 9 გეოგრაფიული სახელი:

1. P_1-swa
2. Me-ta-pa
3. Pe-to-no
4. Pa-ki-ja-ne
5. A-pu
6. A-Ke-re-wa
7. E-ra-to ან Ro-u-so

8. Ka-ra-do-ro
9. Ri-jo

VII სახელი, როგორც ვხედავთ, არის Ro-u-so და უნდა ვივარაუდოთ ეს არის E-ra-to-ს ალტერნატიული სახელი; ეს უნდა იყოს არკადიის ქალაქის სახელწოდების — Lousoi-ის — ადრინდელი ფორმა, რაც, ადვილი შესაძლებელია, კიდევ ერთი ნიმუშია დაკარგული სახელისა. აშკარაა, რომ ნუსხაში აღნიშნული სახელები წარმოადგენენ სამეფოს მხოლოდ ერთი ნაწილის 9 ძირითად ქალაქსა და ადმინისტრაციულ ოლქს.

სანაპირო მონაკვეთი საშუალებას გვაძლევს აღნიშნული სახელები გავანაწილოთ მთელ სივრცეზე. ძირითადად, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ აღნიშნული სახელების უმეტესი ნაწილი განლაგდება სანაპირო ზოლის გასწვრივ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ან სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ასე რომ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია განვსაზღვროთ, თუ რომელი სახელი შეესაბამება ამა თუ იმ ადგილს. როგორც ვიცით, პირველი ინფორმაცია მიღებულია Pa-Ki-ja-ne-დან, რომელიც ახლო მანძილზეა პილოსთან (Pu-ro). მონაცემებიდან ჩანს, რომ ეს ადგილი დასახლებული ყოფილა სხვადასხვა „სამეფო“ ხელოსნებით. საეჭვოა, რომ ხელოსნები, რომლებიც მეფის სამსახურში იმყოფებოდნენ, სადმე მოშორებით დასახლებულიყვნენ. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია IV ოლქი მოვათავსოთ პილოსის მახლობლად, ხოლო რაც შეეხება თვით პილოსს, მას ჰქონდა განსაკუთრებული სტატუსი და ამიტომაც არ არის შეტანილი ნუსხაში.

მეორე ინფორმაცია მიღებულია Ri-jo-დან (Rhion — კონცხი), რომელიც მდებარეობდა დღევანდელი Koróni-ის ადგილას. ნუსხაში შეტანილი გეოგრაფიული სახელების აღნიშვნა სრულდება სამხრეთით მდებარე ადგილის სახელით, რომელიც თავსდება მესენიის სრუტის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან. ალბათ, ნუსხაში მოტანილი ქალაქები განლაგდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სავარაუდოა, რომ ნუსხაში აღნიშნული ორი ადგილის სახელი — Piswa და me-tapa — დაკავშირებული უნდა იყოს „შორეულ პროვინციასთან“.

შესაძლებელია თუ არა ყოველივე ამის საფუძველზე შევადგინოთ „ახლო პროვინციის“ რუკა? თუ ჩვენ Pi-swa-ს მოვათავსებთ Soùlima-ს ხეობის გასწვრივ და me-ta-pa-ს მისგან დასავლეთით, სანაპიროს მახლობლად, ეს დააკმაყოფილებს ყველა დეტალს, რაც კი ჩვენთვის ცნობილია ამ ადგილებიდან. Pe-to-no, საკმაოდ დიდი ოლქი, უნდა მოთავსდეს კიპარისიასა და სასახლეს შორის. Pa-Ki-ja-ne, როგორც შევთანხმდით, აღნიშნავს ადგილს, სადაც სასახლე

მდებარეობდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ის იყო რელიგიური კულტის მნიშვნელოვანი ცენტრი.

სამხრეთისაკენ, A-pu-ს მდებარეობა უფრო რთული დასადგენია. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს ჰომეროსის მიერ მოხსენიებული Aipu — ადგილი, რომელიც მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ვთვლით, რომ ეს ადგილი, რომელიც სანაპირო ზოლზე არ მდებარეობს, უნდა იყოს მოთავსებული ნავარინოს ყელის სიღრმეში. A-ke-re-wa ყოფილა გარკვეული მნიშვნელობის პორტი. დღევანდელი პილოსის ახლოს, ყურის სამხრეთით მდებარე ადგილი დასახლებული უნდა ყოფილიყო. აქ, თუმცა არ არის აღმოჩენილი რაიმე მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ ჩანს მიკენური დაპყრობის უმნიშვნელო კვალი. E-ra-to, იგივე Ro-u-so, არ არის სანაპირო ოლქი, მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო ხის მჭრელების სამშობლო. ეს იყო ტყიანი ადგილი ყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით. Ri-jo მდებარეობს სანაპირო ზოლში, როგორც უკვე აღვნიშნეთ. აქ არის მხოლოდ ორი მხარე—Methōni და Phinikoūs.

„შორეული პროვინციის“ აღმოსავლეთი ნაწილის ადგილების განსაზღვრა რთული პრობლემაა, რადგანაც ფირფიტები ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად მცირე ინფორმაციას გვაწვდის. ამ პროვინციის ზღვისპირა ზოლი კი ფირფიტებიდან კარგად არის ცნობილი. პროვინციის შვიდი ცნობილი ქალაქიდან მხოლოდ ერთი მდებარეობს ზღვასთან ახლოს. ყველა დანარჩენი ტოპონიმი, რომლებიც წარწერებშია აღნიშნული, ადვილი დასადგენია. მაგალითად, Nedwōn შეესატყვისება nedhon-ს, მდინარეს, რომლის ნაპირზე მდებარეობს კალამატა.

ახლო და შორეული პროვინციების საზღვრები, უნდა ვივარაუდოთ, გადიოდა ყურის დასავლეთ სანაპიროზე ქ. კორონისა და ქ. ნიქორიას შორის მდებარე მიკენურ დასახლებაზე. გეოგრაფიულ ადგილებსა და წარწერებში მოხსენიებული ტოპონიმების იდენტიფიკაცია დღესაც გრძელდება.

კრეტა

კნოსოსის მეფის წინაშე ვერ გადაიშლებოდა ისეთი დიდებული ხედი, როგორიც პილოსის მეფის თვალწინ. სასახლე, მართალია, აგებული იყო ბორცვზე, მაგრამ საკმაოდ დაბალზე. სასახლის სახურავიდანაც კი, ბორცვებს მიღმა, მხოლოდ ზღვას თუ დაინახავდით. მიკენური და მინოსური რეზიდენციების ეს საკმაოდ განსხვავებული პოზიციები მნიშვნელოვან სხვაობაზეც მიგვანიშნებს. მინოსელები,


White Mountains
Rethimnon
Aios
Sfakia
Mt IDA
MISSARA
Agyria
Tocadra
Mt DIKTE
Mirabelos
Kato Zakros

Fig. 8. [illegible]

მიკენელებისაგან განსხვავებით, მშვიდობიანი ხალხი, საცხოვრებლად არჩევდნენ სასიამოვნო, მყუდრო ადგილებს და დიდად არ იწუხებდნენ თავს მათი სტრატეგიული მნიშვნელობით.

კრეტა იყო კუნძული. შესაბამისად, პირველი საკითხი, რაც გვაინტერესებს, არის შემდეგი: ვრცელდებოდა თუ არა კრეტის მეფის გავლენა კუნძულის ფარგლებს გარეთ. როგორც ჩანს, ამ კითხვას უნდა ჰქონდეს ერთადერთი, უარყოფითი პასუხი. რადგან არ არის აქაურ წერილობით დოკუმენტებში არც ერთი ისეთი პუნქტი, რომელიც კუნძულის ფარგლებს გარეთ მდებარეობდეს. ერთ-ერთ ფირფიტაზე საუბარია თხების ჯოგზე, რომელიც გაეგზავნათ Akhaiwia-ში ანუ აქაში. სხვა ფირფიტებში ეს სახელი არსად გვხვდება, მაგრამ იგი გვახსენებს ხეთურ დოკუმენტებში მოხსენიებულ სამეფოს სახელწოდებას (Akhijawā). სამეფოს გეოგრაფიული მდებარეობა დღემდე კამათის საგანს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ერთი რამ: ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ კნოსოსი თხების ჯოგს ზღვისიქითა ქვეყნებში გაგზავნიდა.

არქეოლოგიური გათხრების მონაცემების მიხედვით, მინოსური კოლონიები ეგეოსურ კუნძულებზე თარიღდება ადრინდელი პერიოდით, მაგრამ არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. XV საუკუნის დასასრულისათვის კოლონიათა უმრავლესობა ჯერ კიდევ კნოსოსის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რამდენი კუნძული შედიოდა კნოსოსის მეფის გავლენის სფეროში. პილოსის გეოგრაფიულ სახელებთან შედარებით, კნოსოსის გეოგრაფიულ სახელთა უმეტესობა ადვილი დასადგენია: მაგალითად, კნოსოსი, ამნიოსი, მალია; მათი მომიჯნავე ტილისოსი და სხვა (ყველა ამ ქალაქმა თავისი როლი შეასრულა დეშიფრირების საქმეში — მთ. შენ.). ერთი შეხედვით, ნათელი ხდება, რომ კუნძულ კრეტას დედაქალაქს წარმოადგენდა კნოსოსი.

კრეტა დიდი კუნძულია. მისი სიგრძეა 260 კმ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მაგრამ სიგანე 55 კმ-ს არ აღემატება. კრეტაზე მდებარეობს სამი დიდი მთა, რომელთა უმაღლესი წერტილის სიმაღლე აღწევს 2000 ან 2500 მეტრს. ამგვარად, კომუნიკაციის დამყარება კუნძულის სხვადასხვა მხარეებს შორის ადვილი არ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ჩვენს ეპოქაში, ბულდოზერებისა და აფეთქებების წყალობით, შესაძლებელი გახდა საგზაო სისტემის შექმნა. მაგრამ ბუნებრივი პირობები იმდენად ხელშემშლელია, რომ ეს საგზაო მშენებლობა ახლაც არ არის დამთავრებული და, რასაკვირველია, ბრინჯაოს ხანაში შიშველი ხელებით გზის გაყვანაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა.

კნოსოსი მდებარეობს კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროსთან. აქ არის ნოყიერი ნიადაგი. კნოსოსს ესაზღვრება საკმაოდ მა-

ღალი, მაგრამ ადვილად გადასალახავი მთის მასივები სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით კი, მთები — დიქტე და იდე. კუნძულის აღმოსავლეთით, სანაპიროს გასწვრივ, არ გვხვდება მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, თუმცა აქ დაბალი გორაკები აღწევს ზღვას და ქმნის დაბლობს. აქ მდებარეობს მესამე უდიდესი მინოსური სასახლის ადგილი. ამ ადგილის ზემოთ ისევ ბორცვიანი მიდამოა. მთელი ეს ტერიტორია, აშკარად, კნოსოსს უნდა დაქვემდებარებოდა. კნოსოსი და ტილისოსი ადგილობრივი სასახლეებია, მაგრამ ჩვენ დღემდე არა ვიცით რა მალიას, მესამე უდიდესი სასახლის, კლასიკური პერიოდის (რომ არაფერი ვთქვათ მიკენურზე — მთ. შენ.) შესახებ.

კუნძულის სამხრეთ ნაწილში არის დაბლობი, რომელიც მარცვლეულის უხვ მოსავალს იძლეოდა. ამ დაბლობს ამეამად მესარას დაბლობი ეწოდება. მას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება გორაკები. კუნძულის სამხრეთით მთები ეშვება ზღვაში და ქმნის გარკვეულ მისადგომებს ხომალდებისათვის. აღმოსავლეთი მხარე უკაცრიელია, მაგრამ არა გაუვალი. კუნძულის დასავლეთით, დღევანდელ ტიმბაკისთან, იქმნება შესანიშნავი მისადგომი უძველესი პერიოდის ხომალდებისათვის. ამ მიდამოებში იყო აგებული დიდი მინოსური სასახლე ფაისტოსი (თანამედროვე გამოთქმით „ფესტოსი"). ამ სიტყვას ხშირად ვხვდებით კნოსოსის ფირფიტებზე. ეჭვგარეშეა, რომ ფაისტოსი ექვემდებარებოდა კნოსოსის მმართველობას. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა არქეოლოგიური მასალები.

ზღვიდან მოშორებით, მესარას ჩრდილო-აღმოსავლეთით გაშენებულია ქალაქი რეთიმნონი, რომელიც გორაკებითა და მთებით არის შემოსაზღვრული. ეს მთაგორიანი ადგილი გზატკეცილებითაა დასერილი, ხოლო ერთ-ერთი მათგანი გადის იქ ,სადაც ადრე გაშენებული იყო ქ. სიბრიტა ან სიბრიტოსი (როგორც მას ხანდახან უწოდებენ ხოლმე). დღეს აქ მდებარეობს სოფელი თრონოსი (ეს სახელი შეესაბამება ამ გამოჩენილი ადგილის სახელს. ბერძნული სიტყვა „thronos" ნიშნავს „ტახტს" — მთ. შენ.). რეთიმნონის მიმდებარე ტერიტორია (აღმოსავლეთით), როგორც ჩანს, დასახლებული უნდა ყოფილიყო გვიანმინოსურ III პერიოდში. კნოსოსის დასავლეთით (ტილისოსის გავლით) ჩავდივართ ხეობაში, სადაც უნდა ყოფილიყო ძველი აქსოსი. მიკენურ საბუთებში დამოწმებული e-ko-so-ს „აქსოსად" იდენტიფიკაცია მეტად პრობლემატურია.

ირაკლიონიდან ოდნავ დასავლეთით მდებარე ადგილს კლასიკურ პერიოდში ერქვა Kutaion („კუტაიონი"), ეს იყო ხომალდებისათვის ადვილად მისადგომი ადგილი, მაგრამ არ იყო ნაყოფიერი. რაც შეეხება თვით ამ ადგილის სახელწოდებას, მისი წარმომავლობა მეტად პრობლემატურია.

კნოსოსის აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო დასახლება მალია, ხოლო უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს მერამბელოსის ყურე. ყურე ცნობილია ტურისტებისათვის, რომლებიც ჯგუფებად ჩადიან თანამედროვე აგიოს ნიკოლაოსში. მაღლა მთებში მდებარეობს ადგილი, რომელიც ყურეს გადაჰყურებს, ცნობილი კლასიკურ პერიოდში როგორც ლატო. ეს ქალაქი მოხსენიებულია ამავე სახელით კნოსოსის დოკუმენტებშიც.

კუნძულ კრეტას სამხრეთით, სანაპიროზე გაშენებული იყო პატარა ქალაქი ინატოსი. სამწუხაროდ, გათხრების შედეგად აღმოჩენილი შრავალი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი არ არის წყაროებში დამოწმებული.

აქ ჩვენ შეგნებულად არ მოვიხსენიეთ კუნძულის ორი მხარე — უკიდურესი აღმოსავლეთი და დასავლეთი. ეს ორივე ნაწილი დაცილებულია კნოსოსს და მათი გეოგრაფიული პირობებიც ართულებს კომუნიკაციას. ბუნებრივი დაბრკოლებები აფერხებს კონტაქტებს დასავლეთით — რეთიმნონისკენ და აღმოსავლეთით — სიტიასკენ. აქ მეტად რთული გადასალახავი კლდოვანი მთებია. ამ რაიონებს შორის კავშირის დამყარება შედარებით ადვილი იქნებოდა ზღვის საშუალებით. ფირფიტების მხოლოდ ერთი განსაზღვრული ჯგუფი გვიმოწმებს ამგვარ ტოპონიმებს, მაგრამ მათი რიცხვიც საკმაოდ შეზღუდულია. როგორც ჩანს, შეუძლებელი იყო ეს პუნქტები უშუალოდ კნოსოსის მეფის მმართველობას დაქვემდებარებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის ტოპონიმების ორი კლასი ადვილად შეიძლება დავადგინოთ. მაგალითად Kudonia დღეს სიდიდით მეორე ქალაქის — ქანიას — ძველი სახელია. ეს უშუალოდ ჰომეროსთან არის დამოწმებული—იგი მოიხსენიებს ამ ქალაქის მოსახლეობას როგორც Kudōnes. დღემდე ქანია არქეოლოგიურად თითქმის არ არის შესწავლილი. დაბრკოლებებს ქმნის თვით თანამედროვე ქალაქი, რომელიც აგებულია ძველი დასახლების ადგილზე. თუმცა 1973 წლის ოქტომბრიდან დაიწყეს შედარებით მისაწვდომი გარეუბნების გათხრები ბერძენი მკვლევარის ი. პაპაპოსტოლუს ხელმძღვანელობით.

მეორე, ჩვენთვის ცნობილი სახელწოდება Aptarwa კლასიკურ პერიოდში იხსენიება, როგორც „აპტარა“ ან „აპტერა“. ესაა შესანიშნავი ნიმუში იმისა, როცა უცნობი სახელი იქცევა მნიშვნელობის მომცველ სიტყვად. „აპტერა“ ნიშნავს „უფრთოს“, რაც მოგვაგონებს გამარჯვების ქალღმერთის ეპითეტს (Nikē Apteros), ქალღმერთისა, რომელსაც ათენელებმა აკროპოლისზე პატარა ტაძარი აუგეს. აპტარას ადგილმდებარეობა იდენტიფიცირებულია — იგი მდებარეობდა ხულას ყურეს მოპირდაპირე ბორცვზე. ფირფიტების ანალოგიურ

ჯგუფში მოხსენიებული ოთხი დანარჩენი სახელის იდენტიფიკაცია თანამედროვე ტოპონიმებთან ვერ მოხერხდა. ყველა შესაძლებელი ვარიანტი მაინც ვარაუდის დონეზე რჩება.

ჩვენ, ასე თუ ისე, შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა კუნძულ კრეტის ძლიერ მონარქიაზე, მაღალცენტრალიზებული, ადმინისტრაციული ცენტრით — კნოსოსით. კნოსოსს ექვემდებარებოდა მთელი კუნძული რეთიმნონიდან იერაპეტრამდე, თუმცა ორი უკიდურესი, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარე მმართველობის სხვაგვარ წესს ემორჩილებოდა. ეს იყო ან ავტონომიური, ერთმანეთთან მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოები, ან დამოუკიდებელი ერთეულები. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც კნოსოსის მმართველი წარმოადგენდა გაბატონებულ ძალას კუნძულზე. ხოლო კნოსოსის სასახლის კატასტროფის შემდეგ კუნძული, როგორც ჩანს, დანაწევრდა პატარ-პატარა სახელმწიფოებად. ამ სახით წარმოგვიდგებიან ისინი ისტორიული პერიოდის დასაწყისისათვის.

თავი IV

მოსახლეობა ფირფიტების ცნობების მიხედვით

მიუხედავად მცირეოდენი ყოყმანისა, ეჭვს არ იწვევს, რომ ფირ-ფიტებზე შესრულებული ე. წ. B-ხაზოვანი წარწერების ენა ბერძნულია. მაგრამ იყვნენ თუ არა ბერძნები ის ადამიანები, რომლებმაც წარწერები გააკეთეს? „ბერძნებში", ჩვენს შემთხვევაში, იგულისხმება ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე ხალხები. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ფრიად საეჭვოა არაბერძენ ხალხს დაეტოვებინა ბერძნულ ენაზე დაწერილი დოკუმენტები. შესაბამისად, სადავო არაა მიკენელების მიჩნევა ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კატეგორიად. დავაკვირდეთ წარწერებს თიხის ფირფიტებზე: მამაკაცისა და ქალის სახელების უმრავლესობა ბერძნული წარმოშობისაა. აქ, ძალაუნებურად, წამოიჭრება საკითხი: მამაკაცისა და ქალის ბერძნული საკუთარი სახელები (მაგ., ალექსანდრა; შესაბამისად, ალექსანდრე) გავრცელებულია სხვადასხვა ეროვნებებსა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს შორისაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელები გვხვდება მიკენურ საბერძნეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. XIII საუკუნეში და ძნელი დასაჯერებელია, ვთქვათ, რომ არ სცოდნოდათ სახელი „ალექსანდრას" მნიშვნელობა ქალის მშობლებს, ვინც ეს სახელი დაარქვა. საინტერესოა ამ სახელის ზუსტი ლექსიკური მნიშვნელობა; იგი ნიშნავს — „ის, ვინც დევნის კაცს". მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქალის ეს სახელი არის, მარტივად, მამრობითი სქესის ფორმის „ალექსანდრეს" დერივატივი. ბერძნული საკუთარი სახელების სისტემა, მიკენურ პერიოდშიც და კლასიკურ პერიოდშიც, რადიკალურად განსხვავდება ჩვენი (მთარგმნელის შენიშვნა: იგულისხმება უპირატესად, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში გავრცელებული საკუთარ სახელთა ტრადიცია) სახელების სისტემისაგან. ერთი პირი იმავე სახელის მატარებელ მეორე პირისაგან განსხვავდება მამის სახელით. ამასთანავე, ადრინდელ ბერძნულ დიალექტებში, ისევე როგორც მიკენურში, მამის სახელი მოცემულია არა ნათესაობითი, არამედ ზედსართავული ფორმით. მაგალითად, Kusamenios — „კუსამენოსის ძე". მაგრამ სახელთა წარმოების ეს მეთოდი, როგორც ჩანს,

ვრცელდება მხოლოდ არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენლების სახელებზე. დანარჩენ პირებს განასხვავებენ მათი მშობლიური ქალაქის ან საცხოვრებელი ადგილის დასახელებით. მართალია ჩვენ არ გვაქვს ნიმუშები, რომელთა მიხედვით შეიძლება ქალთა სახელებზეც ამგვარადვე მსჯელობა, მაგრამ ჩვენს ხელთაა ქალთა სახელების ნუსხა, რომელშიაც თითოეულ სახელს წინ უძღვის მამაკაცის სახელები ნათესაობითი ფორმით. მამაკაცი შეიძლება იყოს ქალის მამა, მეუღლე, ან თუ ქალი მონაა — პატრონი. ალბათ, მაინც ეს მეუღლის სახელები უნდა იყოს, რადგან ბერძნული ტრადიციის მიხედვით, გაუთხოვარი ზედსახელად ატარებდა მამის სახელს ნათესაობითში, გათხოვილი—მეუღლის სახელს ასევე ნათესაობითში. ეს ტრადიცია საბერძნეთში მიღებულია დღესაც.

საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის საბერძნეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბერძნულად არ ლაპარაკობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბერძნეთის დაპყრობა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხის ასიმილაციის პროცესი ნელა მიმდინარეობდა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიკენური პერიოდის მოსახლეობაში სხვა ენების კვალი უფრო აღმოჩნდება, ვიდრე ბერძნულისა.

კლასიკურ პერიოდშიც კი ისტორიკოსები, არცთუ იშვიათად, იხსენიებენ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებს, მაგალითად, პელასგებს, და ამასთანავე, ძვ. წ. IV საუკუნეშიც კი, კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში წარწერები კეთდებოდა არაბერძნულ ენაზე. საბერძნეთის გარკვეული ნაწილში არსებობდნენ ჩაგრულთა კლასები, რომლებიც უნდა ეწოფილიყვნენ წინა პერიოდში დაპყრობილ ხალხთა შთამომავალნი. თუმცა ჩვენ ინფორმირებული არა ვართ, რომ ისინი ჯერ კიდევ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგარმ უმეტესობა, ეჭვგარეშეა, არაბერძენი მოსახლეობის შთამომავალნი იყვნენ. სპარტაში, უდავოდ, არსებობდა ჩაგრულთა ორი კლასი. მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს, რომელიც თავისუფალი იყო, მაგრამ ითვლებოდნენ მეორეხარისხოვან მოქალაქეებად და პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ, ეწოდებოდათ „პერიოკოი“ ანუ „შეკედლებული მობინადრენი“. შესაძლებელია, რომ ლაკონიაში წინადორიული ხანის ბერძნები მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ. მოსახლეობის შემდეგ ნაწილს — ყმებს, რომლებიც მიწას ამუშავებდნენ სპარტელი მიწათმფლობელებისათვის, ეწოდებოდათ „ჰილოტები“, რაც, „ტყვეებს“ უნდა ნიშნავდეს. სავარაუდოა, რომ მიკენურ პერიოდში ისინი წარმოადგენდნენ ჩაგრულთა კლასს და არაბერძნული წარმოშობისა იყვნენ. ახალი ენის შეთვისების შემდგომაც კი ხალხში მყარად არის შემორჩენილი „ძველი“ საკუთარი სახელები.

მიკენურ წყაროებში დამოწმებული სიტყვების 60 პროცენტი შეადგენს საკუთარ სახელებს. სახელები ბერძნულია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ბერძნული სახელების მატარებელი ხალხი აუცილებლად მეტყველებდეს მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ ენაზე. ეს აშკარად ბერძნული სახელები ამასთანავე მიეკუთვნება შედგენილი სახელების კატეგორიას. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი შეიძლება დაიშალოს მნიშვნელობის მქონე ორ ნაწილად. ანალოგიური ტიპი იმდენად არის გავრცელებული ინდოევროპულ ენაში, რომ ადვილი შესაძლებელია მათი საერთო წარმომავლობა. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ინდოევროპული ენების სპეციფიკა. საეჭვოა, რომ ხალხი, რომლებიც ბავშვებს არქმევდა ასეთ სახელებს, მისდევდა მხოლოდ ბერძნულ ტრადიციებს და, შესაბამისად, აუცილებლად ბერძნულ ენაზე მეტყველებდა. ვხვდებით ბერძნული ტიპის ისეთ საკუთარ სახელებსაც, რომლებიც ნაწარმოებია საზოგადო სახელისაგან: მაგალითად, „გლავკოს“ — „ცისფერთვალება“, „ექინოს“ — „ზღვის ზღარბი“, „პოიმენ“ — „მწყემსი“, „ქალკევს“— „მჭედელი“. ცხადია, ამ სახელებს მშობელი კი არ არქმევდა შვილს, არამედ ბერძნულ ენაზე მეტყველი დიდგვაროვანი, რომელსაც უპირდა მისთვის უცხო სახელის წარმოთქმა. მაგალითად. „ერითროს“ — „წითური“, „პოლიბოს“ — „ნაცარა“. უფრო ხშირად წარწერებში ვხვდებით სახელებს, რომლებიც წარმოებულია არსებით სახელზე სუფიქსის დართვით. მაგალითად, „სიმონი“ ნაწარმოებია სახელიდან „სიმოს“, რაც „ცხვირაპრეხილს“ ნიშნავს. მიკენურ საბერძნეთში გავრცელებული იყო ამ ტიპის სახელები. მაგალითად. „ტრიპოდისკოს“ წარმოებულია კნინობითი სუფიქსით, რომელიც დაერთვის არსებით სახელს „ტრიპოდოს“ და ნიშნავს „სამფეხას“ და ა. შ.

ბერძნული წარმოშობის სახელებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სუფიქსებმა „იდეს“ ან „ადეს“, რომელსაც აქვს „შვილის, ძის“ მნიშვნელობა. ასეთი სახელები მიკენურ სამყაროში თითქმის არ გვხვდება, ჰომეროსთანაც ამ სუფიქსებით წარმოებული სახელები ნიშნავს „ვიღაცის ძეს“.

თუ წარმოვიდგენთ ისეთ სიტუაციას, რომ ბერძნების შედარებით მცირე ჯგუფი გაბატონდა არაბერძენი მოსახლეობის გაცილებით დიდ ჯგუფზე და მოახვია მას თავისი ენა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ არაბერძენთა შთამომავლები, ტრადიციისამებრ, ბავშვებს არქმევდნენ წინაპართა სახელებს. თუმცა ზოგიერთი მშობელი, გარკვეული მიზნით, ამჯობინებდა ბავშვებისათვის ბერძნული სახელი დაერქვა; ამ შემთხვევაში საუბარია მმართველი კლასის წარმომადგენლებზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არაფერია საკვირველი, თუკი ბერძნული სახელების გვერდით ფირფიტებზე არაბერძნულ სახელებსაც

ვხვდებით. ასეთი სახელები დამახასიათებელია მოსახლეობის დაბალი ფენისათვის. ამასთანავე, ნუ დავივიწყებთ, რომ პილოსში ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ ფირფიტების შექმნამდე საუკუნეებით ადრე. მაშასადამე, უცხო სახელი არ გამოდგება იმის საბუთად, რომ აქ ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ ამ უცხო ენაზე. ჩვენ ვაწყდებით სიძნელეს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბერძნული სახელი ადვილად შეიძლება დავადგინოთ ბუნდოვანი დამწერლობის შემთხვევაშიც კი, მაგრამ უცხოური სახელების გამოცნობის საშუალება არა გვაქვს, რადგანაც არ ვიცით, რომელ ენას ეკუთვნის იგი. ზოგი მიკენური სახელი, განსაკუთრებით კნოსოსში, ბერძენისთვისაც უცნაურია, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი უცხოურია. ამასთან, კნოსოსის ფირფიტებზე გვხვდება მთელი რიგი სახელი, რომლებიც მეტ-ნაკლები სიზუსტით მეორდება კრეტის A-ხაზოვან წარწერებში, იმ ფირფიტებზე, რომლებიც თარიღდება კუნძულზე ბერძნების შემოჭრამდე. მაგ., di-de-ro და A-ra-na-ro, ჩანს, არის di-de-ru-სა და A-ra-na-re-ს ელინიზებული ფორმები, რომლებიც გვხვდება ჰაგია-ტრიადაში (ქალაქი კუნძულ კრეტაზე — მთ. შენ.) ნაპოვნ თიხის ფირფიტაზე A-ხაზოვან წარწერებში. კნოსოსის ფირფიტის წარწერებში გვხვდება სახელების მცირე ჯგუფი, რომლებიც იწყება Piya-თი, რაც ხეთური სახელებისათვის დამახასიათებელი ელემენტია და ნიშნავს „მიცემას". საკვირველია, რომ აქამდე ვერავინ შეძლო გაერკვია ენა, საიდანაც წარმოიქმნა არაბერძნულ სახელთა უმეტესი ნაწილი.

ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ სად შეიძლება ადგილების არაბერძნულ სახელწოდებებისაგან წარმოქმნილი სახელების კლასიფიცირება. თუ მამაკაცი ატარებს Lampsakos-ის სახელს, რომელიც მოგვიანებით ცნობილია როგორც ბერძნული კოლონიის სახელი დარდანელის სრუტის ახლოს, შეიძლება თუ არა იგი ბერძნულ სახელად ჩაითვალოს? Tulisios, ზედსართავი სახელი, რომელიც წარმოქმნილია კრეტული ქალაქის Tilisios-ის სახელისაგან, პილოსში გვხვდება როგორც მამაკაცის სახელი. მსგავსად, ჩვენ ვხვდებით ქალის სახელს — Korinsiā-ს, რომელიც წარმოქმნილია, ალბათ, Korinthos-იდან. მაგრამ ირკვევა, რომ პილოსის ტერიტორიაზე ყოფილა ადგილი ამავე სახელით. ზოგი სახელი ადასტურებს კავშირს შორეულ ადგილებთანაც: სახელი Aiguptios კნოსოსში უნდა იყოს „ეგვიპტელი"; ასევე Lu Kios არის სახელი ლიკიიდან (სამხრეთ-დასავლეთი ანატოლია — მთ. შენ.), Turios — მამაკაცის სახელი ტიროსიდან (ახლანდელი ლიბანი — მთ. შენ.). ერთი თეორია, რომლის უარყოფაც ადვილად შეიძლება, არის ის, რომ ბერძნები არ იყვნენ პრივილეგირებული ხალხი მიკენურ საბერძნეთში, ისინი წარმოადგენდნენ გადამწერთა ჯგუფს, რომელიც ემსახურებოდა არაბერძენ მმართველებს როგორც ანგარიშ-

ეწარმოებლები. სამწუხაროა, რომ ვერც ერთ დოკუმენტში ვერ ვხვდებით პილოსის ან კნოსოსის მეფეების სახელებს ზუსტი ფორმით. მათ. რომ ბერძნული სახელები რქმეოდათ, საქმე გაგვიადვილდებოდა. მაგრამ ჩვენ გვაქვს მოხელეების სია, მაგალითად, „მხლებლებისა", რომლებიც გაბატონებულ კლასს უნდა ეკუთვნოდნენ. ამგვარი სიები შეიცავენ ტიპურ ბერძნულ სახელებს, მაგალითად, როგორიცაა Alektruōn, Etewoklewēs-ის შვილი, მოგვიანებით ეტეოკლესი. მის ძმას აქვს ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან სახელთაგანი. რომლებიც eus-ით ბოლოვდება და რომლებიც ლეგენდებისთვისაა დამახასიათებელი; მაგალითად, Akhilleus, Odysseus. ზოგ შემთხვევაში ისინი წარმოადგენენ უფრო გრძელი სახელების შემოკლებულ ფორმებს.

ჩვენ ვფლობთ მასალებს, რომელთა მიხედვითაც არა მარტო იმის ჩვენება შეიძლება, რომ ერთი და იგივე სახელი ერთსა და იმავე ადგილას ეკუთვნის ორ სხვადასხვა პირს, არამედ იმისაც, რომ სახელთა რაოდენობა, ორ ან მეტ ადგილას, საკმაოდ დიდია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყოველი ახალი მასალა, რასაკვირველია, გაზრდის ჩვენს ინფორმაციას. საკუთარი სახელების დიდი რაოდენობის გარდა, ვეხვდება სახელების მცირე რიცხვი, რომელიც აღწერს ხალხთა ჯგუფებს და რომელიც არ შეიძლება მივიჩნიოთ ზედსართავად, იმ სახელად, რომელიც წარმოქმნილია ქალაქების სახელწოდებებისაგან, სადაც ეს ხალხი ცხოვრობდა. ამ სახელთა ჯგუფიდან უნდა გამოიყოს რვა სახელი. ეს სახელები აღნიშნავენ ხალხს, რომლებიც პილოსის სანაპირო დამცველთა რიგებში ირიცხებოდნენ. ამ სახელთაგან ერთორს შეიძლება მოენახოს ბერძნული ეტიმოლოგია, ხოლო დანარჩენები, ალბათ, არაბერძნული წარმოშობის იყო და ამასთან, არსად არ არის აღნიშნული ადგილი, რომელიც მათ მშობლიურ ქალაქად შეიძლებოდა მიგვეჩნია. ამიტომ ჩანს, რომ ეს იმ ტომების წარმომადგენელი ხალხის სახელებია, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი სახე ამ ფირფიტების შედგენის დროისათვის. მათი სახელები მიანიშნებენ არაბერძნულ წარმომავლობაზე და, აზრს არ უნდა იყოს მოკლებული ის ფაქტი, რომ ამ ხალხს ნიშნავდნენ მხოლოდ არასამხედრო თანამდებობებზე, ან ბერძენ უფროსთა ზედამხედველობის ქვეშ სანაპირო დამცველთა რიგებში. აღნიშნულმა თეორიამ შეიძლება ახსნას ის ფაქტი, თუ რატომ ჩნდება ხოლმე ზოგი ამ სახელთაგანი სელის წარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

ჩვენ, რასაკვირველია, დიდად დაგვეხმარებოდა ის გარემოება, დოკუმენტურ წყაროებში ზუსტად რომ ყოფილიყო აღნიშნული მიკენური საბერძნეთის მოსახლეობის რაოდენობა. თუმცა წყაროებში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი რიცხვითი ინფორმაცია, მაგრამ მასში ზუსტად გარკვევისათვის სანდო სისტემის შემუშავება ადვილი საქმე არ უნდა იყოს. ჩანაწერებში ასახული და აღნუსხულია მხოლოდ სასახლეების კონკრეტული ინტერესების შესაბამისი რიცხვითი მონაცემები. მათ კი მოსახლეობის რაოდენობა აინტერესებდათ მხოლოდ მომარაგების პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად, 750-მდე მონა ქალი და ბავშვი, რომლებიც უშუალოდ პილოსის სასახლის ზედამხედველობას ექვემდებარებოდნენ, შესაძლოა იყოს რაღაც სტანდარტული რიცხვი. მოსახლეობის რეალური რაოდენობა კი შესაძლოა გაცილებით დიდი ყოფილიყო. პილოსის ფირფიტაზე დასახელებულია გეოგრაფიული პუნქტები, რომელთა რაოდენობა ორ ასეულს აღწევდა. ამ რიცხვს გვიმოწმებს მესენიაში წარმოებული გათხრები. ზოგი მათგანი შესაძლოა იყოს პატარა დასახლება, სხვები კი ადგილობრივი ადმინისტრაციული ცენტრები, პატარა ქალაქები. შესაბამისად, თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნულ ადგილებში მოსახლეობის საშუალო რიცხვი იქნებოდა 250-მდე, მაშინ მთელ სამეფოში შეგვიძლია ვივარაუდოთ დაახლოებით 50 000 კაცამდე. მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად ვერც ერთ წერილობით წყაროს ვერ ვენდობით.

თავი V

სოციალური სტრუქტურა და ადმინისტრაციული სისტემა

როცა არქეოლოგი აღმოაჩენს გრანდიოზულ, შესანიშნავად ნაგებ შენობას, ფრესკებით მოხატული კედლებით, უამრავი ოთახით, დამხმარე სათავსოებითა და საცავებით, მას უფლება აქვს განაცხადოს, რომ აღმოაჩინა სასახლე, და რომ ასეთი დიდებული ნაგებობის მფლობელს ეყოლებოდა საკმარისი რაოდენობის ქვეშევრდომებიც. შესაბამისად, არც ევანსს კნოსოსში, არც ბლეჯანს პილოსში არ შეპარვიათ ეჭვი, რომ აღმოაჩინეს სასახლეები, თუმცა მეცნიერს უფრო შეეფერება თავი შეიკავოს ისეთი რომანტიკული სახელებისაგან, როგორიცაა მათ მიერ მონათლული „მინოსის სასახლე“ ან „ნესტორის სასახლე“. მოზრდილ შენობათა კომპლექსებს კნოსოსში ადვილად შეიძლება ვუწოდოთ სასახლეები. ასევე შეიძლება ეწოდოს შენობათა კომპლექსებს ფესტოსში, მალიაში, მიკენში, ტირინთოსსა და პილოსში, მაგრამ არცთუ ისე ადვილია დავადგინოთ, რა ზომის შეიძლება იყოს სასახლე. კატო-ზაკროში სასახლე ნამდვილად იყო აგებული, მაგრამ, მაგალითად, ჰაგია-ტრიადაში სამეფო სასახლე იყო თუ მხოლოდ დიდგვაროვანთა საცხოვრებელი — ანალოგიურ კითხვაზე მეტად რთულია პასუხის გაცემა მხოლოდ არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს სასახლეები ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ და რომ მიკენურ პერიოდში ადმინისტრაციული სისტემა მოითხოვდა წერილობით დოკუმენტებს. სწორედ საცავები მოწმობს იმას, რომ სასახლეები, უპირატესად, ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ადმინისტრაციული ცენტრისათვის აუცილებელია არსებობდეს დაწესებულება და არცთუ მეტისმეტად დანაწევრებულ საზოგადოებაშიც კი. ადმინისტრაციული ცენტრი არის იგივე რეზიდენცია, ხოლო ადმინისტრატორი — იგივე მმართველი, ან დამოუკიდებელი მონარქი, ანდა ადგილობრივი უზენაესი მმართველისაგან უფლებამოსილი დიდგვაროვანი. ასეთ დეტალებს არქეოლოგიური მასალები მოკლებულია, მაგრამ ზოგიერთი ფირფიტა ნათელს ფენს ადმინისტრაციულ საკითხებს.

საკვირველი არ არის, თუ მიკენის მმართველს ეწოდება Wanax. ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, ჰომეროსთან „W“ გარეშე ნიშნავს „მეფეს“, და რაც ყველაზე საინტერესოა, აქვე ვხვდებით სიტყვა Guasileus-Basileus პირველ ფორმას. ეს უკანასკნელი სიტყვა ჰომეროსთანაც „მეფეს“ ნიშნავს, იგი კლასიკურ ბერძნულშიც ერთადერთი ტერმინია. თუმცა მიკენში, როგორც ჩანს, Basileus ნაკლებმნიშვნელოვანი სიტყვა ყოფილა. ამ ტერმინით გამოხატავდნენ ყველანაირ მეთაურს, თუნდაც იგი მჭედლების მეთაური ყოფილიყო.

მაგრამ პრობლემებს წარმოქმნის Wanax-ის არსი. არც ერთ მკვლევარს ეპვი არ ეპარება, რომ ეს ტერმინი აღნიშნავს მმართველს. მაგრამ მმართველის ფუნქციებზე ფირფიტები გვაწვდიან მეტისმეტად ორაზროვან ცნობებს. ჩვენ გვაქვს ნიმუშები, სადაც დამოწმებულია მეფის, მოკვდავი მმართველის ფუნქციები, სხვა შემთხვევაში კი სიტყვა „მეფე“ გვხვდება ღვთაებათა შორის. ერთადერთი ცნობა გვაწვდის რეალურ ინფორმაციას მეფის ფუნქციების შესახებ. ესაა ფირფიტა პილოსიდან. აქ აღნუსხულია „მეფის მიწები“, „lawagetās მიწები“, სამი თანამდებობის პირის ე. წ. „telestai-ის მიწები“. საინტერესოა, რომ მეფის მიწები შეესაბამება 3-ჯერ lawagetās მიწებს და სამივე telestai-ის ერთად აქვს იმდენივე მიწა, რამდენიც მეფეს. მაშასადამე, მეფე გამოირჩევა პრივილეგირებულ პირთაგანაც. თუმცა ჩანაწერებში საუბარია მხოლოდ მიწებზე, როგორც მეფის კერძო საკუთრებაზე, იგი შესაძლოა სხვა მიწების მფლობელიც ყოფილიყო. ზედსართავი „მეფური“ გვხვდება ხელოსნებთან მიმართებაშიც. პილოსის წარწერებში იხსენიება სამეფო მთელავი (მაუდის და მისთ — მთ. შენ.), სამეფო მეთუნე, და კიდევ, ხელოსანი, რომლის ხელობა გაურკვეველია. კნოსოსში ქსოვილები აღწერილია როგორც „სამეფო“, რომლებიც, ალბათ, შეხამებულია მეფის ოჯახის წევრებისათვის სასურველ ფერთან, ისევე როგორც მოგვიანებით მეწამული ფერი იყო საიმპერატორო. ამის გარდა, მცირე რამ არის ცნობილი მეფის შესახებ. მიკენის არც ერთ, ისედაც მცირე რაოდენობის დოკუმენტებში, არ არის ნახსენები მეფის ტიტული. თებეში მხოლოდ ამ სიტყვის დამოწმებაა შესაძლებელი.

თუმცა პილოსის ფირფიტებში მეფე არსად მოიხსენიება, მაგრამ არის პიროვნება, რომელიც აღნიშნულია როგორც E-Ke-ra-wo (შესაძლოა, ეს სიტყვა მსგავსია Enkhelyāwōn-ის, მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ჩვენ არ შეგვიძლია). მისი მდგომარეობა ამ იერარქიაში ისეთი ამაღლებული ჩანს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ის არ არის Wanax-ი. მცირე ზომის ფირფიტა, სადაც ჩამოთვლილია პოსეიდონისადმი მირთმეული ძღვენი, გვიჩვენებს ოთხ პირს, რომელთაც შეუ-

სრულებიათ ეს რიტუალი: ორს აქვს ერთი და იგივე წარწერა, E-Ke-ra-wo ჩანს მეფის ადგილზე, ხოლო dāmos კი telestai-ის. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ E-Ke-ra-wo მეფეა, მაშინ დამატებითი ცნობები მის შესახებ საშუალებას მოგვცემს გავაღრმავოთ ინფორმაცია. მას ფლოტში ჰყავს 40 ნიჩბოსანი, და როგორც ჩანს, ფლობს საკმაოდ დიდ მამულს (94 ერთეული), ე. ი. მეფის temenos-ზე სამჯერ მეტს. აქ გაშენებულია ათასზე მეტი ძირი ვაზი და ასეთივე რაოდენობის ლეღვის ხეები. ძნელი წარმოსადგენია, რა ადგილი ეკავა ასეთ პირს პილოსის საზოგადოებაში, თუ იგი მის სათავეში არ იდგებოდა. ჩვენ გვაქვს საბუთები სხვა ადგილებიდანაც, სადაც პიროვნებას მოიხსენიებენ სახელით ან წოდებით. ამ ორის შეერთებით ჩვენ მივიღებთ უფრო დამაკმაყოფილებელ წარმოდგენას მეფის საკუთრების შესახებ.

წარწერა Lāwāgetās გვხვდება როგორც პილოსში. ასევე კნოსოსში და აღნიშნავს „ხალხის წინამძღოლს". რადგანაც სიტყვა, რომელიც მოგვიანებით ბერძნულში თარგმნილია როგორც „ხალხი", განსაკუთრებით კი „ილიადაში", გულისხმობს „ხალხს, რომელიც აღკაზმულია სალაშქროდ, მოლაშქრეებს", ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ მიკენური წარწერა ნიშნავს მოლაშქრეთა წინამძღოლს, მაგრამ ეს არ დასტურდება მცირე მოცულობის ფირფიტიდან. ჩვენთვის ცნობილია, რომ პილოსში Lāwāgetās-ს მამული მეფის მამულის ერთ მესამედს უდრიდა, მაგრამ არ აღემატებოდა საშუალო telestai-ის მამულს. Lāwāgetās შესაწირი პოსეიდონისადმი შეიცავს ორ ცხვარს, ფქვილისა და ღვინის გარკვეულ რაოდენობას. ხოლო მეფე E-Ke-ra-wo სწირავს 6-ჯერ მეტ მარცვლეულს, 4,5-ჯერ მეტ ღვინოსა და თაფლს, 10 თავ ყველს, 1 ხარს და 1 ცხვრის ტყავს. მეფის მსგავსად, Lāwāgetās-ს ჰყავს ხელოსნები. ასეთია, ალბათ, ეტლის თვლის ხელოსანი, და კიდევ ერთი, რომლის ხელობა გაურკვეველია. ამის გარდა, ფირფიტაზე აღნიშნულია კიდევ ორი პირი, რომელიც მას ეკუთვნის, მაგრამ თუ რა გაგებით, ცნობილი არ არის. წარწერა Lāwāgetās იგივე ფორმით მეორდება კნოსოსის ფირფიტაზე, მხოლოდ ისეთ ფრაგმენტულ კონტექსტებში, რომ მათგან ძალზე უმნიშვნელო ინფორმაციის მიღება შეიძლება. შესაძლოა, იგი გვაწვდის ინფორმაციას Lāwāgetās მამულის ზომების შესახებ, რადგანაც ეს ძალზე ჰგავს პილოსის ფირფიტაზე აღნიშნულ Lāwāgetās მამულს, მაგრამ გამორიცხული არ არის, ციფრი გამოსახავდეს მარცვლეულის რაოდენობას.

შვედმა მეცნიერმა, დოქტორმა მ. ლინდგრემმა (1973 წელს) გამოთქვა აზრი, რომ Lāwāgetās-ს სახელი პილოსში არის Wedaneus.

მართლაც, Wedaneus არის მნიშვნელოვანი პირი, რომელიც იღებს გადასახადს, იგივე კონტექსტში როგორც პოსეიდონი. გარდა ამისა, Wedaneus-ს ჰყავს ფლოტში 20 ნიჩბოსანი და, როგორც ჩანს, ფლობს ცხვრის დიდ ფარას.

ასეთ საზოგადოებაში მეფეს დასჭირდებოდა კეთილშობილთა წრე, რომლებიც იქნებოდნენ მისგან უფლებით აღჭურვილნი და დაეხმარებოდნენ მას სამეფოს მმართველობის განმტკიცებაში. ამ მოვალეობას, ჩვეულებრივ, არისტოკრატთა კლასი ასრულებს, რომელიც, ხშირად, მეფური ჩამომავლობისაა და მმართველობას უზრუნველყოფს უფროსი მოხელეებით. ისინი ადგენენ საუკეთესო სამხედრო ნაწილებს და მეთაურობენ ქვეით ლაშქარს. ეს კლასი მიკენურ საზოგადოებაში წარმოდგენილია hequetai-ით ანუ „მხლებლებით". ეს სიტყვა არ უნდა გავიგოთ მისი ზუსტი მნიშვნელობით, რადგანაც სამეფო კარს ყოველთვის ჰყავდა ოფიციალური პირების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა მოვალეობა არ შეესაბამებოდა მათ უცნაურ წოდებას, მაგრამ ერთ-ერთ მოვალეობას, აუცილებლად, წარმოადგენდა მეფის მხლებლობა და მასზე ზრუნვა, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს. „მხლებლის" აშკარა პარალელი არსებობს იმ სიტყვებთან, რომლებიც აღნიშნავენ „თანმხლებს". ლათინურ comes-ს იგივე მნიშვნელობა აქვს და წარმოადგენს სიტყვას, რომლისგანაც ინგლისური count (გრაფი) წარმოიშვა.

მხლებელთა მაღალ სტატუსს ადასტურებს მთელი რიგი აღნიშვნა. მათ შესაძლოა ჰყავდეთ მონები. პილოსის ერთ-ერთი ფირფიტის ნუსხაში ნახსენებია Amphimēdēs, რომელიც ლეჯენის მიერ იდენტიფიცირებულია „მხლებლებთან", Amphimēdēs იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიწათმფლობელი. პილოსის ფირფიტებში, სანაპირო დამცველების შესახებ, მოიხსენიება მრავალი „მხლებელი", სადაც, მათ საკუთარ სახელთან ერთად, ვხვდებით მამის სახელებსაც, ეს უნდა მიანიშნებდეს მათ არისტოკრატულ წარმომავლობაზე, რადგანაც უბრალო ხალხი ამდაგვარად არ მოიხსენიებოდა. თუმცა ფირფიტების ტელეგრაფულ სტილს ყოველთვის ვერ დავეყრდნობით. კნოსოსში არის ძალზე დაზიანებული ფირფიტა, რომლის ნუსხის წარწერაა „კნოსოსელი მხლებლები", და აქ მოხსენებულია მხლებელი სამეფოს ერთ-ერთი ქალაქიდან.

წარწერებში ზედსართავი სახელით აღწერილია სამი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სიტყვა, რომელიც უკავშირდება „მხლებელის" წოდებას: მონები, ტანსაცმელი და თვლები. მონების არსებობა, რომელთაც მნიშვნელოვანი პირები ფლობდნენ, დასტურდება სხვა დოკუმენტებიდანაც, თუმცა ეს იშვიათობას წარმოადგენს. ალბათ, ამით არის გამოწვეული, რომ ისინი, ჩვეულებრივ, ხშირად

არ გვხვდებიან წარწერებში. კნოსოსის ფირფიტაზე მოხსენებული ქსოვილები მიგვითითებს, რომ მხლებლებს ეცვათ სხვებისაგან გამორჩეული, ერთნაირი ტანსაცმელი. ტანსაცმელს, შესაძლოა, ჰქონდა თეთრი ფოჩები ან არშიები. თვლები განკუთვნილია ეტლებისათვის. ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ მხლებლებს ჰყავდათ ეტლები, და, ალბათ, განსხვავებული თვლებითაც. ყოველივე აღნიშნული შეეფერება მათ მაღალ სტატუსს. მაგრამ ეტლები გვაფიქრებინებს, რომ მათ სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდათ. არსებობს დოკუმენტები იმისა, რომ კნოსოსს ჰყავდა 200 ეტლი, პილოსს კი გაცილებით ნაკლები.

საფიქრებელია, წარმოადგენდნენ თუ არა მხლებლები ერთადერთ სამხედრო ძალას, რომელიც ეტლებით მიდიოდა საბრძოლველად. მხლებლების მთავარი ფუნქცია, ალბათ, უნდა ყოფილიყო ქვეითი ჯარის მეთაურობა. მასალებიდან ცნობილია, რომ პილოსის ლაშქარს ჰყავდა 11 ლეგიონი და თითოეულ მათგანს მხლებელი მეთაურობდა. მაგრამ, შესაძლოა, ამ ლეგიონებს იყენებდნენ როგორც რჩეულ ნაწილებს, რომელთაც სწრაფი მანევრირების საშუალება ექნებოდათ. მათ თავიანთი აღჭურვილობით შეეძლოთ ახლოს არ მიეშვათ მსუბუქად შეიარაღებული გაცილებით მრავალრიცხოვანი ნაწილები.

ადგილობრივი მმართველობა

იმ წარჩინებულ პირთა შორის, რომლებიც შეადგენდნენ სამეფო კარსა და მმართველობას, არცთუ იშვიათად, ვხვდებით დიდებულთა მეორე კლასს, მიწათმფლობელებს. იმ დროს, როდესაც დიდებულები უნდა ფლობდნენ მიწებს სამსახურებრივ და პირად საკუთრებაში, ჩვეულებრივ, ჩნდება გაცილებით დიდი კლასი მიწათმფლობელებისა, რომლებიც ადგილობრივ მმართველობას უზრუნველყოფენ სატახტო ქალაქის ფარგლებს გარეთ. ეს ორი კლასი, ამავე დროს, ემსახურება სასარგებლო მიზანს: კონტროლი გაუწიონ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიმოწმებთ მიკენურ ტიტულებს ადმინისტრაციულ სისტემაში მოსათავსებლად, საკითხი მაინც სადავოა. მაგრამ მე შეგნებულად უგულვებელვყოფ მას მიკენური ტიტულების ნაკლებობის გამო. პილოსის სამეფო დაყოფილი იყო 16 ადმინისტრაციულ ოლქად. თითოეულს განაგებდა მმართველი, რომელსაც Ko-re-te ეწოდებოდა. მათ ჰყავდათ მოადგილე — P-ro-ko-re-te. ამ ტიტულების აღდგენა არ ხერხდება და ამიტომაც მათ ვუწოდებთ Koretēr და Prokoretēr-ს, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს გადაჭდილთა გრძელ ნუსხაში აღნიშნული ტიტულები, თუმცა ტექსტის ძირითად ნაწილში თითოეული ოლქისათვის ვხვდებით მხოლოდ ერთ Koretēr-ს და ერთ Prokoretēr-ს, დანარჩენი ოთხი ტიტული მათ-

თან არის დაწყვილებული. დასაშვებია, რომ დანარჩენი ტიტულები წარმოადგენენ Koretēr-ის და prokoretēr-ის ალტერნატიულ ფორმებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ოლქის Koretēr-ს, შესაძლოა, ეწოდებოდა dumar — სიტყვა, რომელიც ზოგ სხვა შემთხვევაში „ზედამხედველს" ან რაიმე მსგავსს აღნიშნავს. უფრო დაბალი რანგის მოხელეთა ტიტულები საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს. ერთი მათგანია Klāwiphozos ანუ „გასაღების მატარებელი", ეს ტიტული სხვაგანაც გვხვდება, მაგალითად, Sphagiānes — ფირფიტაზე აღნიშნულია ქალი სახელად Karpathia და იგი ფლობს იგივე ტიტულს. აგრეთვე აღნიშნული ტიტული ჩნდება ქურუმ ქალთან ერთად დაზიანებულ ფირფიტაზე რელიგიური შესაწირების შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ტერმინი რელიგიური ტიტული უნდა იყოს. საერო და სასულიერო თანამდებობის გაერთიანებამ არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგანაც მოგვიანებით ერთი და იგივე პირი ხშირად მომრიგებელი მოსამართლე და ქურუმიც იყო. სასულიერო და საერო თანამდებობების გამიჯვნა შედარებით თანამედროვე მოვლენაა. მაგრამ ძალზე საოცარია ის ფაქტი, რომ ოლქის მმართველის მოადგილე ქალი შეიძლებოდა ყოფილიყო. რადგან სიტყვა ერთნაირად შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც ქალს, ისე მამაკაცს, დასაშვებია, ეს ტიტული ჰქონოდა ორივე სქესის წარმომადგენელს. კლასიკურ აბერძნეთში მიკენური Klāwiphoros (გასაღების მატარებელი) გადავიდა Kleidoukhos-ის (გასაღების მფლობელი) ფორმით, მაგრამ ტერმინი კვლავ ქალი ქურუმის სინონიმად რჩება, თუმცა წარწერებიდან ცნობილია, რომ ეს ტიტული მამაკაცსაც შეიძლებოდა ჰქონოდა.

ამავე ტექსტიდან ნათელია, რომ Koretēr და მისი მოადგილე პასუხისმგებელი იყო თითოეული ოლქიდან ბრინჯაოს დამატებით გადასახადისათვის. პილოსის დაზიანებული ფირფიტის ნუსხაში ჩვენ ვხვდებით იგივე ტიტულებს, მხოლოდ ეს ეხება არა ბრინჯაოს გადასახადს, არამედ ოქროს. აქ გადამხდელები მოხსენიებულია ტიტულებით Koretēr და prokoretēr, ზოგ შემთხვევაში, ამ ოლქის აღმნიშვნელი სიტყვა ან პიროვნების სახელი გვხვდება. აქედან შეიძლება დავუშვათ, რომ ნუსხაში აღნიშნული პირები ნახსენებ ტიტულებს ფლობდნენ.

თითქმის იგივე შინაარსისაა მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შედგება ორი ფირფიტისაგან. აქ აღნიშნულია ორი koretēr-ი ერთ-ერთის ოლქი მდებარეობს „მორეულ პროვინციაში", მეორესი კი ცნობილი არ არის. ეს უკანასკნელი ჩნდება ოქროს გადამხდელთა ნუსხაშიც. ზემოხსენებულ ფირფიტაზე ჩვენ ვხვდებით

ახალ ტიტულს. ეს არის mo-ro-qa, რომელიც ახსნილია როგორც moroqquās, პირდაპირი მნიშვნელობით „აქციონერი“, მაგრამ ადვილი არ არის მისი ფუნქციის დადგენა. ეს დოკუმენტი მოწმობს, რომ moroqqūas ტიტული უფრო უნდა იყოს, ვიდრე თანამდებობა, როგორიცაა მაგალითად, Koretēr, რადგანაც ერთი და იგივე პირი აღნიშნულია ამ ორი ტერმინით. სანაპირო დამცველთა ერთ-ერთ უფროსს მინიჭებული აქვს ეს ტიტული. ამავე ნუსხაში სამ მამაკაცს აქვს ტიტული moroqquās. როგორც ჩანს, ეს მაღალი ტიტული უნდა ყოფილიყო, თუმცა არა გვაქვს საფუძველი იგი მხოლოდ მეფის კარს დავუკავშიროთ. ეს სიტყვა ჩნდება კნოსოსის ფირფიტებზეც, მაგრამ აქ, შესაძლოა, იგი პიროვნების სახელს აღნიშნავდეს. ამ ნუსხის ასახსნელად სხვადასხვა თეორიები იქნა წამოყენებული, მაგრამ საკითხი მაინც გადაუჭრელია. მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილია მიწის ნაკვეთების მფლობელები, მესამეში გვაქვს მამაკაცთა ნუსხა, რომელთა მოვალეობა გაურკვეველია, ხოლო მეოთხეში კი, ჩამოთვლილია მამაკაცები, რომლებიც ფლობენ მიწის მონაკვეთს. დოკუმენტში მოხსენიებულ ყველა მამაკაცს, მესამე პარაგრაფის გარდა, აქვთ მინაწერი „ერთი წყვილი“, მაგრამ გაურკვეველია, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „წყვილი“. არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მიიჩნევს, რომ სიტყვა „წყვილი“, მიწის საზომს გამოხატავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ იმ პირებთან, რომლებიც არ ფლობენ მიწის ნაკვეთს, გვხვდება მინაწერი „ერთი წყვილი“, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტი ეხება მიწის ნაკვეთების მომავალ განაწილებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის საზომად არსებობდა განსხვავებული სისტემა, რომელსაც VII თავში განვიხილავთ. პირველ ორ პარაგრაფში, ვხვდებით დამატებით ჩანაწერებს, გაურკვეველ იდეოგრამას და ციფრებს 3-სა და 12-ს შორის. ეს მინაწერი შეესაბამება ტექსტის ფრაზას: „...წელს ის აიღებს (ან აიღო) შემდეგს...“ ორი ჩანაწერი შეიცავს სიტყვებს...“ და ის არ აიღებს (ან არ აიღო)“. ზმნას, რომელიც „აღებად“ ითარგმნა, შეიძლება ჰქონდეს რაიმე უფრო სპეციფიკური მნიშვნელობა. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ის ნიშნავდა „დაჭერას“ და დაკავშირებული იყო ნადირობის აღმნიშვნელ სიტყვასთან. მაგრამ ზოგიერთ დიალექტში მან შეიძინა უფრო ზოგადი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, მართლწერის დეფექტური სისტემაც არ გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ წარსული და მომავალი დროები. საინტერესო უნდა იყოს მეხუთე პარაგრაფში აღნიშნული ხუთი პიროვნება, რადგანაც სამი მათგანი — მხლებლის ტიტულით — გვხვდება სანაპირო დამცველთა ფირფიტებზე, თუმცა აქ არ არის ნახსენები მათი ტიტული. უდავოა, რომ ისინი ერთი და იგივე პირები

არიან, რადგანაც ფირფიტებზე მოიხსენიებიან მამის სახელით. დანარჩენი ორი პირი ნახსენებია, როგორც გარკვეული ადგილის ქურუმები.

ახლა ჩვენ განვიხილავთ კიდევ ერთ პრობლემატურ საკითხს, რომელიც მდგომარეობს ტიტულ telestās სტატუსის დადგენაში. დოკუმენტი, რომელშიაც ნახსენებია მეფისა და Lāwāgetās-ის მამულები, ასევე აღნიშნავს სამი telestāi-ის მამულებს, რომელთა ფართობი ერთად მეფის მამულის ტოლია. ისინი აშკარად მიწის ძირითადი მფლობელები უნდა იყვნენ, მაგრამ მათი სტატუსის ზუსტად დადგენა რთულია. ჩემი აზრით, ისინი ისეთივე დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ ოლქის მმართველებთან, როგორც მხლებლები მეფესთან. ე. ი. ისინი ყველაზე მნიშვნელოვან პირებს წარმოადგენდნენ ოლქის მმართველისა და მისი მოადგილის შემდეგ.

მოგვიანებით, ბერძნულში სიტყვა telestās დაკავშირებული იყო საკულტო და რიტუალურ მნიშვნელობასთან და შესაძლოა მას მიკენერ ხანაშიც ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სასულიერო და საერო თანამდებობების გამიჯვნა დაუშვებელი იყო ამ პერიოდისათვის, მაგრამ ის თეორიული საფუძველი, რომელსაც მე ვეყრდნობი, მოითხოვს ადგილობრივ მიწათმფლობელთა კლასის არსებობას და საკმაოდ კარგი შესაძლებლობა იქმნება ის დავინახოთ telestai-ში.

ეს ტიტული გვხვდება მხოლოდ იმ დოკუმენტებში, რომელიც მიწის მფლობელობას ეხება. მათი რაოდენობა დიდია. პილოსთან Sphagiānes-ის ოლქში თავდაპირველად მათი რაოდენობა 14-ს უდრიდა, თუმცა ერთის მფლობელი წაშლილია. ჩვენთვის ცნობილია, რომ კრეტის სასახლესთან ოთხი მამული იყო და ერთ-ერთ მათგანთან (აპტარვასთან, კუნძულის დასავლეთით) მიწის მფლობელთა რიცხვი 45-ს უახლოვდებოდა. ტერმინი Ktoinookhos — „ნაკვეთის მფლობელი" — შეიძლება ვიხმაროთ მიწის მფლობელების სინონიმად. აღნიშნული ტიტული, როგორც ჩანს, წარმოიშვა ზმნიდან, რომელიც მათ ფუნქციებს გამოხატავს. დოკუმენტში ვხვდებით წარწერას: „ერთი telestās ვალდებულია... მაგრამ არ.."; გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი ზმნა უნდა მოთავსდეს. ეს კი მიგვანიშნებს, რომ პიროვნების ფუნქცია კონტექსტში შეიძლება იყო „მამულის მფლობელი".

პილოსის ფირფიტაზე ჩვენ ვხვდებით წარწერას — dāmos. ეს სიტყვა მოგვიანებით ბერძნულში გვხვდება dēmos-ის ფორმით და აღნიშნავს ხალხს (აქედანაა წარმოქმნილი სიტყვა დემოკრატია). მაგრამ ატიკაში მას სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს არის ადგილობრივი ადმინისტრაციული ოლქის გამომხატველი ტერმინი. ჩვენ ვიცით, რომ პილოსის სამეფო დაყოფილი იყო 16 ადმინისტრაციულ ოლქად, აქე-

ლან გამომდინარე, მათ შესაძლოა dēmos ეწოდებოდა, და ეს ტერმინი გამოიყენებოდა მთელი ოლქის მოსახლეობის აღსანიშნავად. ეს უკვე ხსნის, თუ რატომ მოიხსენიება შესაწირი ღორების სიაში opidāmioi ანუ dēmos-ის მოხელეები „ახლო პროვინციის" ერთ-ერთი ოლქიდან. Sphagiānes- თან და სხვა ადგილებში სათემო მიწა dāmos-ის მფლობელობაშია. ერთ-ერთ დოკუმენტში dāmos ედავება ქურუმ ქალ Eritha-ს გარკვეული ნაკვეთის მფლობელობაში. საინტერესოა, რომ ეს გვხვდება სრულყოფილ ტექსტში, მაგრამ მოსამზადებელ ტექსტში dāmos-ის ნაცვლად აღნიშნულია „ნაკვეთის მფლობელი". ეს იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ მსხვილი მიწათმფლობელები გამოხატავდნენ ოლქის ინტერესებს. ამას ადასტურებს უკვე განხილული დოკუმენტების პარალელი მამულების ნუსხასა და პოსეიდონისადმი შესაწირ ნივთებს შორის, სადაც dāmos სამი telestāi-ის ნაცვლად იხმარება. ამგვარად თითქოს დავადგინეთ, რომ სამივე ტერმინი პრაქტიკულად ერთმანეთის სინონიმებია.

პილოსისა და კნოსოსის ფირფიტებში ვხვდებით კიდევ ერთ წარწერას — da-mo-ko-ro. პილოსის ფირფიტაში, სადაც არის ძვირფასი ავეჯის გრძელი ნუსხა, აღნიშნულია: „როცა მეფემ Augewās damokoros-ად დანიშნა". ამგვარად, ჩვენ ვიცით, რომ da-mo-ko-ro-ს მეფე ნიშნავდა. დასაშვებია, რომ ეს იყოს dāmos-ის შედგენილი სიტყვა და აგრეთვე ივივე ძირი ჰქონდეს, რაც Koretēr-ს. მაგრამ თუ რა განსხვავებაა მათ შორის, გაურკვეველია.

დაბალი კლასები

ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, მეტად რთულია წარმოვიდგინოთ უბრალო ადამიანების ცხოვრების წესი. იქმნება ზოგადი შთაბეჭდილება, რომ სამეფო ადმინისტრაცია აერთიანებდა დიდებულებსა და მიწათმფლობელებს, ქვეშევრდომებსა და მონებს. ამ ორ კლასს შორის არსებობდა მშრომელი მოსახლეობის დიდი ნაწილი. Sphagiānēs-ის ოლქში აღნუსხულია მთავარი მოიჯარე მიწათმფლობელები, მაგრამ მათი უმრავლესობა კვალიფიცირდება როგორც „ღვთაების მსახური", ჩვენთვის კი უცნობია, თუ რა თანამდებობაა „ღვთაების მსახური". სამშენებლო საქმეებისათვის მოსალოდნელია გამოეყენებინათ იძულებითი სამუშაოს სისტემა, მაგრამ ჩანაწერები ვარაუდს არ გვიმართლებს.

პილოსის ფირფიტებში დამოწმებულია ადამიანთა ყველაზე დიდი რიცხვი, რომელთა მიხედვითაც სანაპირო დამცველთა რიცხვი აღე-

მატებოდა 800 კაცს, ხოლო მათგან 500—550-მდე მენიჩბეები უნდა ყოფილიყვნენ. კნოსოსის ერთ-ერთი ფირფიტა აღნუსხავს 237 კაცს ქალაქ უტანოსიდან. ალბათ, აქ აღწერილია მოზარდები, რომლებიც სამხედრო სამსახურში უნდა მიეღოთ.

ჩვენამდე მოაღწია ფირფიტებმა, სადაც აღნუსხულია ქვის-მთლელები ოთხი სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა. ესენი, ალბათ, ხელოსნები იყვნენ და სამუშაო ძალას არ წარმოადგენდნენ. ამავე ფირფიტის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს კომერციულ საქმიანობას. მაგრამ გაუგებარია, თუ რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ქვის მთლელებთან. ხშირად სხვადასხვა ფირფიტებზე აღნუსხულია ვაჭრების სხვადასხვა ჯგუფების მარცვლეულით გადასახადები. მაგრამ ვაჭართა ჯგუფები არ არის დაკონკრეტებული და საერთოდ ასეთი ფირფიტები არცთუ ისე ხშირად გვხვდება.

ცალკეული ხელობების დასახელებები მიგვანიშნებს, რომ მიკენურ საზოგადოებაში არსებობდა შრომის დანაწილება. ეს არ არის პერიოდი, როდესაც ცალკეული პირი მონაცვლებით იყო მოიჯარადე მიწათმოქმედიცა და მშენებელიც, ხუროცა და ფეიქარიც. ეს არის პერიოდი, როდესაც ხელოსნები ამზადებენ ჭურჭლებს, სხვადასხვა სახის სამკაულებსა და ნივთებს. ისინი საოცარი ოსტატობით ათავსებდნენ ძვირფას ქვებს სამკაულებში. საყურადღებოა, რომ ლურჯი მინის ნივთიერების დამუშავების ტექნიკაში მხოლოდ და მხოლოდ მიკენელი ოსტატები იყვნენ გაწაფულნი. კლასიკურ საბერძნეთში ხელოსნობის ამ სახეობას უკვე აღარ იყენებდნენ და ამიტომაც გვიჭირს მისი აღწერა.

სოციალური იერარქიის ფსკერზე ვხვდებით მონებს. მონა და თავისუფალი — ეს არის კლასიკური დიქოტომია, თუმცა მკვეთრი ზღვარი მათ უფლებებს შორის ყოველთვის არ არის ადვილი დასადგენი. კლასიკური პერიოდის ათენში, მაგალითად, თავისუფალი მოქალაქენი სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით, ხოლო მონები ყოველმხრივ შეზღუდულნი იყვნენ. მაგრამ თვითმპყრობელურ საზოგადოებაში მონარქის გარდა ძნელია ვინმეს თავისუფალი უწოდო. თავისუფლება და მონობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შედარებითი ცნებებია. სიტყვა, რომელიც კლასიკურ საბერძნეთში ნიშნავდა „მონას", მიკენურ საბერძნეთში შეიძლება ყოფილიყო „მსახურის" მნიშვნელობით მიღებული. მიკენურ საბერძნეთში ცალკეულ პიროვნებას შეეძლო ჰყოლოდა მონა, თუმცა მონათმფლობელების უმრავლესობა მაღალი კლასის წარმომადგენლები იყვნენ. მონების, როგორც კერძო საკუთრების, ყველაზე დიდი რიცხვი დამოწმებულია პილოსის ფირფიტების ერთ-ერთ სერიაში, სადაც საუბარია მჭედელთა საკუთრებაზე. ეს ფირფიტა დაზიანებულია. შემორჩენილი ტექსტის მიხედ-

ვით მონათა რიცხვი არის 36, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ ტექსტის თითქმის მესამედი ნაწილი დაზიანებულია, რასაკვირველია, მონების გაცილებით დიდი რიცხვი უნდა ვივარაუდოთ. კნოსოსის ფირფიტები აღნუსხავს იმ მონა ქალების დიდ ჯგუფს, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ საფეიქრო მრეწველობაში. პილოსში აღმოჩენილი დოკუმენტების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნუსხვა საჭირო იყო ულუფის დასადგენად. აღნიშნულ შემთხვევაში ქალებთან ერთად დასახელებულია ბავშვებიც, ამასთანავე, გოგონების რაოდენობა ვაჟების რაოდენობას გაცილებით აღემატებოდა.

პილოსში აღმოჩენილია ფირფიტების სერიები ასეთი სქემით: „ამა და ამ ჯგუფის ქალთა ვაჟები". როგორც ჩანს, ეს ვაჟები იმ ასაკში იყვნენ, როცა მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ დედასთან ერთად მუშაობის ნება. დანარჩენები, არცთუ მრავალრიცხოვანნი, რომელთა სახელებიც გვხვდება ქალთა და ბავშვთა ჯგუფებთან ერთად, ალბათ, უკვე მოზარდთა ასაკს იყვნენ მიღწეულნი. ძნელია წარმოვიდგინოთ ქალები და ბავშვები, რომლებსაც ყოველდღიურ სარჩოს სასახლე უხდიდა და რომლებიც, შესაძლოა, სასახლეში იყვნენ დაბინავებულნი, მაგრამ არ იყვნენ მონები. სამუშაოზე გასული მონა ქალები ჩვილ ბავშვებს უტოვებდნენ მოხუც ქალებს, მონა ქალებს დღის განმავლობაში უნდა ემუშავათ იმდენი, რამდენიც საჭირო იქნებოდა ბავშვებისა და თავიანთი თავის გამოსაკვებად.

დოკუმენტურ წყაროებში არ არის დამოწმებული მონა მამაკაცი. ესეც, გარკვეული თვალსაზრისით, ცხადყოფს მამაკაცის ადგილს ანტიკურ საზოგადოებაში. ბერძნებს, ქალაქების დაპყრობის შემდეგ, მონებად მიჰყავდათ მხოლოდ ქალები და ბავშვები. ბერძენი მეომრები მამაკაცებს, ჩვეულებრივ, ხოცავდნენ ხოლმე, არ იხდობდნენ მცირეწლოვან ვაჟებსაც. დამპყრობლები ფიქრობდნენ: მცირეწლოვანი ბავშვები წამოიზრდებიან და თუ მათი რაოდენობა საგრძნობლად დიდი იქნება, მათი მონებად შენარჩუნებაც გაძნელდებაო.

ფირფიტებში მონა ქალები დაჯგუფებულნი არიან: ერთნი — პროფესიის მიხედვით, მაგალითად, სელის დამმუშავებლები, მრთველი და სხვა., მეორენი კი წარმომავლობის მიხედვით. მაგალითად, „მონა ქალი მილეტოსიდან" (milātos), „მონა ქალი ლემნოსიდან" (Lāmnos), „მონა ქალი კნოსოსიდან" და სხვა. საოცარია, როგორ აღმოჩნდნენ პილოსში მონა ქალები ესოდენ შორეული ადგილებიდან. შესაძლებელია, ისინი პილოსელმა მეკობრეებმა წამოიყვანეს ტყვეებად, მაგრამ დოკუმენტებში ცალკეა დამოწმებული „ტყვეების" ჯგუფი. ამასთანავე, ძნელი დასაჯერებელია მიკენელი ბერძნები თავს დასხმოდნენ სხვა მიკენურ დასახლებებს (მილეტოსი კი ერთ-ერთ ასეთ დასახლებადაა ცნობილი). უფრო რეალური იქნებოდა ამ ტე-

რიტორიაზე გვევარაუდა მიკენური სავაჭრო პუნქტები, რადგანაც წარმოებდა ბერძნული და ანატოლიური საქონლისა და მათ შორის მონების გაცვლა-გამოცვლა. თუკი მონა ქალთა ჯგუფი მეორდება (მინიმუმ) სამჯერ, შეიძლება ვთქვათ, რომ გაგვაჩნია სრულყოფილი ჩანაწერები. საუკეთესო ნიმუშები ამ თვალსაზრისით, ასევე გარკვეული თვალსაზრისით ურთიერთშემავსებელი ინფორმაციის გამო, არის Aa, Ab, Ad სერიების ფირფიტები. თითოეულ ჯგუფში მონა ქალების რიცხვი არის 1-დან 38-მდე. ხოლო ბავშვებისა — თითქმის უტოლდება ქალების რაოდენობას. ბავშვებში გოგონების რაოდენობა ბევრად აღემატება ვაჟებისას. არსებული წყაროებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონა ქალების რიცხვი მთლიანად იქნებოდა 750. მათგან 450-მდე პილოსის საკუთრებაა. ეს კი ნიშნავს, რომ პილოსი ერქვა უფრო ვრცელ ტერიტორიას, იმასთან შედარებით, სადაც გათხრები მიმდინარეობდა (გარდა ამისა, იმ ბორცვის ირგვლივ, სადაც სასახლე იდგა, აღმოჩენილია შენობების ნანგრევები). 100-მდე მონა ქალი ალბათ განეკუთვნებოდა „ახლო პროვინციას", ხოლო 200-მდე „შორეულ პროვინციას", აქედან 150 წარმოადგენდა ქალაქ ლევკტრონის მონებს (სავარაუდოა, რომ ეს ქალაქი უნდა ყოფილიყო „შორეული პროვინციის" დედაქალაქი). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყმაწვილ მონათა რაოდენობა უდრიდა 275-მდე კაცს და, ამასთანავე, 100 ბიჭს. აღსანიშნავია, რომ ამ მონების თითქმის ორი მესამედი ეკუთვნოდა პილოსს.

თავისებურებას წარმოადგენდა ულუფის განაწილება მონა ქალებში. ცხადია, რომ რაციონის რაოდენობა შეესაბამებოდა ქალთა და ბავშვთა რაოდენობას. ზოგადი ფორმულის დადგენა გაჭირდება, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ გარკვეული ნათელი მოჰფინა საკითხს ჩემმა ვარაუდმა, სახელდობრ: თუ ამოსავალად მივიჩნევდით რაციონის ერთეულის ორ მეათედს თითოეული ქალისათვის. და ერთ მეათედს ბავშვისათვის, ცალკეული ჯგუფი მიიღებდა სწორედ ამ ძირითად მინიმუმს. ზოგ ჯგუფს, რომელიც იღებდა ოდნავ უფრო დიდ ულუფას, ერთვოდა გაურკვეველი ნიშნები TA და DA. როგორც ჩანს, ეს ნიშნები რაღაც კავშირში იყო დამატებით ულუფასთან. სხვადასხვა განმარტებითი ჰიპოთეზების დონეზე, სპეციალისტები დღესაც ამ კანონზომიერებას ითვალისწინებენ, სწორედ, როგორც ძირითად ამოსავალს ჰიპოთეზებისათვის.

პილოსში აღმოჩენილი ერთ-ერთი დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ მიკენის მონების შესახებ. მასში აღნუსხულია 13 მონა ქალი. მაგრამ თვით ეს ფაქტი საკმაოდ ბუნდოვანი უნდა იყოს— ამ დოკუმენტის შემდგენელი თითქმის ყოველ სტრიქონში უშვებდა შეცდომებს (ეს ჩანს თვით ფირფიტაზე). მიუხედავად ამისა, დოკუ-

შენტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში მოიხსენიებიან ამ მონა ქალების მშობლები. ქალები სამ ჯგუფად არიან დაყოფილი: ერთი შედგება ექვსი ქალისაგან, მეორე — სამი, ხოლო ერთიც — ერთი ქალისაგან. თუმცა ამ ფრაგმენტში არ არის აღნიშნული მშობლების სახელები, მაგრამ ჩანს მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ყოველ ოჯახში ერთ-ერთი მშობელი მონაა. პილოსის ფირფიტაზე, შესაბამისად, 13-ვე ქალს ჰქვია მონა. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: თუკი ბავშვის ერთ-ერთი მშობელი მონაა, ბავშვიც დაბადებისთანავე მონა უნდა ყოფილიყო. ეს არის ვარაუდი, თუმცა დამაჯერებელი ვარაუდი. ჩვენთვის უცნობია საკითხთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული მომენტი.

გარკვეულ სირთულეს წარმოშობს „ღვთაების მონობასთან" დაკავშირებული მშობელისა და შვილის მიმართება — ღვთაების მონები ხშირად გვხვდება პილოსის წარწერებში. მაგრამ აშკარაა, რომ ღვთაების მონები არ არიან მონები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

თავი VI

რელიგია

ყველაზე დიდ სიძნელეებს არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი „უტ-ყვი“ ნივთების ინტერპრეტაციის დროს რელიგიის სფეროში ვაწყდებით. ყველა მუზეუმში უხვადაა რელიგიური ხასიათის ბრინჯაოს ხანის ნივთები. ნებისმიერი ადამიანის გამოსახულება შეიძლება ღვთაების გამოსახულებად მივიჩნიოთ და ნებისმიერი გაურკვეველი დანიშნულების არქიტექტურული ძეგლი — ტაძრად. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო რელიგიებმა ადამიანის გამოსახულების ნიმუშების მიხედვით შექმნეს ღვთაებრივი გამოსახულებების ურიცხვი რაოდენობა. შექმნეს ხელოვნების მრავალი თავისებური ნიმუში, რომელთა დანიშნულება ერთი შეხედვით რთული მისახვედრია. მაგარმ დავუშვათ, რომ ქრისტიანობის შინაარს ჩავწვდეთ მხოლოდ საკულტო ძეგლებით, ფრესკებითა და სკულპტურების მატერიალური ნაშთებით. დოკუმენტური წყაროების გარეშე, მაშინვე ნათელი გახდება, თუ რა საფრთხესთანაა დაკავშირებული ამგვარი საქმე. სულ რამოდენიმე ხნის წინათ სწორედ ამ გზით განიხილავდნენ მიკენური რელიგიის საკითხს. იყო ერთადერთი ცდა აღმოეჩინათ კლასიკური ბერძნული რელიგიის წინაისტორია მის წარმოშობაზე ვარაუდების მიხედვით და მითების მნიშვნელობების გაშიფვრით. ზედმეტი იქნებოდა მითების ისტორიულობაზე საუბარი, ამჟამადაც რომ არ ვხედებოდეთ მრავალ ასეთი სახის ცდას. ერთ-ერთი ყველაზე სავალალო შედეგი მოჰყვა რობერტ გრეივზის „ბერძნული მითების“ შენიშვნებს, თუმცა აზრი, რომ მითი არის პრიმიტიული სახის ისტორია, ძნელი აღმოსაფხვრელია. სირთულეს, ნაწილობრივ, მითის რაობის განსაზღვრაც განაპირობებს. მითს უწოდებენ გადმოცემებს, განურჩეველად იმისა ადამიანებზეა და ღმერთებზეა იგი, თუ სამყაროს დასაბამისა და ბუნებრივი მოვლენების ახსნის ფაქტს ეხება. ერთადერთი მათთვის საერთო არის ის, რომ ვერ მივიჩნევთ უშუალო სინამდვილედ.

ჩვენ ამაში ვრწმუნდებით მითების შემოწმებით. ვთქვათ, ტროას კედლები ზეადამიანური შრომის შედეგია, ამას უარყოფენ, როგორც შეთხზულს, ანდა, როგორც გაზვიადებულს. მაგრამ, თუ ტროა ადა-

შიანებმა გაძარცვეს, ეს უნდა მივიჩნიოთ ისტორიულ ფაქტად. არა მგონია მითის ფუნქციას ბევრი რამ ჰქონდეს საერთო ისტორიასთან, მაგრამ ამჟამად ეს არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს.

რელიგიისადმი არქეოლოგიური მიდგომის ერთ-ერთი აშკარა და გარდუვალი შედეგი იყო მინოსური და მიკენური რელიგიის აღრევა. ერთ-ერთი ცნობილი წიგნის სათაურია „მინოსურ-მიკენური რელიგია" (ნილსონი, 1927 წ.). თავდაპირველად არსებობდა ორი ტრადიცია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ მინოსური კრეტის და მიკენური მატერიკის ტრადიციად. თვით მიკენური ტრადიციაც კი არ უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი. იმ პერიოდის ხალხი არ იყო ებრაელებივით ისე თავდაჯერებული, რომ ხელაღებით უარეყოთ მეზობელი ხალხების ღმერთები. ისინი თითქმის ყოველთვის ითვისებდნენ და საკუთარ რელიგიურ სისტემას უფარდებდნენ სხვა რელიგიურ სისტემებს, რომლებთანაც კი ჰქონდათ კონტაქტები, ან უცხოურ ღვთაებას მსგავსი ნიშნებით ერთ-ერთ თავიანთ ღვთაებაში აიგივებდნენ.

სარწმუნოდ იმისა, რომ წინაელინური ხანის მოსახლეობას საბერძნეთში და კრეტაზე ჰქონდა ერთნაირი რელიგია, უნდა ვივარაუდოთ, მხოლოდ ორი ელემენტის შერწყმა. კლასიკური რელიგიის ანალიზმა მოგვცა ორი განმტოება: არსებობდნენ ეგრეთწოდებული ოლიმპოელი ღვთაებები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილო საბერძნეთში რეალურად არსებულ ოლიმპოს მთაზე. არსებობდნენ, აგრეთვე, ღმერთების ჯგუფები, სპეციალისტებისათვის ცნობილი როგორც ხთონური ღმერთები. ტრადიციის მიხედვით, ისინი ცხოვრობდნენ მიწის ქვეშეთში, ქვესკნელში. მათი სახელწოდება ნიშნავს „მიწიერს". დასაშვებია ჰიპოთეზა, რომ ხთონური ელემენტი წარმოადგენს წინაელინური ხალხის რელიგიას, ოლიმპოური ელემენტი კი წინაბერძნულ ახალმოსახლეთა რელიგიასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს შეხედულებაც, ალბათ, მეტად გამარტივებულია. არსებობს ამ შეხედულების დამადასტურებელი ლინგვისტური საბუთებიც და მათაც, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად, გვერდს უვლიან ხოლმე.

გადმოცემის თანხმად, არსებობდა 12 ოლიმპოელი ღმერთი: ზევსი, პოსეიდონი, ჰერმესი, არესი, აპოლონი, ჰეფესტოსი, დიონისე, ჰერა, არტემიდე, აფროდიტე, ათენა, დემეტრე. ამათგან დემეტრე. ალბათ, გვიან უნდა ჩაერთოთ ოლიმპოელი ღმერთების ჯგუფში, რადგანაც იგი, თავდაპირველად, წარმოადგენდა მიწის ღვთაებას. ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ დიონისეც მოგვიანებით შეუერთდა ამ ჯგუფს. მაგრამ პილოსში აღმოჩენილმა ორმა ფირფიტამ ძირი გამოუთხარა ამ ვარაუდს. ღმერთების სახელებთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ ლინგვისტური ფაქტორიც. თუკი ეს კულტები დაიყვანება იმ პერიო-

დამდე, როცა ინდოევროპელები ჯერ არ იყვნენ დანაწევრებულნი, მაშინ ღმერთების სახელთა პარალელები უნდა ვეძებოთ სხვა ენებშიც.

ფაქტიურად, ყველა ინდოევროპულ ენაში გვხვდება ერთადერთი სახელი, ესაა — ზევსი. მისი სახელიდან გამომდინარე, ზევსი უნდა ყოფილიყო მოწმენდილი ცის ღვთაება და, უეჭველია, საბერძნეთში ეს სახელი ბერძენთა წინაპრებმა შემოიტანეს. დიდი შრომა გასწიეს მეცნიერებმა იმისათვის, რომ შეევსოთ სხვა სახელთა ეტიმოლოგიაც. ბერძნული რელიგიის ყველა ცნობარი დიდ ადგილს უთმობს სახელების ახსნას. მაგრამ თუნდაც მცირე გამოკვლევაც კი მაშინვე ცხადყოფს, რომ თითოეულ სახელს აქვს სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხველი ახსნები. რატომღაც ეს ფაქტი არავითარ ეჭვს არ იწვევს რელიგიის მკვლევართა წრეში. ისინი კვლავაც დიდი მოწადინებით აგებენ თავიანთ თეორიებს იმაზე, რაც, მათი აზრით, არის სახელის პირველადი მნიშვნელობა. გამოცდილი ენათმეცნიერი კი კარგად გრძნობს იმ ხარვეზს, რომელიც აცამტვერებს ყოველგვარ მსგავს დასკვნას. ეტიმოლოგია არ ნიშნავს იმას, რომ ორი ზედაპირულად მსგავსი სიტყვა ერთი და იმავე ძირიდან მომდინარეობს. ძირითადი პრინციპი ესაა მოინახოს შესადარებელ სიტყვებს შორის ერთი და იგივე მნიშვნელობა ან, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ახლო მნიშვნელობები, რომ დამაჯერებლად ჩანდეს ერთი სიტყვის მეორედან განვითარების პროცესი. ამგვარად, ღვთაებათა სახელების ეტიმოლოგიის შემოწმების არავითარი საშუალება არა გვაქვს, თუ ისინი ზევსის მსგავსად მთელ რიგ მონათესავე ენაში არ შეგვხვდება. შეგვიძლია მხოლოდ ვიმსჯელოთ, დამაჯერებელია თუ არა სახელის სავარაუდო მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის დამაკმაყოფილებელი, შეგვიძლია უარვყოთ შემოთავაზებული ახსნა, მაგრამ თუ დამაკმაყოფილებელია, ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ ვარაუდი სწორია. ღმერთის შესახებ ნებისმიერ ჰიპოთეზას ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ, განსაკუთრებით იმ ჰიპოთეზას, რომელიც დამყარებულია მისი მნიშვნელობის განმარტებაზე.

განვიხილოთ, მაგალითად, სახელი პოსეიდონი, რადგან ამ სახელს ყველაზე მეტი პრეტენზიები აქვს ინდოევროპულ წარმომავლობაზე. პოსეიდონი არის ზღვის, მიწისძვრებისა და ცხენების ღმერთი. სახელის ფორმა ძველ ბერძნულ დიალექტში განსხვავებულია. ჰომეროსთან ვხვდებით [ფორმას Poseidāōn. დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს მიკენური ფორმაა. სხვა დიალექტებში სახელი გვხვდება Poteidōn ფორმით. ყოველივე ამის შემდეგ საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ საწყისი ფორმა — Poteidāōn. ჩვენ შეგვიძლია ამ ფორმიდან გამოვყოთ Potis (კლასიკური ბერძნული Posis — ქმარი. შეადარეთ სანსკრიტი Potis — მეუფე, ლათინური Potis, რომლის ზედსართავუ-

ლი მნიშვნელობაა „შემძლე“). მეორე მარცვალში გვხვდება უცნაური დიფთონგი, თუმცა ეს შეიძლება აიხსნას წოდებითის ფორმით (Potei — „ღმერთო“), რადგანაც ასეთი ფორმები ზოგჯერ უცვლელ ფორმებად განიხილება. მეორე ელემენტი მარცვალში არის dā, ōn და განიხილება, როგორც მამაკაცის სახელების ჩვეულებრივი დაბოლოება. dā ვარაუდობენ, რომ აღნიშნავს „ბიწას“. ასე-რომ, მთელი სიტყვა ნიშნავდა „დედამიწის მეუფეს ან მეუღლეს“. მაგრამ სიტყვა— dā მთელ ბერძნულ ლიტერატურაში გვხვდება მხოლოდ, როგორც წამოძახილი. ასეთია ცნობილი პასაჟი ექსილეს „აგამემნონიდან“, როცა კასანდრა ხანგრძლივ სიჩუმეს არღვევს შემაშფოთებელი წამოძახილით — otototoi-popoi-dā. პირველი ორი სიტყვა არ არის ცნობილი ბერძნული ლექსიკიდან. ისინი მნიშვნელობას მოკლებული წამოძახილებია, როგორც მაგალითად, ოპ-ოპ-ოპ, რომელიც დღესაც შეიძლება გაიგონოთ საბერძნეთში, რაც გაოცების წამოძახილია. საინტერესო იქნებოდა dā ექსილესთან სწორედ მიწისადმი რომ ყოფილიყო ვედრება. კასანდრა ხომ ოლიმპოს ღმერთის, აპოლონის ქურუმი იყო.

განვიხილოთ იდუმალებით მოცული კიდევ ერთი სიტყვა — Dēmētēr ან მისი ადრეული ფორმა Dāmātēr. ეჭვგარეშეა, დემეტრე არის მიწის ქალღმერთი, mātēr ბერძნულად ნიშნავს „დედას“, ხოლო dā — „მიწას“ უნდა ნიშნავდეს, რაც უნდა დავამტკიცოთ. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი არგუმენტია, თუმცა მას ემხრობა ბერძნული რელიგიის სპეციალისტთა უმრავლესობა. ყველა ბერძენს ჰქონდა შეგნებული დემეტრეს, როგორც დედის, ფუნქციები: თუკი მისი სახელი ოდნავ მაინც წააგავდა ბერძნულ სიტყვა — „დედას“, მას აუცილებლად ფორმა უნდა შეეცვალა ამ მსგავსების გამოსაკვეთად. სახელის პირველ ელემენტს „დედამიწის“ მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, როგორ არ შეიცვლებოდა იგი Gāmāter ფორმად — ყველა ბერძნულ ენაზე მოლაპარაკეთათვის გასაგებ ფორმად? სხვა ღვთაებათა სახელები კიდევ უფრო ნაკლებად ემორჩილებიან ეტიმოლოგიას. მაგალითად, ჰერმესს არაფერი აქვს საერთო ჰერმებთან, ქვის პირამიდებთან (Hermata), რაკი ეს უკანასკნელი სიტყვა იწყება ასო w-თი, ჰერმესი კი — არა. ამავე მიზეზით ქალღმერთ ჰერას არა აქვს საერთო „მხსნელის“ მნიშვნელობასთან. სახელი „ჰერა“ შეიძლება დავუკავშიროთ Hērōs („გმირი“). თუმცა ეს ბევრს არაფერს გვმატებს, მისი ეტიმოლოგია მაინც ბუნდოვანია. აპოლონი არ ნიშნავს გამანადგურებელს, თუმცა ბერძნებს უყვარდათ Apollūmi — „ვანადგურებ“ ზმნით კალამბური. აფროდიტეს, შესაძლოა, არავითარი კავშირი არა აქვს სიტყვასთან ap-

hros—„ქაფი“, თუმცა არსებობს რომანტიკული სურათები, როცა აფროდიტე ამოდის აქაფებული ტალღებიდან. Dionysos, ალბათ, მოიცავს თავისი მამის სახელს — „ზევსს“ (ნათესაობითში — Dios), მიკენურიც ამჟამად გვიდასტურებს w-ს — Diwo; მაგრამ ამ შედგენილი სიტყვის მეორე ნაწილი ბუნდოვანი რჩება. სახელები, როგორიცაა Hēphaistos და Athēnā, ცხადყოფენ წინაბერძნული წარმომაელობის ტოპონიმებში დამოწმებულ ნიმუშებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ სულ ცოტა 600 წელი აშორებს ერთმანეთს საბერძნეთში ბერძენთა წინაპრების შესვლას და ყველაზე ადრეულ მიკენურ ტექსტებს. 600 წლის განმავლობაში, ხანგრძლივი ცვლილებების შემდეგ სრულყოფილად ჩამოყალიბდა კლასიკური რელიგიის სურათი.

ყოველთვის, როდესაც რაიმე ცნობისათვის მივმართავთ წყაროებს ღმერთების შესახებ, იმედი გვიცრუვდება ხოლმე. არა გვაქვს არავითარი თეოლოგიური ტექსტები ან ჰიმნები, არც ის მოკლე მინაწერები, რომელსაც ზოგჯერ მინოსელები უკეთებდნენ ღმერთებისათვის შეწირულ საგნებს. ღმერთები გვევლინება მხოლოდ მიმღებად იმ დოვლათის ნაწილისა, რომელსაც სასახლის მმართველები სწირავდნენ ხოლმე. მიკენელები ღმერთის სახელსაც კი განსაკუთრებით არ გამოყოფდნენ. ასე რომ, ჩვენ ზოგჯერ ეჭვი გვეპარება ღმერთისაა სახელი თუ ადამიანისა. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, არის ის, რომ გავაიგივოთ ზოგი სახელი კლასიკურ ღვთაებათა სახელებთან და შემდეგ, ანალოგიით, გავაიგივოთ ზოგიერთი უცნობი სახელი, როგორც ღვთაებრივი.

ერთ-ერთი პირველი „ტექსტი“, რომელიც აღმოჩნდა 1952 წელს (ვენტრისი), იყო მცირე ზომის ფირფიტა ორხაზოვანი წარწერით. ამ ფირფიტის მარჯვენა ნაწილი ჩამოტეხილია. წარწერის სიტყვა ვერც ერთმა ბერძენმა მკვლევარმა ვერ ამოიკითხა ისე, რომ არ გამოეყოთ ჯგუფი — Atānā Potnia — „ქალღმერთი ათენა“. იგი თითქმის ემეორებდა ჰომეროსის ფორმას Potni Athēnaie. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ საეჭვოა, არის თუ არა ზუსტი ზემომოყვანილი ინტერპრეტაცია. ამავე ფირფიტაზე ვხვდებით სიტყვა E-nu-wa-ri-jo, ეს, აშკარად, უნდა აღნიშნავდეს სახელს—Enualiso, ბერძნულ ლიტერატურაში ეს სახელი ენაცვლება ომის ღმერთის — არესის — სახელს. თუმცა ამ სახელით მოიხსენიება ღვთაება, რომელიც, გადმოცემების თანახმად, იყო არესის ვაჟი. ზემომოყვანილ ტექსტში სიტყვა Pa-ja-wo უნდა იყოს ჰომეროსის Paiāwōn (მოგვიანებით — Paian). ესაა აპოლონის მეორე სახელი (თუ სხვა ღმერთზე არ არის საუბარი). აქვე ვხვდებით სახელ Po-se-da (Po-se-da-o აღდგენილი ფორმა), უნდა იყოს Poseidāon და, მაშასადამე, გაშიფრულია ოთხი ჩვენთვის კარგად ცნობილი ღმერთის სახელი. ცალ-ცალკე ნებისმიერი

მათგანი შესაძლოა ილუზია ყოფილიყო, მაგრამ ერთ სიაში ოთხი ღმერთის სახელი ძნელად თუ შეიძლება იყოს უბრალო დამთხვევა.

მოგვიანებით აღმოაჩინეს მცირე ზომის ორი ნაწილისაგან შედგენილი ფრაგმენტი, სადაც დამოწმებულია ზემომოყვანილი სახელის — Pa-ja-wo-ს — სხვადასხვა ბრუნვის ფორმები. სხვა ტექსტებში დამოწმებულია ზევსისა და ჰერას სახელები, აგრეთვე, ჰერმესის სახელი მიკენური ფორმით.

საინტერესოა პილოსის ერთ-ერთი ფირფიტა, რომლის ტექსტი არის ერთადერთი დოკუმენტი — მსგავსი ჯერ არ აღმოუჩენიათ. ამ ტექსტში ხშირად არის ამოშლილი და ხელახლა ჩაწერილი სიტყვების ნიმუშები. ჩანს ნაჩქარევი ჩანაწერის კვალი და ა. შ. ზოგ შემთხვევაში ტექსტი ისეა არეული, რომ ძნელია ამოკითხვაც კი. როგორც ჩანს, გადამწერს ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია ტექსტზე. ზოგან იგი იწყებს წერას ფირფიტის ერთ მხარეს, თითქოს უკმაყოფილო დარჩენილა, წაუშლია ნაწერი და ყველაფერი თავიდან დაუწყია, უკვე ფირფიტის მეორე მხარეს. ტექსტი იწყება სიტყვით — Po-ro-wi-to-jo, რაც შეიძლება იყოს თვის დასახელება. ჩვენს ხელთ არის სხვა ფირფიტებიც და ამ ფირფიტების ყველა ტექსტი, უმეტესწილად, რელიგიური ხასიათისაა. ეს ჩანაწერები იწყება თვის სახელით ნათესაობით ბრუნვაში, სამწუხაროდ, მას არ მოსდევს სიტყვა „თვე“, თუმცა ვარაუდს განამტკიცებს თვით ფაქტი — თვის სახელი გვხვდება ყველა ანალოგიურ ჩანაწერში.

მეცნიერმა ლ. რ. პალმერმა შემოგვთავაზა სწორი ინტერპრეტაცია (1955 წ. გამ. II) იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ თვეს ერქვა Plowistos, რაც უნდა ნიშნავდეს „ზღვაოსნობის თვეს“. ბერძნებს ეშინოდათ ზღვაში გასვლა ზამთრის ქარიშხლიან თვეებში და მხოლოდ მარტის თვის ბოლოს იწყებდნენ ნავიგაციას. ბერძნული თვეები, ცხადია, მთვარის თვეები უნდა ყოფილიყო. ეს რომაელებმა გამიჯნეს კატეგორიულად თვისა და მთვარის ცნებები და დოკუმენტებშიც თვის აღსანიშნავად გვხვდება ნახევარმთვარის ნიშანი. ზემომოყვანილი დოკუმენტის თითოეულ ხაზს მოჰყვება ნორმაზე სამჯერ დიდი ზომის ორი ნიშანი. როგორც ჩანს, ეს იყო პილოსის ჩანაწერების ნიშნები. ეკვგარეშეა, ტექსტი ეხებოდა სატახტო ქალაქს, თუმცა ამავე წყაროში ვხვდებით სხვა ადგილების სახელებსაც. პირველი აბზაცის მიხედვით, მოქმედება მიმდინარეობს რომელიღაც მთავარ ოლქში. ეს ოლქია Pa-Ki-ja-ne. სახელწოდების მთლიანად აღდგენა რთულია. სავარაუდოა, რომ ეს არის Sphagiānēs — ოლქი. გვაქვს სხვა ცნობები, რომელთა მიხედვითაც Sphagiānēs-ის ოლქში მდებარეობდა სასახლე. შესაძლოა, ეს იყო, დაახლოებით, ის ტერიტორია, სადაც ამჟამად ქალაქი ხორა მდებარეობს, უფრო ზუსტად კი, პილოსის სამეფოს სასახლე ამ

ქალაქის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო. აქ აღმოჩენილი მიკენური პერიოდის სამარხები მოწმობს, რომ ამ მიდამოებში უნდა ყოფილიყო რელიგიური ცენტრი.

ფორმულა, რომლითაც იწყება თითოეული ხაზი, ძნელი დასაღგენია. მაგრამ ყველაზე სწორი უნდა იყოს ვარაუდი, რომ ამ ფორმულას აქვს მიმართება რაღაც რელიგიურ რიტუალთან. ჩანაწერში დამოწმებული ოთხი სახელიც ღვთაებათა სახელები უნდა ყოფილიყო. ყოველ მათგანს განეკუთვნებოდა ოქროს ჭურჭელი, ორ შემთხვევაში — ქალი. ასეთი ნიმუშები მეორდება სხვა სტრიქონებშიც. ღვთაებათა სხვადასხვა სახელებთან ერთად, არის შემთხვევა, როცა ღვთაება მამრობითი სქესისაა, კაცს ენაცვლება ქალი. გაურკვეველი სიტყვა po-re-na ამ ტექსტში სამსხვერპლოს ძღვენის რომელიღაც სახეობას უნდა აღნიშნავდეს.

მიკენური სამარხების გარეთ აღმოჩენილია ადამიანთა ძვლები, სავარაუდოა, რომ ეს იყო შეწირულ მსხვერპლთა ძვლები. ამ ვარაუდის დასამტკიცებლად ხელთ არა გვაქვს საკმარისი საბუთები, თუმცა, საბერძნეთში გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ამ ვარაუდს ხელაღებით ვერ უარვყოფთ.

კლასიკური პერიოდის ბერძნებში მსგავს ტრადიციას ფეხი არ მოუკიდებია. ადამიანის მსხვერპლთშეწირვის ფაქტებს ადასტურებს მხოლოდ ჰომეროსის ტექსტი, ძველბერძნული ტრადიციის მრავალი სიუჟეტი.

ახლა ყურადღება გავამახვილოთ კვლავ იმ წარწერებზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ დოკუმენტშია. პირველ სტრიქონში, სადაც მოქმედება ლოკალიზებულია Sphagianes — ოლქით, გვხვდება სიტყვა Potnia. იგივე სიტყვა გვხვდება კნოსოსის ფირფიტაზეც, ქალღმერთ ათენას სახელთან ერთად. აქ იგი, აშკარად, აღნიშნავს ქალღმერთს. თუმცა ინდოევროპულ ენებში იგი, არცთუ იშვიათად, „მეუფის" მნიშვნელობით იხმარება. ფირფიტების სხვადასხვა ტექსტები, სადაც კი გვხვდება Potnia, ცხადყოფს, რომ ეს არის „მეუფე" ან თავად ქალღმერთი, ან მისი ეპითეტი. მაგალითად, თებეში აღმოჩენილ ფირფიტაზე წარწერა Potnia მრავლობით რიცხვში უნდა შეესაბამებოდეს საბერძნეთის ღვთაებებს დემეტრასა და მის ასულს პერსეფონეს, რომელიც შემდეგ ჰადესის დედოფალი გახდა. ყოველივე ეს უნდა ცხადყოფდეს მიწის ქალღმერთის წინაელინური კულტის კვალს. შესაბამისად, Potnia უნდა იყოს მიწის ქალღმერთის მიკენური გამოვლინება. მით უმეტეს, ყველაზე ხშირად წარწერებში ქალღმერთ ღვთაებათა შორის ფიგურირებს სწორედ ეს სახელი. ზემოაღნიშნული ფირფიტის ახალ ხაზზე არის ჩანაწერი: ოქროს ჭურჭელი და ქალის სახელი ma-na-sa. ვინაიდან სახელი არსად გვხვდება, შეუძლებელია მისი იდენტიფიკაცია რომელიმე ბერძნული ქალღმერთის სახელთან. ამას მოჰყვება

ანალოგიური ჩანაწერი Po-si-da-e-ia და თუმცა ასეთი ქალღმერთი არ არის ცნობილი კლასიკურ პერიოდში, Posidaea უნდა იყოს პოსეიდონის მდედრობითი სქესის დერივატივი.

ჩანაწერის ბოლო სტრიქონზე აღნუსხულია ძღვენი — ოქროს ჭურჭლები და არავითარი ადამიანები. ძღვენი განკუთვნილია Tris-Hērōs და Do-po-ta-სადმი. პირველი სახელის მეორე კომპონენტი — hērō-ს—ნაცნობია. მოგვიანებით, საბერძნეთში Hērōs-ს უწოდებდნენ ნახევრადღმერთს ან საკუთრივ ღმერთებს. Tris ნიშნავს „სამგზის". ზემომოყვანილის მსგავსი კომპონენტი საბერძნეთში არ არის დამოწმებული. ხოლო Do-po-ta შეიძლება იყოს კლასიკური ბერძნული სიტყვის despotes („უფალი") დიალექტური ფორმა. თუმცა ეს ვარაუდი მეტისმეტად საეჭვოა. ტექსტის მომდევნო ნაწილში, ფირფიტის მეორე მხარეს, ნახსენებია ოქროს ჭურჭლები და ორი ქალი. მაგრამ ქალღმერთის სახელი ნაცნობ ფორმულას აღარ მოჰყვება. წარწერის ამ მონაკვეთის გაშიფვრა ყველაზე რთულია, რადგანაც ნაწერი უხეშადაა შესრულებული.

შემდეგ ჩანაწერში აღნუსხულია ქალღმერთები: Pe-re-swa, Iphimedeia და Diwiya. ეს ქალღმერთები იღებენ მსხვერპლს. Pe-re-swa იღებს მხოლოდ ერთ ოქროს ჭურჭელს, ; დანარჩენი ორი ქალღმერთი კი — ორ-ორ ჭურჭელსა და ქალს. Pe-re-swa ნახსენებია პილოსის სხვა ფირფიტაზეც. აქ იგი მოხსენებულია პოსეიდონთან ერთად — მათთვის განკუთვნილია მსხვერპლი: ცხვარი, ტახი და ღორი. აღსანიშნავია, რომ ძველი რომაული რიტუალის Suouetautilia-ს დროსაც ცხოველების ამ სამ სახეობას სწირავდნენ ხოლმე მსხვერპლად. სახელი Pe-re-swa შეიძლება აღვადგინოთ Preswa ფორმით, რომელიც ბუნდოვნად წააგავს პერსეფონეს — ჰადესის დედოფლის სახელის პირველ ელემენტს. Iphimedeia ოდნავ განსხვავებული გახმოვანებით შეიძლება დაუკავშირდეს ეტიმოლოგიას — „ვინც ძალაუფლებით მართავს". მსგავსი სახელი ცნობილია ჰომეროსის „ოდისეა"-დან (II, 305). ესაა მითური ქმნილება, რომელსაც პოსეიდონისაგან ჰყავდა სამი ვაჟი. საინტერესოა, მიაგებდნენ თუ არა მას, როგორც ქალღმერთს, პატივს პილოსში. Diwiya კიდევ ერთი ქალღმერთია, რომლის სახელი სხვაგანაც მოიხსენიება. როგორც ჩანს, Diwiya არის ზევსის ისეთივე მდედრობითი დერივატივი, როგორიცაა „პოსეიდონიდან" „პოსიდეია". სავარაუდოა, რომ Diwiya იყო ზეცის ქალღმერთი. ზემომოყვანილი ტექსტის ბოლოს ვხვდებით პირველ ცნობას შეწირული მამაკაცის შესახებ. მსხვერპლს სწირავდნენ Hermes Arias, Arias-ის მნიშვნელობა უცნობია; თუმცა იგი წააგავს „არეს-ის" — ომის ღმერთის — სახელს, მაგრამ ეს იყო ზევსის და ათენას ეპითეტები IV საუკუნის არკადიულ საკულტო წარწერებში.

ჩვენთვის ცნობილი წარწერის უკანასკნელ სტრიქონებში აღნუსხული უნდა იყოს ზევსისა და ჰერასათვის შეწირული მსხვერპლები. მსხვერპლს სწირავდნენ ვიღაც di-ri-mi-jo-საც. სავარაუდოა, რომ ამ გაურკვეველ სიტყვას აქვს „ვაჟის“ მნიშვნელობა და თუ ეს, მართლაც ასეა, di-ri-mi-jo-ც უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი უცნობი ღმერთი. შესაძლოა სიტყვას აკლია მარცვალი ან არასწორადაა დაწერილი. შეიძლება ეს სიტყვა ნიშნავდეს „ქურუმსაც“, მაგრამ მაინც ყველაზე რეალურია ესეც ვივარაუდოთ ერთ-ერთ ღმერთად, რომელსაც მსხვერპლს სწირავდნენ ხოლმე.

შევაჯამოთ ყოველივე ზემოგანხილული: წინამდებარე დოკუმენტი არის შესაწირთა უპრეცედენტო ნიმუშების ნაჩქარევად შედგენილი ნუსხა. მასში დამოწმებულია: 13 ოქროს ჭურჭელი და 10 ადამიანი ღვთაებათა სამი ჯგუფისათვის. ზევსი, ჰერა და ჰერმესი ერთადერთი, ადვილად გამოსაცნობი სახელებია, რამდენადაც ეს ღმერთები ცნობილია კლასიკურ პანთეონში. მეტ-ნაკლები სიფრთხილით ქალღმერთი პოტნია შეიძლება გავაიგივეოთ დემეტრასთან. ხოლო დოკუმენტში დამოწმებული სხვა სახელები შეიძლება თუ არა კლასიკური პანთეონის ღმერთებთან გავაიგივეოთ, თუ ესენია ჩვენთვის უცნობი მიკენური ღმერთები? უფრო სწორი იქნებოდა უცნობი სახელები ადგილობრივი კულტების წარმომადგენლების სახელებად მიგვეჩნია.

იქნებ ყველაზე უცნაურად მოგვეჩვენოს ის, რომ გვერდი ავუარეთ მნიშვნელოვან ფიგურას — პოსეიდონს, თუმცა ნახსენებია მისი მდედრობითი ორეული. პილოსის ფირფიტების წარწერებში ყველგან ვხვდებით პოსეიდონს. ის არის ერთადერთი უზენაესი ღმერთი, რომელიც წარწერების მიხედვით ყოველწლიურად იღებდა შეწირულ მარცვალს. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, ცამეტ მიწათმფლობელს შეწირული აქვს ხორბალი პოსეიდონისა და სამი უცნობი ღვთაებისათვის, მაგრამ ყველაზე მეტი ხორბალი პოსეიდონისათვის შეუწირავთ. გარდა ხორბლისა, პოსეიდონს სწირავდნენ: ხარებს, ცხვრებს, თხებს, ღორებს, თაფლს, მატყლს, ქსოვილებს, ღვინოს და სხვ.

მსხვერპლშეწირვის რიტუალის აღწერისას ჩვენ ვხვდებით ტერმინს „მოახლე“. ესენი არიან, უეჭველია, ღვთაების მოახლენი, „ღვთისმსახურები“. წარწერებში მოხსენიებული დღესასწაულებიდან მხოლოდ ორის სახელია ამოკითხული, თუმცა დაზღვეულნი არა ვართ ორაზროვნებისაგან. ერთ-ერთი დღესასწაული დაკავშირებულია პოსეიდონის სახელთან და ეწოდება „ტახტების გაშლა“, ეს უნდა იყოს, ალბათ, „ღვთაებრივი ქორწინება“. მეორე დღესასწაულს კი შეიძლება ეწოდებოდეს „ტახტების დაკავება“. აღნიშნულია ადგილები, სადაც ტარდებოდა ეს დღესასწაულები და, როგორც ჩანს, სამეფოსგან მოშორებულ პუნქტებში სამსხვერპლოდ ძღვენს არ აგზავნიდნენ.

ფირფიტათა უმრავლესობაში აღნიშნულია თვეების სახელები. აქ წარმოდგენილია ექვსი თუ შვიდი „თვის“ დასახელება, რომელიც შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ სამეფო დანგრეულა მიმდინარე წლის მეშვიდე თვეში. სამწუხაროდ, სხვადასხვა ბერძნულ ქალაქებს თვის სხვადასხვა სახელები ჰქონდა. ამასთანავე, წლის დასაწყისსაც სხვადასხვა კალენდარი სხვადასხვა ასტრონომიულ მოვლენას უკავშირებდა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კნოსოსი და პილოსი არ წარმოადგენენ გამონაკლისს.

წარწერათა უმეტესი ნაწილი მოკლეა. თუმცა გრძელი წარწერებიდანაც მხოლოდ ერთი შეიძლება განვიხილოთ სანიმუშოდ. წარწერა იწყება „დეევუკიოს თვეში“ და შემდეგ, ყოველ ცალკეულ ჩანაწერს ცალკე სტრიქონი ეთმობა. პირველად გვხვდება ნაცნობი სახელი „დიქტელი ზევსისათვის“. ესაა კლასიკური პერიოდისათვის ცნობილი ზევსის ეპითეტი. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში სახეზეა ბერძნული ზევსისა და წინაბერძნული ღვთაების შერწყმის ფაქტი. დიქტე არის კრეტაზე ცნობილი მთის მწვერვალი, კნოსოსის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ ყოველი გამოქვაბული ცნობილია, როგორც საკულტო ადგილი. მეორე ჩანაწერია: „დედალეიონისათვის“. კნოსოსის მეფის მთავარი ხუროთმოძღვრის დედალოსის ამბავი საკმაოდ კარგად არის ცნობილი, ამიტომაც აქ აღარ გავიმეორებთ. დედალეიონი რომ არსებობდა, ცხადია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ დედალოსს ღმერთის შესაფერის თაყვანს სცემდნენ. წარმოებული სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს დედალოსის მიერ აგებულ შენობას, შესაძლოა, ტრადიციაში კარგად ცნობილ ლაბირინთს. ტექსტის დანარჩენ ჩანაწერებში კარგად იკითხება სხვა წარწერებიდან ცნობილი ფორმულა — „ყველა ღმერთებს“. თითქმის ყველა დანარჩენი სახელის სავარაუდო ინტერპრეტაცია ბოლომდე სანდო არ არის. აშკარაა ერთი რამ: ჩანაწერში საუბარი უნდა იყოს საკულტო ადგილებსა და ღვთაებებზე.

რელიგიური ასპექტის თვალსაზრისით, საინტერესოა თებეს ფირფიტების სერიები, რომლებშიც აღნუსხულია მატყლის გადასახადები. ერთ-ერთი განკარგულება გაიგზავნა ქალაქ ამარინთოსში. კლასიკურ პერიოდში ეს იყო ცნობილი ქალაქი კუნძულ ევბეას დასავლეთ სანაპიროზე. და თუმცა ეს ადგილი ბეოტიაში არ იყო, მაგრამ ქალაქ თებედან დიდ მანძილზე არ მდებარეობდა. შესაძლოა, ბეოტიაშიც იყო ამავე სახელწოდების ქალაქი. ცნობილია, რომ კლასიკური პერიოდის ამარინთოსში იყო არტემიდეს ცნობილი ტაძარი და რაკი ზემოხსენებული წარწერებიც, გარკვეული თვალსაზრისით, უკავშირდება რელიგიას, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ არტემიდეს კულტი უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა ამარინთოსში. სახელი არტემიდე გარკვევით

არის დამოწმებული პილოსის ფირფიტაზე, სადაც ერთ-ერთი მამაკაცი მოიხსენიება, როგორც მისი მსახური.

კნოსოსის ფირფიტაში ორჯერ, აქედან ერთხელ რელიგიურ კონტექსტში, გვხვდება სიტყვა a-re; ეს ძალიან წააგავს Arēs -ს. მაგრამ მთავარი სიძნელე არის ის, რომ a-re-ს ფორმა აქ უნდა იყოს მიცემითი ბრუნვის ფორმა a-re-i-ით, თუმცა ეს სირთულეც დასაძლევია. ყოველ შემთხვევაში, მამაკაცთა სახელები Areios და Areimenēs წარმოებული უნდა იყოს Arēs ფორმიდან და, მაშასადამე Are-ც შეგვიძლია მივიჩნიოთ მიკენური ღმერთის კიდევ ერთ სახელად.

ანალოგიური დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, როცა დამოწმებულია მამაკაცის სახელი A-pa-i-ti-jo. მაგრამ ტექსტი დაზიანებულია. სახელი იდენტიფიცირებული იყო, როგორც Haphaistios ან Haphaistion. აპოლონი გვხვდება ერთხელ და ისიც ფორმით Paiawōn. აფროდიტეს სახელი დამოწმებული არ არის. დიონისეს (Diwonusos) იდენტიფიკაციაც საეჭვოა. ფირფიტაზე მკვლევარებმა ამოიკითხეს კრეტული ქალღმერთის Diktunnā -ს სახელი. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერძნებმა კრეტაში ხელუხლებლად დატოვეს ძველი მინოსური ღმერთები, მათი სალოცავები მთელი მინოსური პერიოდის განმავლობაში გ.მ. III-მდე*. და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში დამოწმებულია გაურკვეველი სახელები, რომლებიც, აგრეთვე, სხვადასხვა ღვთაების სახელები უნდა ყოფილიყო.

პილოსში აღმოჩენილ ერთ-ერთ ფირფიტას აქვს ისეთი დასაწყისი, რომ ჩანაწერი მთლიანად შეიძლება აიხსნას, როგორც „საიდუმლო ზიარების" ცერემონია. როგორც წესი, თვით ცერემონიის დეტალები არ იწერებოდა, მაგრამ ხდებოდა ხოლმე შეწირული ნივთების აღნუსხვა სპეციალურ დავთარში. მოქმედება მიმდინარეობდა Sphagianēs მიდამოებში (როგორც ვიცით, ეს ოლქი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საკულტო ცენტრს. — მთ. შენ). ტექსტის პირველი ფრაზა გაურკვეველია, მაგრამ შეიძლება ნიშნავდეს „მეფის ზიარებას". სიტყვა, რომელსაც აქვს „ზიარების" მნიშვნელობა, არ არის ბერძნულის კლასიკური ფორმა, მაგარმ პარალელები შეიძლება მოინახოს. საოცარია სიტყვათა წყობაც; მაგრამ მეტ-ნაკლები სიზუსტით მათი ინტერპრეტაცია შესაძლებელია. შთამბეჭდავია შესაწირ საქონელთა ნუსხაც: 1,514 ლიტრი ჭვავი, 115 ლიტრი ფქვილი, 307 ლიტრი ზეთისხილი, 19 ლიტრი თაფლი, 96 ლიტრი ლეღვი, 91 ლიტრი ხორბალი; 26 ჭედილა, 1 ხარი, 8 ნერბი, 2 ვაცი, 2 დედალი თხა, 1 ბურვაკი, 6 ღორი და 585½

* გვიანმინოსური III.

ლიტრი ღვინო. თუ ეს ცერემონია ნამდვილად „სამეფო ზიარება“ იყო, ეს სია გადაჭარბებული არ უნდა ყოფილიყო. შესაწირთა შორის ტექსტები გვიმოწმებს ზეთსა და მატყლს. როგორც ჩანს, მატყლი იყო ნედლეული შალის ქსოვილისათვის. ქსოვილებიც არის დამოწმებული შესაწირთა ნუსხებში. მაგრამ ძნელია ვიმსჯელოთ, ეძღვნებოდა თუ არა მიკენურ ღვთაებებს, კლასიკური ღმერთების მსგავსად. საკულტო ტანსაცმელი.

ქვის საკულტო ფიგურები არ არის ცნობილი. როგორც ჩანს, საკულტო გამოსახულებანი მეტწილად ხისგან მზადდებოდა და ალბათ, ამიტომაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ანტიკური წყაროები გვიმოწმებს, რომ უძველეს პერიოდში არსებობდა ხის ქანდაკებები — „ქსოანები“. სავარაუდოა, რომ ხის საკულტო ქანდაკებები ჰქონდათ მიკენელებსაც.

თავი VII

სოფლის მეურნეობა

მეტრული სისტემის ერთეულები საგანგებო ნიშნებითაა წარმოდგენილი. ეპვგარეშეა, ნიშნები გამოხატავდა სიტყვებს, მაგრამ, რადგანაც დამწერლობა მარცვლოვანია, სავარაუდოა სიტყვების შემოწმება შეუძლებელი ხდება. მთელ ერთეულზე ნაკლები რაოდენობა გამოიხატებოდა წილადური ნიშნების რთული სისტემით. წონის ერთეულები შედარებით მარტივია, თუმცა სკალის დაბალი ერთეულების შესავსებად ცნობები საკმარისი არა გვაქვს. უდიდესი წონითი ერთეული, რომელიც გამოიყენებოდა ბრინჯაოს ტიპის საგნებისათვის, არის სასწორის ნიშანი (პირობითი ტრანსკრიპცია არის ნიშანი — L). უდიდეს წონით ერთეულს, რომელსაც კლასიკურ ხანაში იყენებდნენ, ეწოდებოდა talanton (ლათინური talentum) და, რადგანაც შესაბამისი ერთეულები გამოიხატებოდა სასწორით, ეპვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ეს იყო მიკენური ერთეულის სახელი. იგი იყოფა 30 minae-დ. კლასიკური „ტალანტი" იყოფა 60 „მინა"-დ, მაგრამ, რადგანაც მიკენური ნიშანი აშკარად ორმაგია, ჩვენ შეგვიძლია მას ორმაგი მინა ვუწოდოთ. სიტყვა mna (ლათინიზებული „mina") სემიტურია; ექვსათეულიანი სისტემაც, ერთეულის 60 ნაწილზე დამყარებული, აშკარად ახლოაღმოსავლური წარმოშობისაა.

ორმაგი მინა იყოფა მეოთხედებად და ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, ალბათ, მეთორმეტედებად. არის კიდევ ერთი პატარა წონითი ერთეული — „დრაქმა". იგი მინის ერთი მესამედია, ხოლო „ობოლი" ერთი დრაქმას მეთექვსმეტედია. კლასიკური წონითი ერთეულების შედარება ძალიან რთულია, რადგან მაშინ არსებობდა ორი სრულიად განსხვავებული სტანდარტი: ერთზე ტალანტი შეესაბამებოდა 25,86 კგ-ს, მეორეზე — 37,80 კგ-ს. არ შეგვიძლია ვთქვათ შეეფარდებოდა თუ არა მიკენური ტალანტი ერთ-ერთ ამ სტანდარტს, თუ მათ შორის რაიმე შუალედს წარმოადგენდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ციფრები ჩვენი მსჯელობისათვის შეფარდებით საზღვრებს გვაძლევს. ჰაგია-ტრიადაში აღმოჩენილი ბრინჯაოს საშუალო წონა — ოდნავ

აღემატება 29 კგ-ს. ეს, ალბათ, ნაკლებია მათ თავდაპირველ წონაზე და იგი შეიძლება ყველაზე მეტად შეესაბამებოდეს ტალანტს.

პრობლემის გადაჭრის იდეალური გზა იქნებოდა მიკენური წონის ერთეულების თანამედროვე წონით ერთეულებთან იდენტიფიკაცია. მაგრამ აქაც ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან მეტალის წონა იკლებს კოროზიის, ქიმიური რეაქციებისა და დაზიანების შედეგად. დანაკარგის საკომპენსაციოდ ევანსმა შეიმუშავა მეთოდი: აიღო თაბაშირის ასლი, შემდეგ აღადგინა იგი და ამ გზით გამოიანგარიშა დაკლებული მოცულობა. მაგრამ ამ პერიოდში წონის სტანდარტები გვხვდება ჯერ კიდევ იშვიათად, უმეტესწილად კრეტადან.

ევანსმა კნოსოსში აღმოაჩინა წონითი სტანდარტების დიდი რაოდენობა, მათ შორის უდიდესია ბათქაშის ფილა რეაფეხის დეკორაციით. სადავო საკითხია, არის თუ არა ეს ნამდვილად წონის სამასშტაბო ერთეული. თუ ეს ასეა, მისი წონა, ევანსის სიტყვებით, შეესაბამებოდა 29 კგ-ს და ეს უნდა ყოფილიყო ტალანტი. უფრო გამოკვეთილი ნიმუშებია ოდნავ გაბრტყელებული ცილინდრები. ერთ, ყველაზე დიდ ცილინდრზე აღნიშნულია დიდი წრე პატარა წრეებით. ევანსმა ივარაუდა, რომ აქ აღნიშნული იყო 24 ერთეული. ამან მოგვცა ერთეული, რომელიც, დაახლოებით, უდრიდა 65,5 გრამს. შესაბამისად, ცილინდრი, რომელზედაც ალბათ ხუთი წრე იყო აღნიშნული, შესაძლოა, უდრიდა 327,02 გრამს (65,5×5—327.5) და ა. შ. მაგრამ სხვაგან, მაგალითად, კიკლადების ერთ-ერთ კუნძულზე — კეოსზე— აღმოჩენილი წონითი სტანდარტები განსხვავებულია. ე. ი. 65. 5 ვ არის მხოლოდ ერთ-ერთი წონითი ერთეული მინოსური სამყაროს სხვადასხვა სისტემებში და ეს შეიძლება არც იყო სტანდარტი მინოსურ სამყაროში.

ნებისმიერი ფხვიერი სხეულებიც, როგორიცაა მარცვალი ან თესლი, და არა მარტო სითხეები, იზომებოდა არა წონით, არამედ მოცულობით. მოცულობის ძირითადი ერთეული არის ნიშანი ათასი (პირობითი ტრანსკრიფციით). თითქმის დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ერთეულის კლასიკური სახელი იყო Kotylē. ეს სიტყვა ჯერაც ცოცხალია ბერძნულში. როდესაც რაღაც, თასის მსგავსი, აღმოაჩინეს გათხრების დროს თერას მახლობლად, ერთ-ერთმა მუშამ მაშინვე იცნო საგანი, რომელსაც მასთან, არკადიაში ეძახოლნენ Kotoūli-ს, ეს არის იმავე სიტყვის დიალექტური ფორმა.

კლასიკურ სისტემაში ოთხი kotylē გვაძლევს ერთ khoinix-ს, და რადგან ეს არის ზუსტი პროპორციული შეფარდება Z-სი V-სთან, დასაშვებია, რომ V=1 khoinix-ს, მაგრამ შემდეგ უკვე სისტემები განსხვავებულია. რვა khoinix გვაძლევს ერთ modios-ს. ამრიგად, ქოინიქსი არის

უდიდესი კლასიკური ერთეულის 1/48 და უდიდესი მიკენური ერთეულის 1/60.

ამ შემთხვევაშიც კლასიკური წონის ერთეულები უნდა მოვიშველიოთ. გვაქვს ორი სტანდარტი—kotylē მეორეობს 270-დან 388 კუბ. სმ-მდე. medimnos—51, 84-დან 75,5 ლიტრამდე. თუკი Kotylē უფრო ტრადიციულია, ვიდრე medimnos, მაშინ უდიდესი მიკენური ერთეული 25 პროცენტით უფრო დიდი იქნება კლასიკურ medimnos-ზე (ე. ი._93,1 ლიტრამდე იქნება).

ნიშნები V და Z პირობითად გამოვიყენოთ რიცხვების აღმნიშვნელადაც. რადგანაც მათ შეიძლება იგივე რიცხვითი მონაცემები შეესაბამებოდეს. ე. ი. თხევადი ნივთიერების საწყავის უდიდესი ერთეული, ფხვიერი სხეულების საწყავის უდიდესი ერთეულის მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს. ის შეიცავს 72z, ნაცვლად 240z-სა. ფაქტობრივად, ზომა-წონის ამ ერთეულების ზუსტი ეკვივალენტების პოვნა რთულია. განსხვავების მიზეზი წონის შეფარდებით ერთეულებში უნდა ვეძებოთ. ერთი ლიტრი წყალი იწონის 1 კგ, მაშინ, როცა 1 ლიტრი მარცვალი იწონის დაახლოებით 630 გრამს. მიკენის არემარეში არ აღმოუჩენიათ საწყავი ჭურჭელი. ამ მიზნისათვის, ალბათ, ხის ჭურჭელს ამზადებდნენ, რადგან ბევრად უფრო ადვილია სასურველ ზომას შეუფარდო ხე, ვიდრე მისცე ზუსტი მოცულობის შესაბამისი ფორმა თიხის ჭურჭელს. ძნელია ვიმსჯელოთ მინოსური და მიკენური ზომა-წონის ერთეულების შესახებ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ მათი მოცულობა იყო დაახლოებით 200 ან 800 კუბური სანტიმეტრი.

მიუხედავად იმისა, რომ მეტად რთულია დაიცვა სიზუსტე თიხის ჭურჭლის ხელით დამზადების დროს, ხელოსნები, ალბათ, მაინც ცდილობდნენ დაემზადებინათ საწყავი სისტემის ერთეულების შესაბამისი ზომის ჭურჭელი.

პროფესორმა მ. ლენგმა (1964 წ.) დიდი გულმოდგინებით გაზომა პილოსთან გათხრების დროს აღმოჩენილი ყველა დაუზიანებელი ჭურჭლის ტევადობა. შედეგები არ არის დიდად დამაჯერებელი, მაგრამ დიდი ქოთნები თითქმის ერთნაირი ტევადობისაა. თუ ეს შემთხვევითი არაა, მაშინ ციფრი 0,81 (— 800 კუბ. სმ) გარკვეულ როლს მაინც თამაშობს ამ სისტემაში. ამ რიცხვითი მონაცემების თანხვედრა თერას მონაცემებთან იმდენად ზუსტია, რომ შეუძლებელია ყოველივე ეს შემთხვევითი ყოფილიყო.

უმცირესი ერთეული ზომა-წონის სისტემაში არ უნდა ყოფილიყო 500 კუბ. სმ-ზე დიდი, და 200-ზე მცირე. ამას გვკარნახობს პრაქტიკული მონაცემებიც და ზომა-წონის ცნობილ ანალოგიურ სისტემებთან პარალელებიც.

პილოსის ერთ-ერთ ფირფიტაზე მითითებულია, რომ Eumedes-მა Kokalos-ისაგან მიიღო 18 ერთეული ზეთისხილის ზეთი და Ipsewas-ისაგან 38 დოქი. სიტყვა „დოქი" იკითხება სრულიად გარკვევით, რადგან მას ყველგან ნახატი ახლავს. ეს იყო სტანდარტული ჭურჭელი ზეთისხილის ზეთისათვის. ძნელია დავასკვნათ, იყო თუ არა ეს 38 დოქი გამიზნული 18 ერთეული ზეთის ჩასასხმელად. მაშასადამე, თითოეული ჭურჭლის საშუალო ტევადობა უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, ერთეულის ნახევარი.

სხვა თეორიების მიხედვით, ჭურჭლის ტევადობა უნდა ყოფილიყო 6,8 ან 13,6 ლიტრი. არჩევანის გაკეთება კვლავაც რთულია, რადგანაც ჭურჭლები სხვადასხვა ზომისა იყო. დიდი ჭურჭლები ზეთისათვის ხშირად იტევენ 12-დან 14.1 ლიტრამდე, მაგრამ შედარებით მომცროებიც იტევდნენ 6—7 ლიტრამდე ზეთს. მათი ნიმუშები პილოსშია აღმოჩენილი. სხვა საბუთი, რომლითაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ, დაფუძნებულია რაციონების რიცხვით მონაცემებზე. ძირითადი რაციონი არის 2T ხორბალი ან 3,4T ქერი თვეში. თუ ვიანგარიშებთ თვეში 30 დღეს, მაშინ ქერის რაციონი იქნებოდა ზუსტად 3T — დღეში; ხორბლის რაციონი კი არ არის მთელი რიცხვი, მაგრამ უნდა იყოს 1,6 დღეში. თუ ამას გარდავქმნით ორი თეორიის შესაბამისად, იქნება არჩევანი: 1,21 ლიტრი ქერი ან 0,641 ლიტრი ხორბალი. ანდა, ლენგის ანგარიშის მიხედვით 0,61 ლიტრი ქერი ან 0,321 ლიტრი ხორბალი.

კიდევ ერთ პრობლემას ქმნის მიწის ნაკვეთების ზომა. ისინი იზომებიან მარცვლეულის თესლის მოცულობით. აქაც მოსალოდნელია დიდი ციფრების ფიგურირება. თუმცა, თუ ჩვენი ანგარიში სწორია, მაშინაც კი საკმაოდ პატარა მიწის ნაკვეთებს მივიღებთ. შედარებით მცირე ციფრები კიდევ უფრო გაართულებდა საკითხს. ამის საწინააღმდეგოდ, უნდა დაეუშვათ, რომ საწყავი ჭურჭელი თერადან, უნდა გამოსახავდეს 1—Z-ს 1/2-ის ნაცვლად, 1V-ს 1/2-ის ნაცვლად. მაგრამ აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ჭურჭელი თერადან მიეკუთვნება კრეტის მინოსურ და არა კონტინენტურ საბერძნეთის ცივილიზაციას. გადამწყვეტი პასუხი შეუძლებელია, ვიდრე არ აღმოჩნდება სარწყავი ჭურჭელი საბერძნეთში.

მარცვლეული

აშკარაა, რომ ნებისმიერი საზოგადოება ინდუსტრიულ რევოლუციამდელ ხანაში სოფლის მეურნეობაზე იყო დამყარებული. მაგრამ როცა ვსვამთ კითხვას, თუ რა სახის სოფლის მეურნეობას მისდევდა მიკენური მოსახლეობა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ

ხელთ გვაქვს არა წვრილი ფერმერის ანგარიში, არამედ მეფის სასახლის ადმინისტრაციული ჩანაწერები. არ უნდა გვეგონოს, რომ აქ ჩაწერილია ყველანაირი მოსავალი. მასში აღნიშნულია მხოლოდ ის, რაც მეფის მეურნეობას ეხებოდა. ჩვენთვის ისიც არ არის ცნობილი, თუ როგორ ამუშავებდნენ მარცვალს. მეფეს მხოლოდ გადასახადის აკრეფა აინტერესებდა და არა წარმოება.

რასაკვირველია, ჩვენი უმნიშვნელო ინფორმაციის შევსება შეგვიძლია არქეოლოგიური მასალებით. ცხოველთა ძვლები და მცენარეთა დანახშირებული თესლები გვაცნობენ, თუ რითი ირჩენდა თავს ხალხი, მაგრამ ასეთი აღმოჩენები შედარებით იშვიათია.

ფირფიტები ადასტურებენ, რომ ორივეგან — კნოსოსსა და პილოსში — საკვებად იყენებდნენ, უპირატესად, მარცვლეულის ორ სახეობას — ხორბალსა და ქერს. საინტერესოა, რომ ისტორიულ პერიოდში ხორბლის კულტივირება, როგორც ჩანს, ქერის ხარჯზე ხდებოდა. მიკენური მონაცემების მიხედვით კი, პირიქით, მარცვლის ორივე სახეობა თანაბრად და უხვად მოიპოვებოდა. ისინი ყველგან ერთი და იმავე იდეოგრამებით აღინიშნება და აღწერილია მხოლოდ ზოგადი ტერმინით — Sitos — მარცვალი. არასოდეს გვხვდება სიტყვები — „ხორბალი" ან „ქერი".

პრობლემის გადაწყვეტას ხელი შეუწყო იმ აღმოჩენამ, რომ მარცვლეულის ერთი სახის რაოდენობა ყოველთვის, როგორც წესი, ორჯერ აღემატება მეორეს და, რაკი ორივეს რაციონი თითქმის თანაბარი იყო, ერთ-ერთი მარცვლეულის სახეობა უნდა ყოფილიყო მეტი მკვებავი ნივთიერების შემცველი და ეს იქნებოდა ხორბალი.

მთავარი გადასაჭრელი პრობლემა არის ის, რომ ხორბლის აღმნიშვნელი იდეოგრამა გვხვდება მიწის მონაკვეთებთან დაკავშირებულ კონტექსტებში. პილოსის მთელ რიგ დოკუმენტში, სადაც კი ჩამოთვლილია პიროვნებათა ადგილ-მამულების სია, მათი მიწის ნაკვეთის ზომა გამოიხატება შემდეგი ფორმულით: ამა და ამ რაოდენობის თესლი, ხორბლის ერთეული და ა. შ. მიწის გაზომვა „დასათესად საჭირო" თესლის რაოდენობით კარგად იყო ცნობილი ძველად და ახლაც შემორჩენილია ხმელთაშუაზღვის ზოგიერთ ქვეყანაში. ამგვარი გაზომვის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ გვაძლევს საშუალებას განვასხვაოთ სხვადასხვა მიწების პროდუქტიულობა. ქვიანი მთის ფერდობი, დაბლობთან შედარებით, ნაკლებ პროდუქტიული იქნება. მაშასადამე, თესლის რაოდენობას შესაბამისი ნაკვეთისათვის ანგარიშობდნენ, ალბათ, მიახლოებით. ჩვეულებრივი სათესი ნაკვეთი არ უნდა ყოფილიყო ბაღის ზომაზე დიდი. უნდა გვახსოვდეს, რომ ესეც შეიძლება განახევრდეს, თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ უფრო დაბალი მეტრული სისტემით. გარდა ამი-

სა, თუ ანგარიშის დროს ვიხელმძღვანელებთ საკმაოდ დაბალი საოესლე რაციონით, მაშინ მეფის მამული ძალიან დიდი იქნება, თუმცა შეფარდება მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის დადგენილია: რაციონი 1,800:1. ეს არ ნიშნავს, რომ უმცირესი ზომა ნაკვეთისა უდრის მთლიანად კერძო ნაკვეთის ზომას. ცნობილია შემთხვევები, როცა ერთ კაცს აქვს ორი ან მეტი მიწის ნაკვეთი.

ჩვენ ვფლობთ შედარებით სრული სახის ჩანაწერებს, რომლებიც ეხება Sphagiānes მიდამოებს. ეს, აშკარად, ის მიდამოებია, სადაც სასახლე მდებარეობდა. ჩანაწერებში სრულად არის აღნიშნული მიწები და, ამასთანავე, ერთი და იგივე ინფორმაცია ორი სხვადასხვა რედაქციით გვხვდება. მაგრამ აქ ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთების მოცულობა დიდი არ არის და, ალბათ, უნდა განვასხვაოთ უფრო ფართო ადმინისტრაციული მიდამოები და ის მიწები, რომლებიც უშუალოდ გარს ეკრა Sphagiānes დასახლებას. დოკუმენტების პირველ წყებას თანდათანობით აგროვებდნენ, როცა კი ინფორმაცია შემოვიდოდა. შემდეგ ეს გადაუწერიათ უფრო დიდი ზომის ფირფიტაზე. საბედნიეროდ, დოკუმენტების პირველი წყება არ დაკარგულა და ერთი ვერსიის ხარვეზები ხშირად შეიძლება შეივსოს მეორეთი. სიაში შეტანილია მიწის მთავარი არენდატორები და სუბარენდატორები.

აღნიშნული ტერმინოლოგია ნასესხებია შუა საუკუნეების ფეოდალური ევროპიდან და შემდეგ გამოყენებულია ანალოგიები ე. წ. Domesday Book-დან, ცნობილი ინგლისური დოკუმენტიდან მიწის აღწერის შესახებ, რომელიც შედგენილია ჩვ. წ. 1086 წელს მეფე უილიამ I-ის მიერ. ამ ანალოგიას ჩვენ ბოლომდე არ გაეყვებით. რადგანაც არ ვიცით, რა სავალდებულო გადასახადები იყო ნაბოძები მიწის მფლობელობის სანაცვლოდ, და არც ის არის ცნობილი, თუ ვინ იყო ამ მიწების მთავარი მეპატრონე. მაგრამ წარჩინებული დიდებულების მამულების ნუსხა, რომელსაც მოჰყვება მათი არენდატორების სია, ისე ახლოს დგას მიკენურ დოკუმენტებთან, რომ ვითარება არ უნდა ყოფილიყო რადიკალურად განსხვავებული. ანალოგიები განხილული იქნება უფრო ქვემოთ.

დოკუმენტებში წარმოდგენილია, ძირითადად, ორი ტიპის მიწები. მათი შესაბამისი ტერმინებია: Ko-to-na, ki-ti-me-na და ko-to-na, Ke-ke-me-na. Ko-to-na არის Ktoīnā, სიტყვა, რომელსაც ჰქონდა მიწის ნაკვეთის მნიშვნელობა და მეტ-ნაკლებად მივიწყებული იყო კლასიკურ ბერძნულში, თუმცა შემორჩენილია როდოსზე, როგორც რელიგიასთან დაკავშირებული სიტყვა. ტერმინი Kitimenā ენათესავება სიტყვებს, რომლებიც კლასიკურ ბერძნულში ნიშნავს „დამკვიდრებას“ და „დასახლებას“, და ეტიმო-

ლოგიური მნიშვნელობა შეესაბამება იმ ფაქტს. რომ ასეთი მიწა უკავიათ, ნაწილობრივ, მსხვილ მიწათმფლობელებს და, ნაწილობრივ, მოიჯარეებს. ამგვარად, ეს ტერმინი „კერძო საკუთრებას" ნიშნავს, თუმცა უნდა დავუშვათ შესაძლებლობა, რომ, ისე როგორც ნორმანულ ინგლისში, მეფე იყო მიწის რეალური მფლობელი. მეორე ტერმინი Ke-Ke-me-na უფრო ბუნდოვანია. ეტიმოლოგიურად ის შეიძლება ნიშნავდეს „მიტოვებულს", განაწილების გარეშე დარჩენილს. ეს მოსაზრება შეესაბამება აზრს, რომლის მიხედვით, Ke-Ke-me-na უნდა ნიშნავდეს „სახალხო"-ს. ყოველ შემთხვევაში, ამ მიწებს ფლობს dāmos. ეს უკანსკნელი კი ადგილობრივი მოსახლეობის აღმნიშვნელი კრებითი სახელია. ამავე ფირფიტების სერიაშია საოჯახო და საერო საკუთრების მიწები. რომლებიც იჯარით არის აღებული. ცალკეულ პიროვნებათა მიწების ფართობი მცირეა.

სხვა სიტყვებში ' ჩამოთვლილია „საჯარო ' მიწები" (dāmos) — საზოგადოების საკუთრება. კერძო პირთა ნაკვეთების ზომა მცირეა. მოზრდილ მიწის ნაკვეთებს აერთიანებს სათაური Ka-ma. ეს სიტყვა, ალბათ, იჯარის რაღაც განსაკუთრებულ სახეობას ნიშნავდა, მაგრამ მისი შესაბამისი ფორმა და ზუსტი შინაარსიც ბუნდოვანია. ამ მიწების მოიჯარეებს, ალბათ, გარკვეული სამსახურის პირობით მიუღიათ ეს ნაკვეთები. სამწუხაროდ, თუ რა სახის სამსახური ეკისრებოდათ ამ პირებს, ჯერაც სადავო საკითხია. სამი ზმნა გამოხატავს ამ „ვალდებულებას". ერთი, აშკარად. ზოგადი ტერმინია — Wozo, მისი მიახლოებითი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა არის „სამუშაოები", მაგრამ აქ არ იგულისხმება მიწის დამუშავება. კლასიკური სიტყვები ამ ძირიდან (rezō, erdō), აგრეთვე, სპეციფიკური მნიშვნელობისაა (ნიშნავს „მსხვერპლად შეწირვას") და მონათესავე არსებითი სახელი orgas ნიშნავდა სალმრთო მიწის ნაკვეთს. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ მიწის მფლობელთა ვალდებულებანი რელიგიური ხასიათისა იყო.

რიგ დოკუმენტში დასახელებული არიან საოჯახი მიწების მოიჯარეებიც, რომლებსაც შეიძლება დავარქვათ „მიწის ნაკვეთის მოიჯარეები", მათ შორის კერძო მიწების მრავალი მოიჯარე ან „მთავარი მოიჯარეები". მაგრამ მათი უმრავლესობა წარმოადგენენ „ღვთის მსახურებს". ესენია როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, გაბატონებული კლასის წარმომადგენლები Sphagianēs-ის მხარეში. მათ უმრავლესობას, ტიტულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რელიგიასთან ჰქონდა კავშირი. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მამული ეკავა ქურუმ ქალს Eritha-ს. იმ ჩანაწერებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ვერსიით, მოსამზადებელი ტექსტი იწყება შემდეგნაირად: „ქურუმი ფლობს და ამტკიცებს, რომ ღვთაება

ფლობს“ (ბუნდოვანი სიტყვებია), მაგრამ მიწის ნაკვეთის მოიჯარეები ამტკიცებენ, რომ იგი ფლობს სახალხო მიწის ნაკვეთების იჯარებს. საბოლოო ვერსია გვამცნობს: „ქურუმი ერითა ფლობს და ამტკიცებს, რომ ღვთაება ფლობს“ (ბუნდოვანი სიტყვებია), მაგრამ თემი ამბობს, რომ მას იჯარით აქვს აღებული საჯარო მიწის ნაკვეთები. ძნელია დავაზუსტოთ კაცია ღვთაება თუ ქალი. მაგრამ გვიანდელ საბერძნეთში ყოფილა წესი: კაცლმერთს ემსახურებოდა „კაცი-ქურუმი“: ქალღმერთს კი — „ქალი-ქურუმი“. შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ წარწერაში ქალღმერთზეა საუბარი. ერთ-ერთი ბუნდოვანი სიტყვა განსაკუთრებული საკუთრების უფლებას უნდა ნიშნავდეს. ამასთანავე, თარგმანიც, უკეთეს შემთხვევაში, არის მიახლოებითი, თავისუფალი თარგმანი და არა აქვს მეტ სიზუსტეზე პრეტენზია. ფაქტობრივად, სადავო ისაა, ექვემდებარებოდა თუ არა ეს მიწები იჯარით გაქირავებას და თვით შესაბამისი ტერმინიც, თუმცა ჩვენ მათ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, მიგვითითებს, რომ ამ მიწების მფლობელს ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულება.

თითქოს არავინ ცდილობს ამ სადავო საკითხის გადაჭრას. მეფის მოხელე, პასუხისმგებელი ამ ჩანაწერის შედგენაზე, კმაყოფილდებოდა იმით, რომ იწერდა ფაქტებს. ფირფიტათა ზოგიერთ სერიაში საუბარია მიწის ნაკვეთებზე, მაგრამ მათი ადგილმდებარეობა არ არის დაზუსტებული. ერთ-ერთი სერიის ფირფიტებში ჩამოთვლილია ძირითადი ხელოსნები: მკერავები, თვლების ოსტატები, მჭედლები, მქსოველები, აგრეთვე, შიკრიკები, ღვთისმსახურები და სხვ. წარწერებში აღნიშნული მამულები, ალბათ, სასახლის მახლობლად უნდა ყოფილიყო. საოცარია, რომ Sphagianēs-ის მიწების დიდი რაოდენობა ეკუთვნოდა რელიგიური ეპითეტებით გამორჩეულ ქალებს, ამ ჩანაწერების მიხედვით კი არც ერთი მიწის მფლობელი არ უნდა იყოს ქალი. თითქოს მხოლოდ რელიგიის სფეროში მიაღწიეს ქალებმა დამოუკიდებელ სტატუსს.

მიწათმფლობელთა დანარჩენ სიებში ისევ რელიგიის მსახურთა ნაკვეთებზეა საუბარი, მაგრამ არ არის აღნიშნული ადგილმდებარეობა და აქ მოხსენებული სახელებიც არ გვხვდება სხვაგან. ძირითადი ნუსხა მოიცავს 14 მამულს. ეს არის სხვადასხვა ზომის ნაკვეთები. მათი უდიდესი ზომა 20-ჯერ აღემატება უმცირესისას. დანარჩენ ნუსხებში მიწისმფლობელთა რიცხვი შემცირებულია 13-მდე. უკანასკნელის სახელი აღარ გვხვდება და ძირითადი ნუსხიდანაც ამოშლილია იგი. ნუსხაში დაზუსტებულია გადასახადის სახეობები: ერთ შემთხვევაში, გადასახადი არის ყოველწლიური, მაგრამ მიმღები არ არის დასახელებული. მეორეში ჩამოთვლილია ოთხივე მიმღები. ამ ოთხიდან ყველაზე მეტს იღებს პოსეიდონი, დანარჩენ სამზე გადასახადი თანაბრადაა

ფანაწილებული და ეს არის პოსეიდონის წილის მერვედი და ნაკლებიც კი. ამ სამიდან ორი, ეკვგარეშეა, მაღალი თანამდებობის პირები უნდა იყვნენ. მესამე არის სახელთა ჯგუფი—სახელები მრავლობითშია და ისინი უნდა აღნიშნავდნენ ადამიანებს ან ღვთაებებს. რაკი ეს სახელთა ჯგუფი მაღალი თანამდებობის პირების წინ არის დასახელებული, საფიქრებელია, რომ ისინი კულტის მსახურებია, რასაკვირველია, პოსეიდონის კულტის მსახურები. საყურადღებოა, რომ თუმცა მსხვილი მიწათმფლობელები იხდიან მეტს, ვიდრე წვრილი მიწათმფლობელები, რიცხვით მონაცემებში კანონზომიერება არა ჩანს. აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ქველმოქმედებას: მდიდარი, ცხადია, იხდის მეტს, მაგრამ ზოგი ღარიბი შედარებით უფრო დიდსულოვანი უნდა ყოფილიყო.

სასახლის საცავებში მიწის ნაკვეთების რეგისტრირების ფაქტი ნიშნავს, რომ მეფე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ამ ნაკვეთებით. თვით მეფე კი არასოდეს იხსენიება ნაკვეთების მესაკუთრედ. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს ერთი საბუთი, სადაც ჩამოთვლილია „სამეფო მიწები — temenos". აქ გამოყენებული სიტყვა temenos აღნიშნავს „მამულს". ეს სიტყვა კლასიკურ ბერძნულში მხოლოდ ღვთაებისათვის კუთვნილ მიწებს აღნიშნავდა. მიწების ზომა დიდია (30 ერთეული), მაგრამ უფრო საინტერესოა შემდეგი: lāwāgetās -ს მამული, ჩანაწერების მიხედვით, შეესაბამება 10 ერთეულს, telestai-ს — 30 ერთეულს, თან აღნიშნულია, რომ telestai არის სამი, ე. ი. ყოველი მათგანი lāwāgetās -ის მამულის თანაფარდი სიდიდის მამულის მფლობელია. ეს კი მეფის მამულის ერთ მესამედს შეესაბამება. დაბოლოს, ჩანაწერებში ვხვდებით მიტოვებულ მიწებს (დაუმუშავებელი მიწები?), რომელთაც wo-ro-ki-jo-ne-jo ეწოდება (ადგილის სახელია?) და მისი რაოდენობა 6 ერთეულის ტოლია.

აღნიშნული ფირფიტა წაკითხული უნდა იქნეს სხვა დოკუმენტის გათვალისწინებით, იმ დოკუმენტთან ერთად, რომელშიც აღნიშნულია პოსეიდონისადმი მიძღვნილი შესაწირავების ნუსხა და რომელიც უკვე განხილული იყო V თავში. ოთხი შემწირველი არის: E-ke-ra-wo, dāmos, lāwāgetās და ka-ma wo-ro-ki-jo-ne-jo, რომელიც სხვა დოკუმენტიდან უნდა ყოფილიყო გადატანილი. ამ ოლქის საზოგადოებას სამი telestai (იხ. თავი V. 57 გვ.) შეადგენდა და, როგორც აღნიშნული იყო, E-Ke-ra-wo, შესაძლოა, თვით მეფის სახელიც ყოფილიყო. თუ ეს, მართლაც, ასეა, ჩვენ გვექნება იგივე ოთხი ადგილი, რომელიც პოსეიდონისადმი ძღვენის მირთმევაში ყოფილა ჩართული. ეს კი, ნაწილობრივ, ემსგავსება ზემოთ აღნიშნულ მიწათმფლობელთა ნუსხას. მეორე ფირფიტა ძალზე დაზიანებულია, მაგრამ შესაძლოა წარწერების აღდგენა: E-Ke-ra-wo-ს კერძო სა-

კუთრებას წარმოადგენს Sa-ra-pe-do -ს ნერგებით გაშენებული მამული". ამ ადგილის სახელი დამოწმებულია ერთ-ერთ ფირფიტაზე. შემდეგ, წარწერას მოსდევს ორი ხაზი, რომელიც ეხება ორი დიდი მამულის ზომებს, მაგრამ აკლია აღწერილობა და ციფრებიც სრული სახით არ არის მოცემული. საბედნიეროდ, ტექსტის ბოლოში ჩვენ ვხვდებით წარწერას — „სრული 94 ერთეული", რაც ამ ორი მამულის ზომების მთლიანი ჯამი უნდა იყოს. ორი წარწერა, აშკარად, ნერგების რაოდენობას ნიშნავს. ერთ შემთხვევაში, შესაძლოა, აღნიშნავს ვაზების რაოდენობას, მეორეგან კი — ლეღვის ხეებს. ციფრები არასრულადაა წარმოდგენილი, მაგრამ არც ერთი მათგანი 1,100-ზე ნაკლები არ არის. საკვირველია, რომ მთელი ერთეული უდრის 94-ს. იგივე ციფრი დამოწმებულია 5 მამულისათვის ერთ-ერთი ფირფიტიდან. აღნიშნულის შესადარებლად Sphagianes-ის შემთხვევაში მთელი მამულების ზომა დაახლოებით 102-ს უდრის.

კნოსოსში პილოსის ფირფიტების შესაბამისი წარწერები არ გვხვდება, თუმცა მიწათმფლობელობის ზოგიერთი ტერმინოლოგია აქაც შემორჩა. იგივე შეიძლება ითქვას ტირინთოში ახლადაღმოჩენილი ორი წარწერის მიხედვითაც. მაშასადამე, რადგანაც პილოსის გარკვეულ მიდამოებში იქმნებოდა ჩანაწერების წარმოების განსაკუთრებული პირობები, წარწერების დამოწმების გარეშეც ჩანს, რომ კნოსოსშიც ანლოგიური სიტუაცია იყო. ჩვენ ხელთ გვაქვს იმ პირთა სია, რომელთაც მამულები ჰქონდათ სხვადასხვა ადგილებში კრეტაზე, აქედან, ზოგი ფლობდა ბაღს, ან რაიმე ამის მსგავს ნაკვეთს.

გვაქვს აგრეთვე მონაცემები მარცვლეულის მოსავლის შესახებ. თუმცა ასეთი ჩანაწერები იმდენად ფრაგმენტულია, რომ ნათელ სურათს ვერ გვიქმნის. ანალოგიური ტიპის ჩანაწერები პილოსში არ გვხვდება. როგორც ჩანს, ამის მიზეზია წელიწადის ის დრო, როდესაც იქაური არქივები განადგურდა.

სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები

მიკენელების ჩვეულებრივი საკვები, დამზადებული უპირატესად მარცვლეულისაგან, ძალზე მოსაბეზრებელი იქნებოდა სანელებლების გარეშე. ამიტომაც გასაოცარი არ არის, რომ დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით სუნელების სახელწოდებებსაც. ზოგიერთი სუნელის სახელი ჩვენთვის ცნობილია კლასიკური ბერძნულიდან, ზოგი სახელი საეჭვოა ან სრულიად გაუგებარი. მარცვლეულის სახეობის სუნელები, ალბათ, ზღვით შემოჰქონდათ, მაგრამ ის სუნელები, რომლებიც ჩანაწერებში დიდი რაოდენობითაა ჩამოთვლილი, ალბათ, ადგილობრივ

მოჰყავდათ. კრეტაზე მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი ჰქონდა სანელებელი მცენარეების კულტივირებას. ყველაზე გავრცელებული იყო მიხაკი, ე. ი. მცენარის თესლი, რომელსაც დღესაც იყენებენ კერძების მომზადებისას. სახელის მიკენური ფორმა ოდნავ განსხვავდება კლასიკურისაგან, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ეს ერთი და იგივე სიტყვაა. კამა აგრეთვე ნაცნობი სახეობაა მიკენელთათვის, რადგან იგი განსხვავდება კლასიკური ფორმისაგან მხოლოდ F-ის დამატებით (marathwon). ამ მცენარემ მისცა სახელი მარათონის დაბლობს ატიკაში. მიკენში გვხვდება სახელი შემოკლებული ფორმით— ma, იგივე ნიშანი იხმარება კნოსოსში. ქუნჯუთი არის კარგად ცნობილი მცენარე დღევანდელ საბერძნეთში, მისი დაფქვილი თესლი გამოყენებულია ჰალვის დასამზადებლად. მცენარე პიტნის სახელი შემოკლებული ფორმით გვხვდება და ძნელი გამოსაცნობია მისი სრული ფორმა. ბოსტნის წიწმატი ერთხელაა ნახსენები. მისი თესლი იხმარებოდა საკმაზად. ზაფრანის შესაბამისი ბერძნული სიტყვა ფირფიტებში გვხვდება რამდენიმეჯერ. აქ განირჩევა ორი ჯიში: თეთრი, რომელსაც ზომავენ და წითელი, რომელსაც წონიან. ეს შეიძლება იმით ავხსნათ, რომ გამოყენებულია მცენარის ორი ნაწილი — უფერული თესლები და წითელი ყვავილები. ყვავილები საღებავადაც გამოიყენებოდა ხოლმე.

კნოსოსსა და პილოსში მოიხსენიებენ მცენარეს, რომელსაც დღესაც უწოდებენ Cyperus-ს მაგრამ ესაა ზოგადი ბოტანიკური ტერმინი მრავალი მცენარისათვის. წარწერებში, ალბათ, იგულისხმება არომატული Cyperus rotundus, რომელსაც ნელსაცხებლების ზეთის დამზადების დროს არომატის მისაცემად იყენებდნენ. კულტივირებული ზეთისხილი დღესაც ვაჭრობის მთავარი საგანია საბერძნეთში. წარწერები გვიმოწმებს, აგრეთვე, ბუნდოვანი მნიშვნელობის კიდევ რამდენიმე სხვა მცენარის სახელსაც. ზეთისხილის წარმოშობა უცნობია, მაგრამ მისი ყვავილის მტვერი ამოიცნეს ძვ. წ. XX საუკუნის საგნებზე, რომლებიც აღმოჩენილია დასავლეთ პელოპონესში. ზეთისხილის ხეები გამძლეა, ისინი ნაყოფს საუკუნეების მანძილზე გამოიღებენ. ამ ხის დადებითი თვისება ის არის, რომ ნაკლებ მოვლას მოითხოვს. შრომა, ძირითადად, ნაყოფის კრეფაზე იხარჯება, მაგრამ სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი სხვადასხვა წელს სხვადასხვაგვარ მოვლას საჭიროებს. ზეთისხილი ადვილად ინახება ქოთნებში. კნოსოსის ფირფიტებში დამოწმებულია ზეთისხილის ორი სახეობა, სავარაუდოა, ველური და კულტივირებული. სიტყვებს თან ახლავს ზეთისხილის იდეოგრამა.

ლეღვი ძალზე გავრცელებულია საბერძნეთში. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიკენშიც. პილოსის მონა ქალთა ულუფა ხორბლისა და

ლეღვის თანაბარ მოცულობას შეადგენდა. ლეღვს ახმობღნენ და ამ სახით ინახავდნენ მთელი წლის განმავლობაში.

ვაზი ეგეოსურ აუზში ადგილობრივი მცენარეა, თუმცა მისი კულტივირების თარიღი ძნელი დასადგენია. მიკენური Woinos არის სიტყვათა იმ ჯგუფის წევრი, რომელსაც ჰქონდა „ღვინო"-ს მნიშვნელობა და რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ხმელთაშუა ზღვასა და შუა აღმოსავლეთში. ღვინო არ არის მოხსენიებული ჩვეულებრივ ულუფაში. ვაზის ბერძნ.ული სახელწოდებაა ampelos, რაც მიკენურში არ არის დამოწმებული. ღვინო ჩვეულებრივი რაციონების ნუსხაში არ გვხვდება, მხოლოდ პილოსის ერთ-ერთ წარწერაში უნდა ყოფილიყო იგი მოხსენიებული. იგი გვხვდება, აგრეთვე, კნოსოსის დაზიანებულ ფირფიტებზეც. ღვინოს, უპირატესად, სვამდნენ, როგორც ჩანს, კნოსოსში.

უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა ფუტკრის სკები. მიკენურ ხანაშიც ჰყავდათ ფუტკრები. წარწერა „მეფუტკრე" გვხვდება პილოსის ფირფიტებზე. „მეფუტკრე" ზუსტად არ შეესაბამება კლასიკურ ფორმას, რადგანაც აქ სიტყვა ნაწარმოებია „თაფლიდან" და არა „ფუტკრიდან". რაღაც მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ტერმინსაც, რომელიც აერთიანებს სიტყვა „თაფლსა" და „უფროსს", „ზედამხედველის" მნიშვნელობით. ერთ ადგილას ხუთი ასეთი მოხელეა ნახსენები. მაშასადამე, „მეფუტკრე" არ უნდა ყოფილიყო მაღალი რანგის წოდება. ძირითადად, თაფლი რელიგიური კონტექსტების წარწერებში გვხვდება. კნოსოსში ფირფიტათა მთელი სერია გვიჩვენებს, რომ თაფლის დიდ დოქებს გზავნიდნენ შესაწირად სხვადასხვა ღმერთებისათვის.

შინაური ცხოველები

ცხენი, როგორც ჩანს, იყო სიახლე. იგი წინაბერძნულმა მოსახლეობამ შემოიყვანა საბერძნეთში. ეს იყო ძალიან პატარა ჯიშის ცხენები, თანამედროვე „პონის" მსგავსი. ჩვენი ინფორმაცია ცხენების შესახებ მთლიანად მომდინარეობს იმ ფირფიტებიდან, რომლებზედაც აღნუსხულია ეტლები. არ ვიცით, თუ საიდან შემოჰყავდათ ეს ცხენები. მხოლოდ ერთ პატარა ფირფიტაზე კნოსოსიდან ნახსენებია კვიცები, ფაშატები და ულაყები.

ფირფიტაზე არ არის აღნუსხული ხარების დიდი რაოდენობა. თუმცა ერთი ფირფიტა პილოსიდან, სადაც ჩამოთვლილია ხარის 90 მენახირე, უფლებას გვაძლევს შევიქმნათ შთაბეჭდილება ხარების რაოდენობაზე. ხარი იყო ერთადერთი მოშინაურებული ცხოველი,

რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა მძიმე სამუშაოს შესრულების დროს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ თითოეულ თემს ჰყავდა ხარების გარკვეული რაოდენობა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით „სამეფო საცავი" არაფერს გვეუბნება. ფირფიტების ერთ-ერთი სერიის მიხედვით. 16-დან თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს მართებდა სასახლისათვის გადასახადი, სულ წელიწადში 234 ხარი. შესაბამისად, სამეფოს უნდა ჰყოლოდა მინიმუმ 1200 სული ხარი. კნოსოსის წარწერებში ჩამოთვლილია მუშა ხარები. პილოსის ფირფიტებში გვხვდება წარწერა „უღლის კაცები". ისინი, ალბათ, მეურმეები თუ არიან. კნოსოსის დოკუმენტებში ჩამოთვლილია მეურმეების სახელები, მათი ორი ხარი და, რაც მთავარია, სახელთა უმრავლესობა სრულიად გასაგები ბერძნული სიტყვებია. ესაა, დაახლოებით „ჭრელა", „რუხა", „ხმაურას" ტიპის სახელები. ეს ფაქტი, უეჭველად, ცხადყოფს იმას, რომ მიკენურ კრეტაში მეურნეობის რიგითი წევრები ბერძნულად ლაპარაკობდნენ. თუმცა კნოსოსის წარწერები ადასტურებს არაბერძნულ სახელებსაც. როგორც ჩანს, მათ მინოსური ძირი შეინარჩუნეს.

კნოსოსში ნაპოვნია 800-მდე ფირფიტა, სადაც აღნუსხულია ცხვარი. თუმცა თითოეულ მათგანზე ერთი ფარაა აღნიშნული, მაგრამ ცხადია, რომ ცხვრის რაოდენობა მთლიანად 100000 მაინც უნდა ყოფილიყო. წერილობითი ცნობების მიხედვით, განირჩევა ვერძები და ნერბები. თითოეულს განასხვავებს სპეციალური იდეოგრამა. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დამოწმებულია ვერძების ჭარბი რაოდენობა. ნებისმიერმა ფერმერმა იცის, რომ ვერძების დიდი რიცხვი თითქმის არაფერს ნიშნავს ფარისათვის. ვერძებს მხოლოდ მოსაშენებლად თუ ინახავენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მატყლის წარმოებისათვის იყენებენ ჭედილებს და სწორედ ისინი შეადგენენ ფარის დიდ ნაწილს. ჩვენ ხელთ გვაქვს ფირფიტები, სადაც აღნიშნულია ცხვარი და მატყლი. მატყლი იზომებოდა სპეციალური ერთეულით, რომელიც დაახლოებით 3 კგ-ს უდრიდა. პილოსში ნაპოვნი ფირფიტები განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქ თითოეულ დიდი ზომის ფირფიტაზე აღნუსხულია 25 ფარა და სხვა არავითარი დეტალი არ არის აღნიშნული. საინტერესოა, და, ალბათ, მეტისმეტად მნიშვნელოვანი, რომ ამ წარწერებში არსადაა ნახსენები მატყლი. ეს კი უნდა ნიშნავდეს, რომ საგაზაფხულოდ ცხვრები არ დაუხარისხებიათ; ასეთი რამ, ჩვეულებრივ, ხდებოდა აპრილში. როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ინფორმაცია არ ჰქონდათ მიღებული გადამწერებს. ეს კი ეთანხმება დასკვნას, რომ პილოსში კატასტროფა მომხდარა ადრე გაზაფხულზე.

ამავე სერიის ფირფიტებზე აღნუსხულია თხების რაოდენობა. პილოსში თხებიც ფარებად ჰყოლიათ დაყოფილი. სავარაუდოა, რომ პილოსელები თხის ბეწვსაც წარმატებით იყენებდნენ. წარწერებში თხის რიცხვი აღემატება ცხვრების რიცხვს. კნოსოსის წარწერების მიხედვით, თხები ნაკლები იყო, ვიდრე ცხვარი, თუმცა ცალკეულ ფარების მიხედვით, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. არტურ ევანსის ვარაუდით, მიკენურ საბერძნეთში თხის რქებს მშვილდების დასამზადებლად იყენებდნენ, ხოლო თხის ნაწლავებს — მშვილდზე გადასაჭიმად. მაგრამ ეს თეორია სარწმუნო ნივთიერი მონაცემებითაც უნდა დამტკიცდეს.

მიკენურ საბერძნეთში, კერძოდ, პილოსში, დიდი ყურადღება ეთმობოდა ღორების მოშენებას. ეს ნათლად ჩანს აქ აღმოჩენილი ფირფიტების მიხედვით, ღორების პატარ-პატარა ჯგუფებს, როგორც ჩანს, მსხვერპლად სწირავდნენ. ასე შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ წარწერებში ღორების დიდი რაოდენობა არ არის დამოწმებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიკენურ საბერძნეთში საქონლის ხორცს საკვებად იყენებდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. დაბალი ფენა მაინც ხორცს მსხვერპლად შეწირვის შემდეგ თუ იყენებდა საკვებად. დიდი მოწონება ჰქონდა ძროხის, თხისა და ცხვრის რძეს. ამისგან ამზადებდნენ ყველსაც.

მაგრამ მიკენურ საბერძნეთში საქონლის ძირითადი პროდუქტი მაინც ტყავი იყო. ტყავი გამოიყენებოდა ეტლის მოსაკაზმად, მისგან ამზადებდნენ უნაგირს, მისაბმელს. ტყავი გამოიყენებოდა გარკვეული სახეობის ფეხსაცმლის დასამზადებლად. როგორც ჩანს, ამ მიზნისათვის ხშირად იყენებდნენ ირმის ტყავს. პილოსის ზოგიერთ ჩანაწერებში გვხვდება ირემი. როგორც ჩანს, ამ ცხოველზე ნადირობდნენ ხოლმე, წარწერებში გვხვდება მინიშნება სიტყვა „მონადირეზე", რომელიც სიტყვა-სიტყვით შეესაბამება ბერძნულ „ძაღლის წამყვანს". მხოლოდ ამგვარი მინიშნებით თუ ვივარაუდებთ, რომ მიკენურ საბერძნეთში ძაღლებსაც აშენებდნენ. რაც შეეხება კატებს, მათზე არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

თავი VIII

ხელოსნობა, მრეწველობა და ვაჭრობა

მრეწველობა პირობითი სათაურია. აქ იგულისხმება ყველანაირი საწარმოო პროცესი, რომელიც მიკენურ ეკონომიკას ადამიანის ხელით შექმნილი ნივთებით ამარაგებდა.

მიკენის უზარმაზარი კედლები 33 საუკუნის შემდეგაც, ზოგან ამჟამადაც შემორჩენილი, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე. ქალაქის კედლების საერთო სიგრძე 1100 მეტრზე მეტია. ისინი იმდენად ვეება, ლოდებითაა ნაგები, რომ მოგვიანებით ბერძნებმა დაასკვნეს: „ეს კედლები გოლიათების აშენებულიაო". საოცარია, როგორ მოახერხეს პრიმიტიული იარაღებითა და მხოლოდ ადამიანებისა და ხარების საშუალებით ასეთი ქვების აზიდვა. გვაოცებს ტექნიკური ოსტატობაც. წრიული ფორმის უდიდესი სამარხის, ე. წ. „ატრევსის საგანძურის" დიამეტრი 14,50 მეტრია, თაღის სიმაღლე 13.20 მეტრს აღწევს. ცხადია, მიკენელებს არ ჰქონდათ აღმოჩენილი თაღის მშენებლობის პრინციპი, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მათთვის უზარმაზარი ჭიშკრებისა და ხიდების აგების დროს (ამის ნიმუშია, ვთქვათ, ლომის ჭიშკარი მიკენში, ან ხიდები ხევზე, რომელზედაც გზა გადიოდა. მათი ნანგრევები დღემდეა შემონახული — მთ. შენ.).

რთულია მიახლოებით მაინც გამოვიანგარიშოთ, რამდენი მუშა აშენებდა ასეთ ნაგებობებს. მიკენის სიმაგრის აგებას, ალბათ, მთელი თაობა დასჭირდებოდა. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას გვხვდება მიკენური გამაგრების ნაშთები. არგოლიდის გარდა, მიკენური კედლები შემორჩენილია ათენის აკროპოლისშიც, თუმცა ნგრევა და ხელახალი აშენება არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ რა მანძილზე ვრცელდებოდა ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა. მუშახელის გამოყენების მხრივ ყველაზე საოცარი ნიმუშია კედელი გრეაში (ბეოტია). მისი სიგრძე სამი კილომეტრია და ეს შემოფარგლული სივრცე დაიტევდა არა მხოლოდ ხალხს, არამედ მათი საქონლის ჯოგებსაც. მიკენური კედლის ნანგრევები კორინთოს ყელთანაც შეინიშნება, თუმცა ჩვენ არ ვიცით, დასრულებული იყო თუ არა აქ საშუ-

ნებლო სამუშაოები. გარდა ამისა, ცნობილია, რომ თავისი არსებობის უკანასკნელ ფაზაში პილოსი კედლებით არ იყო გამაგრებული, საეჭვოა, იყო თუ არა იგი გამაგრებული ადრე. რაც შეეხება კრეტას, იქ საერთოდ არ არსებობდა საფორტიფიკაციო სიმაგრეები.

შესაბამისად, არც არის საკვირველი, რომ მიკენურ დოკუმენტებში იშვიათად და საეჭვო ხელოსნებზე, საშენ მასალებზე თუ ნაგებობებზე. გვაქვს ერთადერთი ნიმუში — პილოსის ფირფიტა, სადაც 12 კვადრატია ნაშენები — სიტყვასიტყვით „კედლის მშენებელი".



სურ. 9. „ლომის კარიბჭე".

ჩვენ არ ვიცით, თუ რის აშენებას აპირებდნენ ისინი. მშენებელთა მცირე რიცხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს არ უნდა ყოფილიყო უეცრად მოლებული გადაწყვეტილება თავდაცვის უსრუნველსაყოფად, თუნდაც ეს ხელოსნები გამოცდილი ყოფილიყვნენ და წარემართათ ადგილობრივი გამოუცდელი მუშები. ასეც რომ ყოფილიყო, მთელი ძალის კონცენტრაცია უნდა მომხდარიყო ერთ-ერთ მონაკვეთზე და არა ერთდროულად ოთხ ადგილას, როგორც ცნობამია დამოწმებუ-

ლი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ხელოსნები, ჩვეულებრივ, სამშენებლო ოპერაციებზე გაიგზავნა.

ჩვეულებრივი სახლის ან სასახლის მშენებლობის მსგავსი სურათი ჩანს პილოსის სხვა წარწერებში, რომელშიც აშკარად სამშენებლო მასალაა ჩამოთვლილი. როგორც ჩანს, აქ დასახელებული უნდა ყოფილიყო მთელი ხის მასალა, რაც საჭირო იყო ჩვეულებრივი, ე. წ. „მეგარონის" ტიპის პატარა დარბაზის მშენებლობისათვის. ჩანაწერის დასაწყისი დაზიანებულია. სია იწყება ჩანაწერებს სამი სერიით. თი-



სურ. 10. „ატრევსის საგანძურის" დროშოსი.

თოეული მათგანი შეიცავს სიტყვას Kapniās — „ბუხარი". ჩამოთვლილია 12 დედაბოძი, სახურავის კოკი და 6 ჯვარედინი ბოძი. შემდეგ იწყება ბუნდოვანი სიტყვები, შესაძლებელია მხოლოდ ციფრების — 81 და 40 — გარჩევა. ამას მოსდევს 23 „კედლის დასამაგრებელი", 140 ხის ლურსმანი, რომელიც ზოგჯერ გამოიყენებოდა კრეტაში ბათქაშის სქელი ფენის მისამაგრებლად. ჩამოთვლილია 6 კარის ბოძი და ციფრი 2, რაც შესაძლოა, ხის ზღურბლის რაოდენობას გამოხატავდა. შემდეგ, ბუნდოვან ჩანაწერებს მისდევს ციფრები: 10, 16, 18 და 100. არის კიდეე გაურკვეველი დანიშნულების 1 ბოძი, 2 კოკი და 1 სვეტი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პატარა კარისწინა ბოძია.

ლითონები

როგორც ცნობილია, მიკენელები იყენებდნენ ხუთი სახის ლითონს: ოქროს, ვერცხლს, ტყვიას, სპილენძს, თუნუქს. ბოლო ორი არ იხმარებოდა წმინდა ფორმით. მიკენელებმა ვერ გამოიყენეს საბერძნეთის რკინის მადნების რესურსები, რაც მათი ტექნიკური დაოსტატების დაბალ დონეზე მეტყველებს. ამგვარად, საჭიროებისდა მიხედვით, უპირატესად, იყენებდნენ ბრინჯაოს. საბერძნეთში, მიკენის ხანის დასასრულს, მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის შემდეგ დაიწყეს რკინის ნივთებისა და იარაღების დამზადება. თუმცა ბრინჯაო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მიკენურ საბერძნეთში, იგი უნდა ყოფილიყო შედარებით იშვიათი და ძვირი მასალა. ცნობილია, რომ საბერძნეთში არ იყო ამ მეტალების საბადოები. ბრინჯაოს ნივთების შესახებ კნოსოსის წარწერებიც გვაწვდის ცნობებს, მაგრამ მხოლოდ პილოსის ფირფიტებში არიან მოხსენიებული მჭედლები. აქ ჩვენ გვაქვს დოკუმენტების მთელი სერიები, სადაც ჩამოთვლილია მჭედლები და ბრინჯაოს ის რაოდენობა, რომელიც მათ ეძლეოდათ. ამ სერიის ყოველი ფირფიტა მოიცავს ადგილის დასახელებას, მჭედელთა სიას და იმ ბრინჯაოს რაოდენობას, რომელიც მიეცათ მათ სათითაოდ, და რაოდენობას მთლიანად. ხშირად გვაქვს იმ მჭედლების სია, რომელთაც ბრინჯაო არ ეძლეოდათ. ამგვარად, ჩვენ ვიცით მჭედლების რაოდენობა და, აგრეთვე ისიც, თუ რამდენი მათგანი იყო დასაქმებული. ეს უკანასკნელნი დაახლოებით მთლიანი რაოდენობის 1/3 შეადგენდნენ. განაწილებული ბრინჯაოს რაოდენობა საკმაოდ ცოტაა — მაქსიმუმ 18 კგ. ერთ მჭედელზე. ჩვენ აღმოვაჩინეთ აგრეთვე საბუთი, სადაც დამოწმებულია ბრინჯაო დიდი რაოდენობით. ეს, ალბათ, თითოეულ ფირფიტაზე აღნუსხულ ბრინჯაოს რაოდენობათა ჯამი უნდა ყოფილიყო. დაზიანებული ფირფიტების ერთ ჯგუფში მოიხსენიება ბრინჯაოს ზოდები (თუმცა ბრინჯაოს გამომხატველი ნიშანი დამოწმებულია მხოლოდ ერთგან). ასეთი ზოდების წონა, ჩანაწერების მიხედვით, უნდა იყოს დაახლოებით 1,562 კგ. ე. ი. თითოეულის საშუალო წონა არის 26,03 კგ. ეს, უთუოდ, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ზოდების წონას ეფარდება.

ბრინჯაოს მრავალი მიზნით იყენებდნენ: ის გამოსადეგი იყო ნებისმიერი ჭურჭლის დასამზადებლად. ბრინჯაო უფრო იაფია, ვიდრე ოქრო ან ვერცხლი და ბევრად უფრო გამძლეა, ვიდრე თიხა. ყოველთვის ადვილი არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მასალისაგანაა დამზადებული ჭურჭელი. მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიქმნა საფრთხე მათი ერთმანეთში არევისა, ჭურჭლის სახელწოდებას დაემატა სიტყვა ან იდეოგრამა, რომელიც აღნიშნავდა მასალას, თუ რისგან იყო

დამზადებული იგი. პილოსის ფირფიტის ნუსხაში მოხსენიებული ორი მსგავსი თასი განსხვავდება ბრინჯაოსა და ოქროს აღმნიშვნელი იდეოგრამებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა დანარჩენი ჭურჭელი თიხისაა. ეპითეტები, რომლებიც ჭურჭლის მიმართაა გამოყენებული, ადვილი გასაგები იქნებოდა, თუ გვეცოდინებოდა, რას ეხება ის — დეკორს თუ ჭურჭლის ტიპს. დოქი აღწერილია როგორც „მეფური, ქალური, ხარის თავისებური, სპირალური“.

ფირფიტის ნუსხაში ვხვდებით ექვს დიდი ზომის ქვაბს, რომლებიც, უდავოდ, ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ყველა მათგანი, ერთის გარდა, კრეტული ნახელავია. თუმცა ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, რომ ქვაბები კრეტული ხელოსნების ნახელავია და რომ, ალბათ, კრეტული იმპორტის ერთ მათგანს აქვს ეპითეტი, რომელიც ითარგმნება — „თხის“. ეს მოწმობს, რომ დიდი ზომის ჭურჭელზე კეთდებოდა ცხოველის თავის ორნამენტი, ან შესაძლოა თხის თავები მიმაგრებული ყოფილიყო როგორც სახელური. ერთ ქვაბს აქვს ეპითეტი — „ერთი ფეხით“, მეორეს კი — „დამწვარი ფეხით“. ეს მეტყველებს იმაზე, რომ დაზიანებული ჭურჭელიც კი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ნუსხაში შეუტანიათ, და აქედან გამომდინარე ისინი უბრალო კერამიკული ნახელავები არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვხვდებით ჭურჭლების სერიის ნუსხას წარწერით — dipas. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო საკმაოდ დიდი მოცულობის ჭურჭელი და არა სასმელი თასი, როგორც ამას კლასიკური dipas გვიმოწმებს. აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სიტყვასთან, რომელმაც დროთა განმავლობაში შეიცვალა მნიშვნელობა, მაგრამ მისი ძველი არსი უცვლელი დარჩენილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი დიდი ზომის ჭურჭლებია, რომელთაც ან სულ არა აქვთ სახელური, ან აქვთ სამი, ოთხი სახელური.

ეჭვგარეშეა, რომ ფირფიტაზე აღნიშნული ყველა ნივთი ბრინჯაოსგანაა დამზადებული. აქ ჩაწერილია ფოცხი, ორი მაშა და ორი შაყალი. ასეთი სახის ნივთები არქეოლოგიური გათხრების დროს, გარკვეული მიზეზების გამო, იშვიათი მონაპოვარია. აქ ვხვდებით მრავალ სიტყვას, რომელთა მნიშვნელობაც დადგენილი არ არის, ან საეჭვო საკითხს წარმოადგენს.

ბრინჯაოს გამოყენება აბჯრებისათვის ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ მას შემდეგ, რაც დენდრასთან აღმოჩნდა აბჯარი სრული სახით, საკვირველი არ არის ფირფიტებში ბრინჯაოს მოხსენიება აბჯრებთან დაკავშირებით. ბრინჯაო აგრეთვე გამოიყენებოდა ეტლის თვლის შემოსავლებად. კნოსოსის ერთ-ერთ ფირფიტაზე გამოსახულია ბრინჯაოს იდეოგრამა ეტლის აღმნიშვნელ იდეოგრამასთან ერთად. ძნელი დასადგენია, თუ რას უნდა ნიშნავდეს იგი ზუსტად.

ვერცხლი არ არის იშვიათი არქეოლოგიურ აღმოჩენებს შორის, მაგრამ, უცნაურია, რომ ვერცხლის ეს ნახელავები წერილობით სა-ბუთებში არ გვხვდება ერთი გამონაკლისის გარდა — ეს არის ეტლის ნუკეილი თვლები, „ვერცხლით შეკრული". ასეთი ვერცხლით მოკა-ზმული ეტლი, ალბათ, რომელიმე მაღალი წოდების პირისა თუ იყო. როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა „ვერცხლი" არც ერთ სხვა წარწერაში არ გვხვდება — არც სიტყვის და არც იდეოგრამის სახით. თუმცა არც ერთი დაუდგენელი იდეოგრამა არ უნდა აღნიშნავდეს მეტალს და ერთადერთი სიტყვა, რომელიც ვერცხლს შეიძლება ნიშნავდეს, არის pa-ra-ku და იგი არც ერთ ბერძნულ სიტყვას არ შეესაბამება. pa-ra-ku არის მასალა, რომელიც ორნამენტული ინკრუსტაციისათვის გამოიყენებოდა და, თუმცა შეიძლება ვერცხლიც გამოეყენებინათ ამ მიზნით, დასაშვებია სხვა ვარაუდიც.

ამ პერიოდში ცნობილი იყო ტყვიაც. მას იყენებდნენ პატარა ფი-გურებისა და სხვა საგნების ჩამოსასხმელად. თებეს გათხრების დროს აღმოაჩინეს ტყვიის პატარა ნატეხები, რომლებიც, ალბათ, თავის დროზე, რაღაც გარკვეულ ნივთებს წარმოადგენდნენ და ხანძარს დაუ-ღნია. ერთ-ერთ ფირფიტაზე გვხვდება სიტყვა wo-ri-wo-do, ეს შე-საძლოა ყოფილიყო მიკენური ფორმა moliwdos-ის შესაბამისი სიტ-ყვა. იგი ბერძნულისათვის ნასესხებია და გვხვდება სხვადასხვა ვა-რიანტებით, მაგ., moliwdos, molybdos და ა. შ. წარწერებში ოქრო და-მოწმებულია ან იდეოგრამებით ან „ჩვეულებრივი" ბერძნული Khrysos-ის შესაბამისი სიტყვის სახით. საინტერესოა, რომ ეს სიტ-ყვა ნასესხებია სემიტურიდან (უგარიტული hrs და ასირიული hura-su). ცხადია, მიკენურ ბერძნულში სხვა სიტყვებიცაა ნასესხები სე-მიტურიდან, მაგ., lewōn — ლომი; შუადარეთ ებრაული lābi ან ასირი-ული labbu და ა. შ.

პილოსის ერთ-ერთ ფირფიტაზე დამოწმებულია ოქროს გადასა-ხადების ერცელი, მაგრამ, სამწუხაროდ, დაზიანებული სია. აშკარაა, რომ ეს ოქროს გადასახადის სიაა, რადგანაც ცალკეული წარწერა მი-ცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითშია და ამასთანავე, თითქმის წარწერების ნახევარს აქვს ნიშანი ჯვრის სახით, რომელიც, ალბათ, გვიჩვენებს, რომ გადასახადი მიღებულია. ამ სიის სრული სათაური-საგან დარჩენილია მხოლოდ წარწერა Koretēr — „მმართველი". სიაში ცხრა წარწერა შეიცავს იგივე სიტყვას. ორ შემთხვევაში გვაქვს Prokoretēr — „მმართველის მოადგილე". სამ პირს აქვს წოდება mo-ro-qa. ერთი სახელი არის guasileus — „უფროსი". სიაში იშ-ვიათად გვხვდება ადგილის სახელი საკუთარი სახელის ან ტიტულის ნაცვლად. აშკარაა, რომ ოლქები წარმოდგენილია მისი მმართველე-ბით. სიაში აღნიშნული ზოგიერთი საკუთარი სახელი შესაძლოა იდენ-

ტური იყოს სხვა რომელიმე დოკუმენტში ნახსენები სახელისა. Nedwātās -ი ჩრდილოეთით მდებარე სექტორის უფროსია, ალბათ, იგი ამ ოლქის მმართველი იყო. ამ სახელს მოსდევს Ekhemēdēs, რომელიც მისი პირველი ხელქვეითი იყო სანაპირო ზონის დაცვაში და შესაძლოა მისი მოადგილეც ყოფილიყო. აგრეთვე ვხვდებით წარწერას Augewās — პირი, რომელიც მეფის მიერ იყო დანიშნული da-mo-ko-ru-ის თანამდებობაზე. ამგვარად, ნათელია, რომ სიაში შეტანილი ჯ.-დამხდელები მაღალი ჩინის მოხელეებია ამ ადგილებში. ნუსხის დასაწყისში ვხვდებით მხოლოდ ნიშანს (პატარა ჯვრის სახით — მთ. შენ.), ხოლო სახელი ან წოდება არ არის მითითებული. ამ სიტყვის აღდგენა არ ხერხდება.

ნუსხაში ოქროს რაოდენობა მერყეობს 62 გ-დან 1 კგ-მდე. ყველაზე ხშირად გვხვდება 250 გ. საერთო ჯამი შეადგენს 5 კგ-მდე ოქროს და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დაზიანებულ ფირფიტაზე არ ჩანს ზოგი ციფრი, საერთო რაოდენობა 6 კგ-ს უნდა აღემატებოდეს. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა იშვიათი საქონელისათვის. ოქრო, როგორც ჩანს, შემოჰქონდათ, და როგორ მოხდა, რომ თანამდებობის პირების ხელში ყოფილა ამდენი ოქრო და რატომ მოითხოვეს მათგან ასეთი გადასახადი? ძნელი დასაჯერებელია, მიკენურ საბერძნეთში ჰქონოდათ იმდენი ოქრო, რომ ყოველწლიურად ოქროს გადასახადი ასეთი რაოდენობით მოეთხოვათ. მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში იყო დასაშვები ასეთი კონტრიბუციის აკრეფა. მოკლედ, გადასახადების მიზეზი გაურკვეველია. ოქროს ვერ გამოიყენებდნენ სამხედრო საქმეში, თუ არა გაცვლა-გამოცვლის მიზნით. გარდა ამისა, ოქრო ჩნდება ან ჭურჭლის, ან ავეჯის მორთულობაში. კნოსოსში გვხვდება „ოქროს“ შესაბამისი სიტყვა, სამწუხაროდ, დაზიანებულ ფირფიტაზე, რომელიც გამოხატულია განსაკუთრებული ტიპის ჭურჭლის ცნება-ნახატით, პიქტოგრამით. ჩვენ გვაქვს ორი ნიმუში იმისა, რასაც შეიძლება ეწოდოს „ხარის თავის“ ფორმის რიტონი (სასმისი ჭურჭელი—მთ. შენ.). ხარის თავის ფორმის ჭურჭელი გამოყენებული იყო ღვინის მსხვერპლთშეწირვისათვის. ხარისთავა ვერცხლის რიტონების ნიმუშები ცნობილია კნოსოსშიც და მიკენშიც. ალბათ, სასმისების რქები დამზადებული იყო ხისაგან და ოქროს ჩუქურთმით ყოფილა დაფარული. ზემოხსენებულ დაზიანებულ წარწერაში გარკვევით წერია — Ke-ra-a — „რქები“. ოქრო მოხსენებულია მხოლოდ ტექსტის შემორჩენილ მონაკვეთში და უკავშირდება სასმისის ცნობილ სახეობას, რომლის ნიმუშები აღმოჩენილია ვაფიოში (ლაკონია — მთ. შენ.).

მხოლოდ რელიგიური სამსხვერპლო ძღვენის ნუსხაშია (პილოსის ფირფიტა) დაზუსტებული ჭურჭლების რაოდენობა. აქ არის 13 ოქ-

როს ფიალა, ზოგი სადა, ზოგიც დახვეწილი სახელურებით. ოქროს უმნიშვნელო ნარჩენები აღმოჩნდა თვით სასახლეში. ალბათ, სასახლე, სანამ ხანძარი გაჩნდებოდა, გულდაგულ გაუძარცვიათ. მაგრამ გაუძარცვავ სამარხებში, პერისტერიაში (კიპარისიის ჩრდილოეთით—მთ. შენ.) აღმოჩნდა რამოდენიმე ოქროს ჭურჭელი. პილოსის ერთ-ერთ წარწერაში, სხვა ხელოსნებთან ერთად, დამოწმებულია ოქრომჭედლებიც.

ავეჯი

ძალზე საინტერესოა პილოსის „ავეჯის ფირფიტების" საგანგებო სერია. ამგვარი ჩანაწერის შედგენის მიზანი ნათელი არ არის, თუმცა ის იწყება სრულიად გასაგები სიტყვებით: მეფის მოხელე (თანამდებობა და სახელი) შემოწმების შემდეგ ჩამოთვლის ნივთებს. ეს სია, ალბათ, შემოწმების შედეგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ვიცით, თუ სად ინახებოდა საქონელი. ჩამოთვლილი ავეჯი ოთახებისათვის შესაფერისი არ უნდა ყოფილიყო. თეორიულად დასაშვებია, რომ ეს ნივთები ყოფილიყო აკლდამაში, მაგრამ დამოწმებული არ არის არც ერთი ისეთი დიდი ზომის აკლდამა პილოსში, სადაც ეს ყველაფერი მოთავსდებოდა. თანაც, აღნიშნულ წარწერაში გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებიც მიკენის არც ერთ გაუძარცვავ აკლდამაში არ აღმოჩენილა.

წარწერებში არ იყო ნახსენები ავეჯის მასალა. უეჭველია, მოხელეებმა იცოდნენ, რა სახის ხისგან შეიძლებოდა მათი დამზადება. მასალის ეპითეტები კი უპირატესად ეხებოდა დეკორაციებს და არა ძირითად მასალას. ბლეჯენმა მარმარილოს მაგიდის თავების ნამტვრევებიც კი აღმოაჩინა. მაგრამ, როგორც ჩანს, კატასტროფამდე სასახლიდან ყველაფერი ძვირფასი გატანილი იყო. ავეჯის ნაწილები. აღწერილი როგორც „ოქროსი", შეიძლებოდა ინკრუსტირებული ყოფილიყო ოქროს ფირფიტებით. ავეჯის ფეხები იყო სპილოს ძვლის. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ორნამენტაციის სპეციფიკურ აღწერას ჩვენთვის უნდა მიენიშნებინა ავეჯის სახეობა. ატიკაში, მარათონთან აღმოჩენილ ერთ-ერთ აკლდამაში იყო სამი მდიდრულად მორთული ტახტი თუ სავარძელი, რომელიც ძალზე წააგავდა პილოსის აღწერებს. მათგან ერთი აღდგენილია (მიუხედავად იმისა, რომ ხე მთლიანად განადგურებული იყო), და აღმოჩნდა, რომ იგი დაფარული ყოფილა სპილოს ძვლის თხელი ფენით. მეორე დაფარული იყო ვერცხლის ფილებით, იგი ინკრუსტირებული ყოფილა სპილოს ძვლითა და მინისებრი მასალით. აქვე აღმოაჩინეს მსგავსად მორთული ტაბურეტი. როგორც ჩანს, მიკენური ავეჯიც ამ ტიპისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ წარწერების მიხედ-

ვით კიდევ მრავალი პრობლემა რჩება გადასაჭრელი. მოგვყავს მხოლოდ ერთი მათგანი: წარწერებში აღნიშნული ყველა მაგიდა, გარდა რამოდენიმე შემთხვევისა, დახასიათებულია სიტყვებით, რომლებიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ცხრაფეხა“ და „ექვსფეხა“. სხვა რიცხვები აღარ გვხვდება, მაგრამ ცხრაფეხა მაგიდა, დამეთანხმებით, წარმოუდგენელია. შესაძლოა, მიკენელებისათვის „ფეხი“, ისე როგორც კლასიკური პერიოდის ბერძნებისათვის, სიგრძის საზომი იყო. საბუთებში სიგრძის საზომი არ არის ამოკითხული. მაგრამ საოცარია, რატომაა ამდენი მაგიდა ცხრა ფუტის (ფეხისტერფის) სიგრძის. ასე რომ იყოს, ექვსი ფუტის გარდა სხვა განსხვავებული ციფრებიც შეგვხვდებოდა. ამ ტიპის სხვა ეპითეტებთან დაკავშირებითაც ანალოგიური პრობლემები ჩნდება.

ქსოვილები

ახლა განვიხილოთ საფეიქრო მრეწველობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ხელთა გვაქვს მრავალი საბუთი, თუმცა მათი ინტერპრეტაცია რთულია. ცხადია, მატყლის დართვა და ქსოვა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მიკენურ საბერძნეთში, ისევე, როგორც ყველა უძველეს საზოგადოებაში. მაგრამ ჩვენ არ გვაინტერესებს ქსოვილების ყოველდღიური წარმოება. სამეფო არქივები ამ საკითხისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდნენ და უნდა დავასკვნათ, რომ შალის ქსოვილები არ იყო ყოველდღიური მოხმარების საქონელი. ისინი, ალბათ, მეფის ოჯახისათვის, სამეფო კარისათვის ანდა საექსპორტოდ იყო გამოყენებული. ეგვიპტურ ძეგლებზე გამოსახულია მიკენელი „ელჩები“, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მოაქვთ ძღვენი, მათ შორის ქსოვილებიც. ეს უნდა ყოფილიყო გულდაგულ დამუშავებული ქსოვილები, როგორიც ეგვიპტეში არ იშოვებოდა.

საკითხის მთელი სირთულე ტექნიკურ ტერმინებშია. რა თქმა უნდა, ფუფუნების საგნების წარმოების ტექნოლოგია ჩაკვდებოდა იმ ბნელი წლების პერიოდში, რომელიც მიკენის ნგრევას მოჰყვა. ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ ეს ტერმინები აღარ იხმარებოდა კლასიკურ პერიოდში. მეორე სიძნელეს განპირობებს ის, რომ კნოსოსის ტექსტები ფრაგმენტულია. ჩვენ კი სწორედ კნოსოსის ტექსტებს ვეყრდნობით, რადგან პილოსში ამ თემაზე ძალიან ცოტა ტექსტები გვხვდება.

საფეიქრო მრეწველობაზე კნოსოსში ცენტრალიზებული კონტროლი იყო დაწესებული. როდესაც ფესტოსში იღებდნენ მატყლს, რაოდენობა ზუსტად აღინუსხებოდა ფირფიტებზე. არის, აგრეთვე, ჩანაწერები, თუ რამდენი მატყლი განაწილდა „ფესტოსის ქალებზე“ და ჩა-

ნაწერები სათანადოდ ცხადყოფენ, რომ დამთავრებული პროდუქცია მიღებულია.

სხვადასხვა ქალაქი სხვადასხვანაირ პროდუქციას, ქსოვილს ამზადებდა. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, თითქოს სხვადასხვა ქალაქი საფეიქრო წარმოების სხვადასხვა დარგში იყო სპეციალიზებული. ზოგი ქსოვდა, ზოგიც ამზადებდა დეკორატიულ ელემენტებს ამ ქსოვილების გასალამაზებლად. წარმოებაში დაკავებული ქალები თავიანთ ულუფას სამეფო საწყობებიდან იღებდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი თავისუფალი მუშები კი არ იყვნენ, არამედ უფრო მონებს ჰგავდნენ— იყო მუდმივად დაქირავებული მუშახელი.

პილოსის ფირფიტებით შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ სამუშაო ძალის შესახებ. ეს ყოველივე წარმოდგენილია ფირფიტების ორი დიდი სერიით. ახლა გავშიფროთ დასაქმებასთან დაკავშირებული ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია ქალთა ჯგუფების აღრიცხვის დროს. ამ შემთხვევაში ბერძნულთან შესაბამისობების ეტიმოლოგიური კვლევის გარდა სხვა საშუალებები არ მოგვეპოვება. გარკვეულად, გვაფიქრებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ყველა ხელობა მარტივია და ორ კატეგორიად იყოფა. ესაა საოჯახო და სამრეწველო კატეგორიები. საოჯახო ხელობის ნიმუშებია: მარცვლის დამფქველები, საბაზანოს მსახურნი, მოახლეები, ხოლო ამ კონტექსტში ბუნდოვანი ტერმინი — pa-wo-ke — ინტერპრეტირებულია, როგორც „ყოველგვარი სამუშაოს შემსრულებელი მსახური“ (ჩედვიკი, 1967).

სამრეწველო სექტორი მხოლოდ და მხოლოდ საფეიქრო მრეწველობას მოიცავს. ორი ტერმინი ამ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს მატყლისა და სელის დამუშავებას. ჩვენ ვიცით, რომ მიკენურ პერიოდში მრთველები დიფერენცირებული იყვნენ—მატყლის მჩეჩავი და მქსოველი. მაგრამ მოცემულ ვითარებაში სახელთა უმრავლესობა გვიჩვენებს საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებულ უფრო სპეციალურ დიფერენციაციას. ერთ-ერთი სახის ქსოვილს, მაგალითად, ეწოდება te-pa. მის შესაბამის სიტყვას ბერძნულში ვერ ვპოულობთ, თუმცა ის ძალზე წააგავს გვიანდელი პერიოდის ბერძნულ სიტყვას tapēs-ს — „ხალიჩა“. აღსანიშნავია, რომ კილენის არგუმენტების მიხედვით, ta-pa მოიცავდა მატყლის დიდ წონას და ამიტომაც ეს. ტერმინი წონის ერთეულის მსგავსი რამ უნდა ყოფილიყო.

რადგან ქალთა ჯგუფების უმრავლესობა, უბრალოდ, ადგილმდებარეობის ან მათი წარმოშობის ადგილის მიხედვით განისაზღვრებოდა, შეუძლებელი ხდება მათი მოვალეობის დაზუსტება. დასაშვებია, რომ აზიის სანაპიროდან ჩამოყვანილი ჯგუფები განსაზღვრულ ხელობაში იყვნენ დაოსტატებულნი. შესაბამის სერიებში მოყვანილი რიცხვითი მონაცემების ანალიზის შედეგად ვასკვნით

ორ ფაქტს: ქალთა საერთო რაოდენობის 2/3 ან, დაახლოებით 500. საკუთრივ პილოსშია დასახელებული. დანარჩენი დასახელებულია ორივე (ახლო და შორეული) პროვინციის სხვადასხვა ადგილებში. ქალთა დაახლოებით მეოთხედი საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული, ხოლო დანარჩენები — სამრეწველო საქმიანობით. თუკი გაუშიფრავი ტერმინები იგივე პრინციპით არის დაჯგუფებული, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მთელ სამეფოში, დაახლოებით 500 ან 600 ქალი დასაქმებული იყო საფეიქრო მრეწველობაში.

სელი

პილოსის ფირფიტების დიდი ჯგუფი აღნუსხავს პროდუქციის რაღაც სახეობას, რომლის შესაბამისი მარცვლოვანი ნიშანია SA. ეს ნიშანი, როგორც სხვა ამის მსგავსი, აუცილებელი არ არის ყოფილიყო ბერძნული სიტყვის შემოკლება — ის ნახსენებია A-ხაზოვან დამწერლობაში. საბედნიეროდ, ხელთ გვაქვს საბუთი, რომლის მიხედვითაც SA უნდა შეესაბამებოდეს სიტყვას „სელი“.

საბერძნეთში სელის ბოჭკოს ნედლეულს ძირითადად ამზადებდა სამეფო, რომელსაც ენგლიანოსის სასახლე უწევდა კონტროლს. ეს არ შეიძლებოდა შემთხვევითი ყოფილიყო, და, ალბათ, გამომდინარეობდა იმ განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობებიდან, რომელიც ბოჭკოს დამუშავებასა და დამზადებას სჭირდებოდა. ფაქტობრივად, საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროზე ყველაზე მეტი ნალექი მოდის, ამის გამო ეს ადგილი წყლით მუდმივად და უხვად მარაგდება. ბოჭკოს დამზადების პირველ საფეხურზე ფესვების კონებს უშვებენ გამდინარე წყალში. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ სელის მოყვანა აქ, მიკენური პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება. თუმცა ამ უკანასკნელ წლებში წარმოება შესამჩნევად დაეცა ხელოვნურ ბოჭკოსთან კონკურენციის გამო. იმ ფაქტს, რომ სელი სწორედ ამ მიდამოებში მოჰყავდათ, მიანიშნებს ანტიკური ისტორიული წყარო (თუკიდიდე). შუა საუკუნეების წყაროებიც მიგვითითებს, რომ სელი ამ ადგილებში იწარმოებოდა. ჩვენთვის უცნობია, ზომა-წონის რა ერთეული იყო სელის ეკვივალენტი. კილენმა დაადასტურა, რომ სელს წონიდნენ, მაგრამ დეტალები არ არის ცნობილი.

ფირფიტათა სერიებში დამოწმებულია იმ ადგილთა სახელებიც, სადაც სელს აწარმოებდნენ. წარწერების მიხედვით ჩანს ცენტრალიზაციის მაღალი დონე — ყოველი ადგილობრივი მმართველი მასზე მინდობილი საქმის პასუხიმგებელი უნდა ყოფილიყო; თუმცა ყოველ უბანს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ცალკეული ჩანაწერების რიცხვითი მონაცემების მიხედვით, შეიძლება აღვადგინოთ რიცხვითი მონაცემები მთლიანად

ფირფიტები, სადაც აღნუსხულია სელი, უპირატესად ორი ტიპისაა: ერთ სტრიქონიანი ჩანაწერით და ორი ან მეტი სტრიქონის მომცველი ჩანაწერით. მარტივი ტიპი წარმოდგენილია, ჩვეულებრივ, ადგილის სახელით, რასაც მოსდევს — SA და რიცხვი. როგორც ჩანს, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ამა და ამ სოფელმა შეასრულა თავისი ნორმა. ზოგ შემთხვევაში ჩანაწერს ახლავს შენიშვნებიც. რთული ტიპის ჩანაწერები ანალოგიურია მარტივი ტიპისა, მაგრამ დამატებითი წარწერა აღნიშნავს, რომ ამა და ამ რაოდენობის სელი „თავისუფალია" ან „არ არის გაცემული". ეს უნდა ყოფილიყო შეღავათები თავდაპირველი შეფასების შემდეგ. მაგალითები ცხადყოფს, რომ მსგავსი შეღავათები კეთდებოდა არა მთელი საზოგადოებისათვის, არამედ განსაკუთრებული კლასების მიმართ.

საკითხთან დაკავშირებით ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემა არის შემდეგი: არქივში გვაქვს ისეთი ჩანაწერები, რომელიც წლის დასაწყისის თვეებს მიეკუთვნება, სელის აღება კი შემოდგომაზე ხდებოდა. ამას, ალბათ, შემდეგნაირი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: მოსავლის აღების შემდეგ სელის მომყვანი სოფლების მოვალეობა ბოჭკოების დასველება იყო. ამას, ალბათ, დასჭირდებოდა ერთი თვე და თვით მესენიაშიც კი არ იყო იმდენი წყალი, რომ მთელი სელი ერთბაშად დაესველებინათ. ე. ი. შეიძლებოდა პროცესი მომდევნო წლის დასაწყისამდე გაგრძელებულიყო, ვიდრე ბოჭკოს შეაგროვებდნენ და წაიღებდნენ სამრეწველო ცენტრში. ერთხელ დასველებული და გამომშრალი ბოჭკო კარგად ინახებოდა. წარწერების მიხედვით, ჩვენ ვიცით, რომ სელის დამმუშავებელი ქალთა ჯგუფი დამოწმებულია პილოსში და ახლო პროვინციის ერთ-ერთ ქალაქში.

ვაჭრობა

ფირფიტებზე ჩანაწერების მიხედვით, შეგვიძლია მივუთითოთ იმ მოხმარების საგნებზე მიკენის სასახლეში, რომლებიც, ალბათ, მეზობელი ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. მაგალითად, სპილოს ძვალი შემოჰქონდათ, ჩანაწერებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, უცხოეთიდან, ალბათ, სირიიდან. ოქროს ძალზე მცირე რაოდენობა შეიძლება ძოეპოვებინათ საბერძნეთის საბადოებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბერძნეთში ოქრო მცირე რაოდენობით ყოფილიყო. საბუთებიც გვიდასტურებს, რომ ოქრო სასახლეებში იშვიათი არ იყო. მაგრამ ოქროს ნივთების ნაწილი უთუოდ უცხოური წარმოშობისაა. უეჭველია, რომ საბერძნეთში უცხოეთიდან შეჰქონდათ ფუფუნების სხვა საგნებიც. ასე რომ, იმ პერიოდში ძიმდინარეობდა

უცხოეთთან ვაჭრობა. ხშირად წამოუყენებიათ აზრი, რომ არსებობდა ვაჭართა კლასი. პროფესორმა ვეისმა, მიკენის კედლების გარეთ გათხრის დროს აღმოჩენილ პირველივე სახლს უწოდა „ზეთის ვაჭრის სახლი". ეს იყო შენობა, სადაც მზადდებოდა და ინახებოდა ზეთი. არის საბუთი, რომ საცხოვრებელი ნაწილი ზედა სართული იყო. მაგრამ არსებობს ორი მიზეზი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვაჭართა კლასის არსებობის საკითხს. პირველი — არც ერთ საბუთში, რომელიც აქამდე ცნობილია, არ არიან მოხსენიებული ვაჭრები ან მათი საქმიანობა. ის რომ მნიშვნელოვანი კლასი ყოფილიყო, დაუჯერებელია, მათი არსებობის შესახებ სადმე არ ყოფილიყო მითითებული. შუა აღმოსავლეთის სასახლეების არქივებში ვაჭრები ძალზე ხშირად არიან ნახსენები, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სახელმწიფო შემოსავლის საქმეში: მეორე — კომერციული სისტემის თავისუფალი ფუნქციონირება დამოკიდებულია ფულის ნიშნის არსებობაზე. ფულის ნიშნების გარეშე ეკონომიკაში ვაჭრობის წარმოება შესაძლებელი ხდება საქონლის გაცვლა-გამოცვლით. მაგრამ ეს მოუქნელი მეთოდია. ერთ-ერთი ძალზე დაზიანებული ფირფიტის ფრაგმენტი პილოსიდან შეიძლება ყოფილიყო კომერციული ტექსტი, რადგან ის შეიცავს მსგავს კონტექსტში მოხსენიებულ სიტყვას — o-no. სიტყვის იდენტიფიკაცია ძნელია, თუმცა ბერძნულში შესაბამისი სიტყვა ōnos ნიშნავს — „ფასი", მაგრამ შედარებით უფრო მოსალოდნელი იქნებოდა მიკენური ფორმა wōnos. წარწერაში საუბარია o-no-ზე, რომელიც მიემართება ხორბალსა და ლეღვს. პილოსში ეს იყო ბადის მრთველთა და მქსოველთა ჩვეულებრივი ულუფა. შემდეგ, გვაქვს კიდევ ორი ჩანაწერი, სადაც დასახელებულია ძვირფასი ქსოვილის რაღაც სახეობა. მომდევნო ნიშანი, ალბათ, აღნიშნავს, თუ რა სახის ქსოვილია ეს; უშუალოდ ამას მოჰყვება ჩანაწერი ხორბლის ხარისხის შესახებ. სამწუხაროდ, ფირფიტის წაკითხვის ყველანაირი ცდა უშედეგოა — წარწერა გაურკვეველია და, შესაბამისად, უნიკალური. არის სხვა ჩანაწერებიც, სადაც დამოწმებულია o-no, სხვადასხვა საქონელთან მიმართებაში. მაგრამ ამ ჩანაწერთა კონკრეტული დეტალები მაინც სადავო საკითხად რჩება. სახელდობრ, პრობლემატურია, რომელი ქვეყნების წარმომადგენლები ვაჭრობდნენ მიკენელებთან. სავარაუდო კანდიდატურებია კვიპროსი და ახლო აღმოსავლეთი. რამდენად მკაცრი კონტროლი ჰქონია დაწესებული მიკენს ვაჭრობაზე, ან, საერთოდ, როგორ ხორციელდებოდა საქონლის გასაღების პროცესი, დღემდე გაურკვეველია.

თავი IX

საბრძოლო იარაღები და ომი

მინოსური საზოგადოება კრეტაზე, როგორც ჩანს, შედარებით მშვიდობიანი იყო. სამხედრო სცენები არ არის გავრცელებული კრეტულ სელოვნებაში. უკანასკნელი პერიოდის ფრესკები თერადან უჩვეულოა იმით, რომ მათზე ასახულია შეიარაღებული ჯარების რიგე-

სურ. 11. მიკენური ვაზა მებრძოლთა გამოსახულებით.

ბი და საბრძოლო ფლოტილია. მაგრამ კრეტაზე ბერძენთა მოსვლისთანავე შეიცვალა საზოგადოების მშვიდობიანი სახე. არქეოლოგები თავდაპირველად საგონებელში ჩავარდნენ კნოსოსის მიდამოებში ამ პერიოდის სამაროვნების აღმოჩენის შემდეგ. აღნიშნულ სამაროვნებს

მათ „მეომართა სამარხები“ უწოდეს, იმ იარაღისა და აღჭურვილობის მიხედვით, რაც იქ აღმოაჩინეს. კრეტაზე ბერძენთა მმართველობა გამოირჩეოდა საომარი განწყობილებით.

არმიის არსებობის შესახებ არც ერთი საბუთი არ გვაწვდის ცნობას, თუმცა გვხვდება სამხედრო და საზღვაო თანამდებობებზე გამწესებულთა სიები. იყო ცდები ზოგიერთი წარწერის ასახსნელად, როგორც სამხედრო წოდებისა. მაგალითად, lāwāgetās -ს მიიჩნევდნენ მთავარსარდლად, მაგრამ უფრო დასაშვებია, რომ ამგვარ საზოგადოებაში მეომრის მოვალეობა ყველა მოქალაქის მოვალეობა ყოფილიყო და მცირე რამ ყოფილიყო საჭირო განსაკუთრებული სამხედრო ოსტატობის გამოსახატავად. ამიტომ სწორედ აღჭურვილობის ნუსხების მიხედვით უნდა შევეცადოთ წარმოვიდგინოთ მიკენური საზოგადოება ომში.

ჯავშანი

ბრინჯაოს შესანიშნავი ჯავშანი აღმოაჩინეს მიკენურ სამარხში არგოლიდში, დენდრასთან. სავარაუდოა, რომ ჯავშნის უმეტესი ნაწილი მზადდებოდა ტყავისაგან ან სელის მაგარი ქსოვილისაგან, რომელსაც, ალბათ, მეტალით ამაგრებდნენ. სქელი ქსოვილის მრავალი ფენა ძალიან კარგად იცავდა მეომარს მახვილის ჭრილობისაგან. მიკენის ერთ-ერთ სამარხში აღმოაჩინეს სქელი ქსოვილის ნაგლეჯი, ხოლო კნოსოსის ერთ-ერთ დოკუმენტში საუბარია სელის შესანიშნავ ქსოვილზე, ალბათ, ჯავშნის პერანგისათვის (Khitōn). მაგრამ ჩანაწერის ბოლოს ეკითხულობთ — „ერთი კილოგრამი ბრინჯაო“. ბრინჯაო იყო ან გაცვლის ერთეული, ან, უფრო დასაშვებია, პერანგი იყო დამზადებული ქსოვილისაგან და ბრინჯაოთი გამაგრებული. მეტალის ერთი კილოგრამი დახარჯულია პერანგის ასაკაზმად. თუმცა, შეიძლება, ბრინჯაოს ჯავშანს ატარებდნენ პერანგის ზემოდან, უპირატესად, მხრებისა და მკლავის ზედა ნაწილის დასაფარავად. გვაქვს ფირფიტების საინტერესო, მაგრამ, უმთავრესად, არასრულყოფილი სერიები კნოსოსიდან, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან ჯავშნის ელემენტების დეტალებზეც, თუმცა, წარწერები არაფერს გვეუბნება გამოყენებული მასალის შესახებ. დამოწმებულია ჩაჩქნის ოთხი მეტალის ნაწილი: სახის დასაცავი ორი ნაწილი, ორი სამხრე და გაურკვეველი რაოდენობის სხვა „დამატებითი ნაწილები“. ჩამოთვლილი ნივთების თანმიმდევრობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გადაუთარგმნელი სიტყვა qe-ro უნდა ნიშნავდეს „სამკლავურს“, თუმცა სხვა მეცნიერები მას სხვაგვარად განმარტავენ.

ჩემი აზრით, „დამატებითი ნაწილაკების“ სხვა წყება, უპირატესად, სხეულის დასაცავად გამიზნულ ნაწილებს უნდა შეესაბამებოდეს. ჩვეულებრივი ბერძნული სიტყვის — „ჯავშანის“ — შესაბამისი სიტყვა კნოსოსში ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ თითქმის ეჭვგარეშეა, რომ ჯავშანი იდეოგრამით არის გამოხატული. პილოსში გვხვდება „ჯავშნის“ (lhōrāx) კლასიკური ეკვივალენტი იდეოგრამასთან ერთად. თითქმის ამავე ფორმის ჯავშანი დამოწმებულია შედარებით გვიანდელი პერიოდის ეგვიპტურ ნახატზე. პილოსის საბუთების მიხედვით, ყველა ჯავშანს აქვს ოცი დიდი და ათი პატარა დამატებითი ნაწილი. კნოსოსში კი ოთხი დამატებითი ნაწილი მაგრდებოდა მუზარადზე სახის დამცველ ორ ნაწილთან ერთად. თვით მუზარადის ჩაჩქნის წარმოდგენა ძნელი არ არის: ყვავილის ოთხი ფურცლის ფორმის ფირფიტა ადვილად აძლევს მას კონუსის ფორმას, ლოყის დასაცავები კი მიმაგრებული უნდა ყოფილიყო მის კიდეებზე. ჯავშნის წარმოდგენა კი უფრო რთულია, რადგანაც ოცდაათი შემადგენელი ნაწილი საკმაოდ მცირე ციფრია ასეთი ტიპის ჯავშნისათვის. უფრო მეტიც, თერთმეტიდან ოთხ შემთხვევაში შემადგენელ ნაწილთა რაოდენობა ოდნავ მეტია: ოცდაორი დიდი და თორმეტი პატარა ფირფიტა.

ნიმუშების უქონლობამ არ უნდა შეგვიშალოს ხელი აღჭურვილობის აღდგენის საქმეში. შესაძლოა, დამატებითი ნაწილები ან ფირფიტები ჩაკერებული იყო ქსოვილის ფენებში, ასე რომ, ჯავშნის სტრუქტურა ჩანახატების მიხედვით ვერ გამოჩნდებოდა. ძალიან ხშირად არქეოლოგიური ნეგატივები ამ სფეროში არასწორად იყო ახსნილი; ადრე არავის წარმოედგინა, რომ არსებობდა ჯავშანი, დენდრასთან აღმოჩენილი ბრინჯაოს ჯავშნის მსგავსი. ერთ შემთხვევაში, იქ, სადაც ჩამოთვლილია ხუთი „ძველი“ ჯავშანი, გვაქვს შემოკლება „წყვილებისათვის“, რიცხვითი სახელის წინ. შეიძლება ორი მსგავსი ჯავშანი კეთდებოდა — ერთი მეომრისა და მეორე მისი მეეტლისათვის. მაგრამ შეიძლება წყვილი ყოფილიყო ჯავშანის ორი ნახევარი, რომ გაადვილებოდა მეომარს მისი ასხმა, ალბათ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ფირფიტათა რაოდენობა ყოველთვის წყვილია: 30 ან 34 დაიყოფა 15 და 17 ნაწილად. თუკი ფირფიტები არათანაბრად იყო განლაგებული და მათი ზომა და ფორმა დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაშინ თითქმის ნებისმიერი ვარიანტი იქნებოდა მისაღები. მაგრამ თუკი ფირფიტები, ძირითადად, ერთი ზომისა და ერთი ფორმისა იყო, მაშინ პრობლემა უფრო ადვილი გადასაჭრელი იქნებოდა. ლ. რ. პალმერის ვარაუდით, 11 და 6 შეიძლება ყოფილიყო სამხრეების ნაწილები. მაგრამ იდეოგრამაში ყოველთვის ნათლად ჩანს სახელოებიც. უფრო სწორი იქნებოდა ასეთი თანაფარდობა: 5+6+6. პალმერის აზრით, 15 ფირფიტა

განლაგებული იყო სამ-სამად, ხუთ ჰორიზონტალურ ჯგუფად: მოზრდილი — გვერდებზე, ერთიც, მომცრო — შუაში. კნოსოსის იდეოგრამის მიხედვით, ჯავშნის 5 ჰორიზონტალურ ჯგუფად დაყოფის ფაქტს ეწინააღმდეგება სხვა ფაქტი, სახელდობრ, პილოსის იდეოგრამის მიხედვით, ჯავშანი ხშირად დაყოფილია სამ ჰორიზონტალურ ჯგუფად. თუმცა ნახატი ზოგჯერ ისეთი დაუდევრობით არის შესრულებული, რომ ყოველგვარი დასკვნები საეჭვო ხდება. თუ წარმოვიდგენთ სამ ჰორიზონტალურ მწკრივს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 5 დიდი, ვერტიკალურად წაგრძელებული ფირფიტა იყო გულმკერდის დამცველი, შემდეგ მოჰყვებოდა 5 ან 6 მომცრო ზომის ფირფიტა წელთან, მეტი მოქნილობისათვის. ფირფიტების რაოდენობა იზრდებოდა ჩასაცმელის ქვედა ნაწილში. ისინი, ალბათ, ნაწილობრივ ფარავდნენ ერთმანეთს; მაგრამ ამგვარ ჯავშანს აქვს ორი ნაკლი: ფირფიტები მხრებს კარგად ვერ დაიცავს, თუ ისინი რკალისებრი არ იქნება; სახელოებიც არ არის გამაგრებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემომოყვანილზე უფრო დამაკმაყოფილებელი ახსნა ჯერ არავის მოუნახავს.

მიკენურ ხელოვნებაში ხშირად გვხვდება ფარების სურათები. ფარები, ალბათ, მზადდებოდა ხარის ტყავისაგან. ისინი ზოგჯერ მეტალით იყო გამაგრებული (ცნობილია ფარის ფრესკა კნოსოსის სასახლიდან), თუმცა ჩანაწერებში არავითარი მონაცემები არა გვაქვს ფარების შესახებ. ნახსენებია ხარის ტყავი, მაგრამ იგი სხვა მიზნებისათვის იყო გამოყენებული. მიკენურ წარწერებში არ გვხვდება იდეოგრამა, რომელიც ფარს შეესაბამება, ანდა „ფარის" ეკვივალენტი რომ იყოს, კლასიკური ბერძნულისა და ჰომეროსის მიხედვით.

ეტლები

მიკენელი მეომარი, რაც არ უნდა კარგად ყოფილიყო შეიარაღებული, თუ ტრანსპორტირების საშუალება არ ექნებოდა, სრულყოფილად ვერ ჩაითვლებოდა. ტრანსპორტი აუცილებელი იყო მძიმედ შეიარაღებული მეომრისათვის, თუმცა უნდა დავუშვათ, რომ სამხედრო ნაწილების უმრავლესობა გადაადგილდებოდა ფეხით. ბრძოლაში ეტლების მასიურად გამოყენება, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ხეთებისათვის, მიკენელთა თანამედროვე და მეზობელი ხალხებისათვის, საბერძნეთის უმეტეს ნაწილში გამოუსადეგარი იყო. ეტლებს გაშლილი დაბლობი სჭირდებოდა, რომელსაც არც ხეები ეღობებოდა, არც წყალი. შესაფერის ადგილას ასეთი ტაქტიკის გამოყენება შესაძლებელი იყო, მაგრამ ისეთ მხარეებში, როგორიც

მესენიაა, ან კრეტა, ეტლები მხოლოდ ტვირთის გადასაზიდად ან პრესტიჟის სიმბოლოდ თუ გამოდგებოდა. მიკენური ეტლი კნოსოსის ბევრ ფირფიტაზეა ასახული, მას ხშირად ვხვდებით ხელოვნებაშიც. მაგალითად, პილოსის ფრესკაზე გამოსახულია ეტლზე ამხედრებული ორი მეომარი. ბევრია ანალოგიური სცენა ვაზების ან ლარნაკების მხატვრობაშიც. თვით ეტლი მსუბუქია, აქვს მყარი ღერძი, რომელზედაც მიმაგრებულია ორი თვალი. ჩვეულებრივ, ეტლში ორი ცხენია შებმული. გათხრების დროს ნაპოვნი ცხენების ჩონჩხების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ცხენები საბერძნეთში ძალიან პატარა ჯიშისა უნდა ყოფილიყო. ეგეოსურ კუნძულზე მსგავსი ჯიში დღემდეა შემორჩენილი. და მართლაც, ცხენების ამ უძლური ჯიშის გამო არ არსებობდა მიკენურ საბერძნეთში კავალერია. ორი ცხენი კი მიკენურ მსუბუქ ეტლს ადვილად და სწრაფად წაიყვანდა შესაფერის გზებზე. ყოველივე აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეტლების გადასაადგილებლად უნდა არსებულიყო საეტლო გზები.

ეტლების ზოგიერთ დეტალებზე წარმოდგენას გვიქმნის კნოსოსის ინვენტარი. პილოსში ეტლების შესახებ ჩანაწერები არ გვხვდება, მაგრამ თვით ეტლების არსებობას ადასტურებს ეტლის თვლების ინვენტარიზაცია. ეტლის კარკასები ცალკე, თვლების გარეშე, აღნუსხული; ზოგიერთი მათგანი აღჭურვილია სრულად — უღლი, ლაგამითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით, ზოგიერთები კი — არ.

ერთ-ერთი ვრცელი ფირფიტის რეკონსტრუქციის შედეგად აღ ვადგინეთ მიახლოებითი რაოდენობა: 246 ეტლის ჩარჩო და 208 წყვილი ეტლის თვალი. დასაშვებია, რომ კნოსოსს შეეძლო ველზე გამოეყვანა, დაახლოებით, 200 ეტლი. პილოსში ეტლების აღმნუსხველი ფირფიტები არ აღმოჩენილა, შეიძლება ეს ჩანაწერები ინახებოდა სადმე სხვა შენობაში, რომელიც ჯერ არ არის გათხრილი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გათხრები მხოლოდ სასახლის კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობს და, რა თქმა უნდა, აქვე ახლოს უნდა იყოს სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაგებობები, ნარჩენები, რომლებსაც მიკენური სასახლეების ანალოგიით, ექნებოდათ ფირფიტების მეორეხარისხოვანი საცავებიც. სამწუხაროდ, გათხრების გაფართოებასთან დაკავშირებით, ხარჯები ძალზე დიდი იყო და ამასთან, შედეგიც არ იყო გარანტირებული.

როგორც აღვნიშნეთ, წარწერებში დამოწმებულია თვლები, დარწმუნებული არა ვართ, რომ ეს უთუოდ ეტლის თვლებია, მაგრამ ყველა ჩანაწერი ადასტურებს ერთი წყვილი თვალის არსებობას. ორ თვლიანი ტრანსპორტი კი ძნელი წარმოსადგენია იყოს სხვა რა, თუ არა ეტლი. სხვადასხვა სარწმუნო წყაროებიდან შეგვიძლია ვ მოვიტანოთ დასკვნა, რომ პილოსს მაინც ჰყავდა სამხედრო ძალა

ეტლები, თუმცა, კნოსოსთან შედარებით, პატარა მასშტაბით. შესაძლოა ამის მიზეზია თვით სამეფოს პატარა ტერიტორია, მაგრამ ხელთ არა გვაქვს ჩანაწერები და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით ამგვარი სამხედრო ძალის შესახებ პილოსში.

იარაღი

ევანსმა ჩვენი ყურადღება გაამახვილა იმ ფირფიტებზე, სადაც დამოწმებულია მოკლე მახვილები. ესკიზური ჩანახატებით ძნელია გავარკვიოთ ხანჯლებია ეს თუ მახვილები. პრობლემას არ წყვეტს მახვილი საგნის შესაბამისი სიტყვა — Pa-Ka-na. ეს, აშკარად, ჰომეროსისეული სიტყვაა — Phasgana და არის სამი სიტყვიდან ერთ-ერთი, რომელთაც ჰომეროსთან აქვს „მახვილის" მნიშვნელობა. მაგრამ სხვა სიტყვებთან ანალოგია ცხადყოფს, რომ ჰომეროსთან მოხდა მიკენური ბერძნულისაგან განსხვავებულ ტერმინთა აღრევა. ასე რომ, რჩება მისაღები თარგმანი — „ხანჯლები".

საკვირველი არ იქნება, თუ ფირფიტათა ამ ჯგუფში დავინახავთ მეფის მცველთა არსენალში დაცულ ინვენტარს. ეს ფირფიტები აღმოაჩინეს ცენტრალური სასახლის აღმოსავლეთით, ერთ-ერთ დერეფანში, სამეფო აპარტამენტების ახლოს. თუ შეიძლება საბუთად (თუნდაც ქრონოლოგიურ საბუთად) გამოვიყენოთ „ოდისეა", ეს წყარო დაგვიდასტურებს, რომ იარაღი, ჩვეულებრივ, სამეფო რეზიდენციაში ინახებოდა. ერთ-ერთი დიდი სიძნელე, რომელსაც ოდისევსი სასიძოებზე თავდასხმის დროს წააწყდა, იყო იარაღის გამოტანა დარბაზიდან შეუმჩნევლად, ბრძოლის დაწყებისთანავე მათთვის იარაღის ასხმის საშუალება რომ მოესპო. მიკენურ ჩანაწერში დამოწმებულია 50 ხმალი და ხანჯალი. ზოგიერთს ისეთი ეპითეტი ახლავს, რომ მათი გადმოცემაც კი რთულია.

პილოსში „ხმალის" თუ „მახვილის" შესაბამისი სიტყვა აღარ გვხვდება, მაგრამ უცნაური ფირფიტა, რომელიც ჭურჭლისა და ავეჯის ინვენტარიზაციას ეხება, აღნუსხავს ორ ხმალს. აქ ეხვდებით კლასიკურ Xiphos-ის შესაბამის სიტყვას, თუმცა ის უცნაურადაა აღნიშნული. აქ გვხვდება, აგრეთვე, თუკი ნახატს შეიძლება ვენდოთ, „ორი ორპირა ცული", მაგრამ მათი აღმნიშვნელი სიტყვა არ შეესაბამება კლასიკურ ფორმას. კნოსოსში აღმოჩენილ ფირფიტაზე აღნუსხულია ბრინჯაოს გადასახადები. ეს ფირფიტა ადასტურებს, რომ ბრინჯაო საჭირო ყოფილა შუბისა და pa-ti-ja-ს (ისრების) წვერის დასამზადებლად. ევანსი ბეჭდებზე ისრების გამოხატვის ანალოგიით, pa-ti-ja-ს განმარტავს, როგორც „ისარს". მაგრამ ისრის იდეოგრამა სხვა ჩანა-

წერებში განსხვავებულია, და როგორც ჩანს, pa-ti-ja უნდა იყოს არა ისარი, არამედ რაღაც ხელშუბის მსგავსი იარაღი.

სამხედრო ორგანიზაცია

იმ ფაქტს, რომ ჩანაწერებში ხშირად არ არის დამოწმებული იარაღი, მიკენელების მშვიდობისმოყვარეობის დამადასტურებელ საბუთად ვერ მივიჩნევთ. უნდა გვახსოვდეს, რომ წარწერები მოიცავს ცხოვრების იმ სფეროს, რომლითაც სასახლე იყო დაინტერესებული. ალბათ, არ ჰქონდათ პილოსისა და კნოსოსის მეფეებს კარგად მომარაგებული არსენალი, საიდანაც მებრძოლები მობილიზაციის დროს გაიტანდნენ იარაღს. უფრო დასაშვებია, რომ თითოეული მამაკაცისათვის განკუთვნილი ყოფილა პირადი იარაღი და მას გამოიყენებდა სამხედრო სამსახურის მოთხოვნილებისამებრ, ისევე, როგორც ეს ხდებოდა კლასიკურ საბერძნეთში.

საკვირველია, რომ არა გვაქვს კნოსოსის მეომარი ჯგუფების ნუსხა. მეფეს ხომ დიდი სამხედრო ძალა უნდა ჰყოლოდა უზარმაზარ ტერიტორიაზე თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. კნოსოსის მიდამოებში აღმოჩენილი „მეომართა სამარხები“ ადასტურებენ ამ ვარაუდს. პილოსში უკეთესი მდგომარეობაა. აქ დამოწმებულია „ნიჩბოსნებად“ მიჩნეული მამაკაცების დიდი ჯგუფი. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა საზღვაო ორგანიზაციის შესახებ. უნდა ვაღიაროთ. რომ „ნიჩბოსანის“ შესაბამისი სიტყვა კნოსოსში განსხვავებულ კონტექსტებში გვხვდება. მაგალითად, სიტყვა „ნიჩბოსანი“ შეტანილია, ძირითადად, ადგილობრივი მმართველობის სიაში. მაგრამ პილოსში გვაქვს ხუთი სხვადასხვა ადგილიდან წამოსული 30 მამაკაცის სია. ესენი, როგორც ნიჩბოსნები, მიემგზავრებიან პლევრონში, მაგრამ თუ სად იყო ეს პლევრონი, ჩვენ არ ვიცით. შესაძლოა, ამ სახელწოდების ქალაქი იყო კორინთოს ყურის ჩრდილოეთით. ხელთ გვაქვს უფრო ვრცელი სია, რომლის დასაწყისი ფრაზა დაზიანებულია, მაგრამ სიტყვა „ნიჩბოსანი“ მაინც ამოიკითხება. შემორჩენილ ნაწილში 569 კაცი შეიძლება ამოვიკითხოთ, მაგრამ ზოგ ჩანწერს ციფრი აკლია. ზოგიც თავისთავად არასრულია; შესაბამისად, ჩამოთვლილ პირთა საერთო რიცხვი შეიძლება ყოფილიყო 600-სა და 700-ს შორის. არსებობს აზრი, რომ ერთი ხომალდი დაკომპლექტებული იყო 30 ნიჩბოსნით ასე რომ, ზემოთ მოყვანილი რაოდენობა საკმარისი იქნებოდა 20 ხომალდისათვის. მაგრამ კუნძულ თერაზე ახლადაღმოჩენილი ფრესკ მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მინოსურ სამხედრო გემზე კაცი იყო.

არეულობის ხანაში, მე-13 საუკუნის ბოლოს, მიკენური სამყაროს მხოლოდ რამოდენიმე მონარქმა შეძლო აეგო მასიური ციხე-სიმაგრენი, რომელთა მიღმაც მოსახლეობას და შინაური ცხოველების ზოგიერთ სახეობასაც შეეძლო შეეფარებინა თავი. ამ შემთხვევაში წამოიჭრებოდა მათი გამოკვების პრობლემა. მაგრამ ცნობილია, რომ სიმაგრეების არავითარი კვალი არ არის აღმოჩენილი პილოსში. დიდი კედლების ერთადერთი კვალი დათარიღებულია უფრო ადრეული ხანით. კედელი მე-13 საუკუნისათვის უკვე დაშლილი იყო. ხმელეთიდან პილოსის სამეფოზე თავდასხმა ძნელი უნდა ყოფილიყო. სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი მაღალმთიანი ზოლია. შედარებით დაბალი, მაგრამ ძნელად გადასალახი მთა ქმნის ჩრდილოეთ საზღვარს. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეზე გადის გზა, რომელიც ციცაბო ასასვლელით უდგება არკადიის ცენტრალურ პლატოს. ამ დაბლობის მტრისაგან დაცვა არ იქნებოდა რთული, მტერს კი, აქ მისასვლელად, ჯერ მთელი ჩრდილოეთი პელოპონესი უნდა დაემორჩილებინა. ამ მიმართულებით მტრისაგან საფრთხე არ იყო მოსალოდნელი, სანამ მიკენი მყარად იდგა. სამეფო მხოლოდ დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ჩრდილოეთიდან იყო ადვილად მისადგომი. პილოსის მეფეს დიდად არ აშინებდა თავდასხმა ხმელეთიდან, მაგარმ ზღვა სხვა საკითხია.

სამეფოს ზღვის სანაპირო დაახლოებით 150 კმ-ზე ვრცელდებოდა. თუ მტერი ზღვიდან მოვიდოდა, მას უნდა ამოერჩია ხმელეთზე მისადგომი. მაგრამ კლდოვან სანაპიროზე ბევრი ადგილი გადასასვლელად შეუფერებელია. ასე რომ, ზღვიდანაც რეალური საფრთხე უმნიშვნელო იყო. კიპარისიის სამხრეთი დაბლობი ნაკლებ ხელსაყრელია ხმელეთზე გადასასვლელად. ნავარინოს ყურის ჩრდილოეთით ვოიდოკილია, ალბათ, მთავარი ნავსადგური იყო. თვით ყურე ხმელეთზე გადასასვლელად იდეალური ადგილია, მას 5 კმ-ზე გასდევს სილიანი სანაპირო, რომელიც დაცულია კუნძულ სფაქტერიით. ეს უნდა ყოფილიყო გზა სასახლისაკენ, დაახლოებით 6 კმ-იანი გზის ყველაზე სახიფათო მონაკვეთი. თანამედროვე პილოსის სამხრეთით კლდეებია და დაბანაკება ამ მიდამოებში არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ვიდრე არ მიაღწევდნენ მეთონის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ წვერს. ან აქ, ან ფინიკუსში, 12 კმ-ზე აღმოსავლეთისაკენ, შესაძლებელი იქნებოდა ხმელეთზე გადასვლა, მაგრამ ეს ადგილი დაშორებული იყო სასახლიდან და დასახლების მთავარი ცენტრებიდან. ნახევარკუნძულის უკიდურესი სამხრეთი, აკრიტას კონცხი, მეტად კლდოვანია. თვით მესენიის ყურეშიც ხმელეთზე ვერ გადახვიდოდი, გარდა ერთი მონაკვეთისა ჩრდილოეთით, სადაც ახლა ჭაობია. თუმცა ეს ადგილიც მოშორებული იყო სასახლიდან და, საერთოდ, ყურეში შესვლა ძალიან სახიფათო უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ გადასასვლე-

ლის ძებნაში მტრის ფლოტილიას შეეძლო გზა გადაეკეტა. თავდაცვის თვალსაზრისით, უმთავრესი ამოცანა იყო, მთელი სანაპიროს გასწვრივ, მეთვალყურეობის ორგანიზაცია მტრის ფლოტილიის მოახლოებისა ან მტრის ხმელეთზე გადმოსვლის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტიც ამ ტიპისაა. იგი იწყება შემდეგი სიტყვებით: „მეთვალყურენი ამგვარად დარაჯობენ სანაპირო რაიონებს" — ეს ნათლად გამოხატავს მიზანს, მაგრამ საჭიროა განვიხილოთ დეტალებიც.

ეს ერთადერთი დოკუმენტი მოიცავს ხუთ ფირფიტას, მაგრამ მათი თანმიმდევრობა გაურკვეველია და რეკონსტრუქცია, უმთავრესად, რთულ არგუმენტაციას ემყარება. ნათლად გამოკვეთილია შემდეგი: მთელი სანაპირო დაყოფილია 10 ნაწილად და ყველგან პასუხისმგებელი პირის სახელია აღნიშნული. მას მოჰყვება სხვა სახელები, ალბათ, ქვეშევრდომებისა და რამოდენიმე (ორი ან სამი) პასუხისმგებელი პირის სახელი. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ცნობილია სხვა დოკუმენტებიდანაც და, ჩანს, ისინი მმართველ კლასს მიეკუთვნებოდნენ. ამას მოჰყვება ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვანაირად არიან დახასიათებულნი. მათი რაოდენობა ყოველთვის 10-ის ჯერადია და შეიძლება აღწევდეს 110-ს. ჩანაწერს რამდენიმე რიცხვითი მონაცემი შეიძლება აკლდეს, ან არასრული იყოს, მაგრამ მთელი რაოდენობა, რაც კი შემოგვრჩა, აღწევს 800-ს. ეს, მთლიანობაში, დიდი ძალაა, მაგრამ თუ გავფანტავთ მას 150-კილომეტრიანი სანაპიროს გასწვრივ, მაშინ 200 მეტრზე მოვა ერთი კაცი. ასეთი ძალა, რასაკვირველია, ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მოწინააღმდეგეს, მაგარმ ეს სრულიად საკმარისია მეთვალყურეობისათვის. სამეთვალყურეო სექტორები იწყება მდინარე ნედადან (ჩრდილოეთით). მოჰყვება დასავლეთ სანაპიროს აკრიტას კონცხამდე და შემდეგ ბრუნდება ჩრდილოეთით, მესენიის ყურესაკენ.

მეთვალყურე მამაკაცთა ზოგიერთი ჯგუფები მათი მშობლიური ქალაქების სახელითაა წარმოდგენილი, მაგრამ ვხვდებით სხვა განმსაზღვრელ ტერმინებსაც, რომელთაგანაც არც ერთი არ ამოიცნობ მომდევნო პერიოდის ბერძნულის ლექსიკის დახმარებით. ზოგიერთ ტერმინი ადგილმდებარეობის სახელწოდებიდან წარმოებულს ჰგავს, მაგრამ ეს ადგილები დოკუმენტებში არსადაა დამოწმებული. შესაძლებელია, ეს არის სამეფოს მოსახლეობის ჯგუფების აღნიშნა ტერმინების მიხედვით.

ამ დოკუმენტებში, მეთვალყურეთა გარდა, დასახელებულია „ე' და ეს მხლებელი". სულ დასახელებულია 10 სექტორი და 11 მხლებელი. როგორც ჩანს, მხლებლები უნდა ყოფილიყვნენ გარკვეული ს ხის მეკავშირე პირები, მათ ევალებოდათ სწრაფად დაემყარებინ

კავშირი სხვადასხვა ბანაკების მეთაურებთან. მხლებლებს, ალბათ, ჰყავდათ ეტლებიც. მხლებლები იღებდნენ ცნობებს საგუშაგო ერთეულებიდან და გზავნიდნენ მეეტლეებს შიკრიკებად პილოსის მეფესთან. თუმცა ეს ჰეშმარიტებას წააგავს, მაინც აუხსნელი რჩება, რად უნდოდა, მაგალითად, ერთ სამეთვალყურეო პუნქტს სამი მეკავშირე მეთაური, მაშინ, როცა სხვაგან მეკავშირე ერთია სამ სექტორზე?

მე სხვაგვარად ვცადე განმემარტა საქმის ვითარება; მხლებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა (სულ 5) კონცენტრირებულია VII და VIII სექტორებში. ეს უნდა ყოფილიყო, ფაქტობრივად, სამეფოს დასავლეთი სანაპირო, საიდანაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი მტრის თავდასხმის საფრთხე. ყველაზე ნაკლებია მხლებელთა რაოდენობა (2 კაცი) II სექტორში, უფრო ჩრდილოეთისაკენ. ჩვენთვის ცნობილია, რომ მხლებლები სამეფო კარის უფროსი მოხელეები იყვნენ.

ჯარის დიდი ნაწილი მოთავსებული იყო კიპარისიის მიდამოებში. ერთი იცავდა ჩრდილოეთს (III სექტორი), ერთიც — II სექტორს. IV, V და VI სექტორები სუსტად იყო დაცული, როგორც თავდასხმისათვის არახელსაყრელი რაიონები. ყველაზე სახიფათო უნდა ყოფილიყო ნავარინოს ჩრდილოეთი ან თვით ყურე. ამგვარად, VII სექტორში ჯარის ორი ნაწილი იდგა, VIII სექტორში — სამი. ძალების ნახევარზე მეტი ამ ნაწილებში იყო თავმოყრილი. ეს, საერთოდ, სწორი განლაგებაა თავდასხმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ჯარების ერთი ნაწილი ნახევარკუნძულის სამხრეთით იყო განლაგებული, მაგრამ არცთუ ისე შორს, რომ ვერ შეძლებოდა სწრაფად შეერთებოდა მთავარ ძალებს. ყველაფერი, ალბათ, დამოკიდებული უნდა ყოფილიყო არმიის დაჯგუფებაზე 5 ძირითად ერთეულად, რადგან, თუ ისინი დამარცხდებოდნენ, სასახლეს ვეღარავინ დაიცავდა.

თუ რა მოხდა სინამდვილეში, საიდუმლოდ რჩება. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ სასახლე გაიძარცვა და დაიწვა. არ არის ადამიანთა ნაშთებიც. ეს კი ნიშნავს, რომ თავდამსხმელთათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. როგორც ჩანს, მაშინვე. როგორც კი მიიღეს ცნობა არმიის დამარცხების შესახებ, ან შეიძლება მანამდეც, სასახლის მშვიდობიანმა მოსახლეობამ მთებს შეაფარა თავი. შესაძლოა, ლტოლვილებმა თან წაიღეს მცირეოდენი განძი. ტყვედ ჩავარდნილს, ქალს თუ ბავშვს, რა თქმა უნდა, მონად წაიყვანდა თავდამსხმელი; მამაკაცებს ამოხოცავდნენ. დარჩენილი მოსახლეობის მიმართ, ალბათ, მკაცრ ზომებს მიიღებდნენ. არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსახლეობა წინანდელი რაოდენობის მეათედამდე იქნა დაყვანილი. არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, აგრეთვე, ლტოლვილთა კვალს, მაგალითად, პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთით ან იონიის

ჯუნძულებზეც კი. მაგრამ ვინ იყვნენ თავდამსხმელები? ცხადია, ისინი ზღვიდან მოვიდნენ. თუკი ამ თავდასხმას რეაქციად მოჰყვა სამეფოს მოსახლეობის უკან დახევა ჩრდილოეთისაკენ, თავდამსხმელნი სამხრეთიდან უნდა მოსულიყვნენ და, დასაშვებია, აქედან დაიწყო კიდეც იერიში. ამის მეტი პოზიტიური საბუთები აღარა გვაქვს. შეუძლებელია არ გავიხსენოთ თავდასხმები ეგვიპტეზე, დაახლოებით იმავე პერიოდში, მათ ეგვიპტელები „ზღვის ხალხის" თავდასხმებს უწოდებდნენ. უეჭველია, „ზღვის ხალხი" ეგეოსური მიდამოებიდან მოვიდა. ეგვიპტელები მათ სახელებსაც კი ჩამოთვლიან, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, მათი ამოცნობა ძნელია. მაშინაც კი, თუ ვიფიქრებთ, რომ ვცნობთ ფილისტიმელებსა და ლიკიელებს, გადაჭრით ვერ ვიტყვით, იყვნენ თუ არა ისინი თავთავიანთ ადგილებზე ამ ისტორიულ პერიოდში. ფილისტიმელები, როგორც ჩანს, დასახლდნენ პალესტინაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ეგვიპტიდან გამოაძევეს. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მათ ადრეც ჰქონდათ კავშირი ეგეოსურ სამყაროსთან. მსგავსი საბუთის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხალხი ანატოლიიდან იღებს სათავეს.

„ზღვის ხალხთა" შორის იყო ტომი, რომელსაც ეგვიპტელები, ზოგადად, „აქაველებს" უწოდებდნენ. ფონეტიკური მსგავსება ზუსტი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეპვი გვეპარება, უწოდებდნენ თუ არა მიკენელები თავის თავს ამ სახელს. ეგვიპტეზე მათი ორი თავდასხმის თარიღები — 1225 და 1183 ძვ. წ. —— იმდენად უახლოვდება პილოსის კატასტროფის თარიღს, რომ ძნელია გაუძლო ცდუნებას და ისინი ამ ამბებს არ დაუკავშირო. „ზღვის ხალხის" თავდასხმა ეგვიპტეზე უბრალო თავდასხმა კი არ იყო, არამედ ეს იყო სერიოზული ცდა შეჭრილიყვნენ ეგვიპტეში კოლონიზაციის მიზნით, რადგან თავდამსხმელთ თან ახლდათ ხომალდებიც და ქალებითა და ბავშვებით დატვირთული ურმებიც. ამ ხალხებს ხომ იმდენად ძლიერი ფლოტილია ჰყავდათ, რომ ერთი განაყოფიც კი საკმარისი იქნებოდა პატარა სამეფოზე თავდასხმისათვის.

ეს მოთარეშენი, როგორც ჩანს, იყვნენ მეკობრეთა დაჯგუფებები, რომლებიც დროდადრო თავდასხმებს აწარმოებდნენ დიდ ობიექტებზეც, მაგრამ, უპირატესად, ამჯობინებდნენ უფრო სუსტ მოწინააღმდეგესთან დაეჭირათ საქმე. თუ მათი ბაზები ეგეოსის აღმოსავლეთში იყო, მაშინ სავაჭრო გზები კიპროსამდე და ლევანტამდე არ იქნებოდა უსაფრთხო. მაგრამ ეს ყოველივე მაინც ვარაუდია და ჩვენ შეიძლება ვერასოდეს დავადგინოთ სიმართლე.

წელიწადის დრო, როდესაც თავდასხმა მოხდა, უნდა ყოფილიყო გაზაფხული. ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტი, რომელიც, როგორც ჩანს,

თვის სახელის აღმნიშვნელი სიტყვით — „ნაოსნობის დროით“ — იწ-
ყება. ესეც მიესადაგება თეორიას ზღვიდან თავდასხმის შესახებ.

კნოსოსის კატასტროფა საბუთებში ნაკლებადაა ასახული. მაგრამ ვიმედოვნებთ, აღმოჩნდება ჩანაწერები, რომლებიც დაგვიმოწმებს საბრძოლო სამზადისს. მსგავს თეორიასაც თავისი სიძნელეები ახლავს. დასაშვები ვარაუდებიდან ყველაზე სანდო ჩანს შემდეგი: კნოსოსის მეფე არ უნდა ყოფილიყო ინფორმირებული მოსალოდნელი დარტყმის შესახებ. ეს დარტყმა კი, ჩანს, იყო სახელმწიფო გადატრიალება სასახლის შიგნით და არა სამხედრო ოპერაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში წამოიჭრება კითხვა: რატომ წაუკიდეს სასახლეს ცეცხლი ამ პირობებში? კნოსოსის სასახლის კატასტროფასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება მრავალი პრობლემა და, დასკვნების გამოტანა მაშინ, როცა საბუთები ამდენად მცირეა, ყოველგვარ აზრს მოკლებული უნდა იყოს.

თავი X

ჰომეროსი, ფსევდო-ისტორიკოსი

დაახლოებით 700 წლის წინათ ძველი წელთაღრიცხვით, პოეტმა, რომლის სახელიც — ჰომეროსი (Homēros —მძევალი) — მოგვიანებით ცნობილი გახდა, შეთხზა ორი დიდი ეპიკური პოემა. „ილიადაში" ილიონის, ანუ, იგივე ტროას ომის მიხედვით, იგი აღწერს ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან პერიოდს, ქალაქის ალყის მე-10 წელს. „ოდისეა" — ეს არის, ტროას ომის შემდეგ, ოდისევსის შინ დაბრუნების ამბავი. ამგვარად, ორივე პოემა მიეკუთვნება ერთსა და იმავე პერიოდს და ეს პერიოდი მეტისმეტად შორსაა მისი შექმნის თარიღიდან. მაგრამ მაინც ხსენებული პოემები ტროას ომის ისტორიის ერთადერთი წყაროა.

როდის მოხდა ტროას ომი? ან საერთოდ, მოხდა თუ არა? ძვ. წ. VII საუკუნეში საბერძნეთი შედგებოდა არაორგანიზებული პატარ-პატარა სახელმწიფოებისაგან, ცივილიზაციის დონეც შედარებით დაბალი იყო. სახლებს აგებდნენ ხისაგან და ალიზისაგან. ძვირფასი მასალა ძალზე იშვიათი იყო, მხატვრობა და სკულპტურა—პრიმიტიული. მაგრამ ჰომეროსთან აღწერილი საბერძნეთი შედგება შესანიშნავად ორგანიზებული სამეფოებისაგან, ხასიათდება გაერთიანებული სამხედრო მოქმედებებით. ჰომეროსის მეფეები ცხოვრობდნენ მდიდრულ, ქვით ნაგებ სასახლეებში, რომლებიც დამშვენებულია ოქროთი, სპილოს ძვლითა და სხვა ძვირფასი მასალით. აქილევსის ფარზე გამოსახული სცენები (აქილევსს ფარი დაუმზადა ღმერთმა ჰეფესტოსმა — მთ. შენ.) მხატვრობის მაღალ დონეზე მეტყველებს. იმისათვის, რათა გამოვნახოთ შესაბამისი ვითარება ჰომეროსის საბერძნეთისათვის, უნდა დავუბრუნდეთ მიკენის ხანას, XII ან, უფრო სწორად, XIII საუკუნესთან ახლო პერიოდს.

შესაძლებელია თუ არა VIII საუკუნის პოეტმა ზუსტად აღწეროს მოვლენები, რომლებიც მოხდა 500 წლის წინათ? — დადებითი პასუხი მოსალოდნელია. ჩვენ გვაქვს შუასაუკუნეებში შექმნილი „სიმღერა როლანდზე". ეს პოემა, რომელიც აშკარად შექმნილია XII საუკუნე-

ში ,აღწერს 778 წლის მოვლენებს, მაგრამ ეს შედარება თან გვამხნევებს, თანაც იმედს გვიცრუებს. ანალოგია ცხადყოფს, რომ ზეპირსიტყვიერებას საუკუნეების განმავლობაში კარგად შეუძლია შემოინახოს ისტორიული ფაქტები, მაგრამ მსგავსი ნიმუშები ცხადყოფენ იმასაც, რომ, ჩვეულებრივ, ხშირად მახინჯდება სიმართლე და მკვლევარისთვის გასათვალისწინებელი ხდება სერიოზული შეცდომები. ამიტომ არ შეგვიძლია ჰომეროსის მიერ პოემაში აღწერილი ამბები მივიჩნიოთ უტყუარ ისტორიულ ფაქტებად. მაგრამ მაინც უნდა დავაფასოთ ჰომეროსი, როგორც წყარო, საჭიროების შემთხვევაში, ამა თუ იმ არგუმენტის დასამოწმებლად. აქედან გამომდინარე, ჩვენც დროდადრო მივმართავთ მას.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ამერიკელი მეცნიერის მილმან პარის (1902—35 წწ.) ნაშრომი, რომელშიც მან განიხილა ზეპირი პოეზიის მოქმედების მექანიზმი. ზოგი ვედური ჰიმნი*, ვიდრე მათ ჩაიწერდნენ, ასევე ზეპირად გადაეცემოდა ინდოეთში საუკუნეების მანძილზე. ჰომეროსის ეპიკური პოემებიც ჩაწერამდე, ალბათ, ასევე იყო შემონახული, მაგრამ ძნელია დავადგინოთ დრო, როცა დამწერლობა იქცა ტრადიციად. ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი ხომ დამყარებულია იმ გამოცემაზე, რომელშიც მოდერნიზებულია მართლწერა, ამასთანავე, ეს ტექსტი გამოქვეყნებულია III საუკუნეში ძვ. წ. თუკი ჰომეროსი ნამდვილად მოღვაწეობდა VIII საუკუნეში, ეს სწორედ ის პერიოდია, როცა ანბანური დამწერლობა ერცელდებოდა საბერძნეთის მიწებზე, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარ, ან ნაწილობრივ მცოდნე, საზოგადოებაში ზეპირსიტყვიერების პროცესი თავისებურ კვალს ტოვებს პოემაზე. შემოქმედი მომღერალი არ არის გრამფირფიტა, ყოველი გამეორებისას იგი ხელახლა ქმნის პოემებს. მას ეს შეუძლია, რადგან გონებაში დაგროვილი აქვს მთელი სტროფები, ან სტრიქონი, ან მათი ნახევრები და უფრო მცირე ერთეულებიც. მას მზად აქვს ფორმულები სიტყვების შესაქმნელად.

პოემაში ყოველ გმირს აქვს თავისი ეპითეტები: აქილევსი არის „ფეხმარდი", ოდისევსი „გამჭრიახი", აგამემნონი „კაცთა მეუფე". რადგან ბერძნული არის ფლექსიური ენა, ამ სახელებს აქვს სხვადასხვა მოდელები სხვადასხვა ბრუნვაში გამეორების დროს და ეპითეტიც შესაბამისად უნდა შეიცვალოს. „ფეხმარდი აქილევსი" მეუცველად ვერ გამეორდება ნათესაობით ბრუნვაში, ამიტომ შეიძლება შეიცვალოს ეპითეტი — „აქილევსი პელევსის ვაჟი". ყველა საგანს თავი-

---

* ვედები — ძველი ინდური ლიტერატურის უძველესი ძეგლები (ძვ. წ. VI ს.-ზე ადრეული პერიოდი). 4 საღმრთო წიგნი, რომელიც შეიცავს რელიგიურ ჰიმნებს, სიმღერებს, მითებს...

ს ეპიზოდები აქვს: გემი — „სწრაფია“ ან „ორივე მბარეს მომრგვალებული“, ხელი — „მსუქანია“, თუნდაც იგი დედოფლის ხელი იყოს. ამ ეპიზოდურ სისტემას ორი უპირატესობა აქვს: ის უადვილებს მკითხველს თავის ამოცანას, რადგან ფორმულები დროს აძლევს მას ლაბირინთის გონებაში შემდგომი სტრიქონი. მსმენელს კი აქვს სასიამოვნო შეგრძნება, რომ ცნობს პოემის ნაწილს, რომელიც არასოდეს მოესმენია. მაგალითად, ორიგინალური პოემის სრული შეფასება პირ-

სურ. 12. „აგამემნონის ნიღაბი“ (მიკენის მეფე).

ველი მოსმენისთანავე ძალიან იშვიათია. ასეთი პოეზიის ნაკლი კი ის არის, რომ იგი მალე ხდება უინტერესო და მოსაწყენი. ჰომეროსი არა მარტო გონიერი მთხრობელი, არამედ მსოფლიოს უდიდესი პოეტიც იყო. მან ზეპირსიტყვიერების ტრადიცია უმაღლეს პოეზიად აქცია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის მის პოემაში მოსაწყენი ად-

გილები. მაგრამ სიუჟეტი, დახასიათებები და აღწერები იმდენად მშვენიერია, რომ ზეპირი შემოქმედების საშუალებანი განსაკუთრებულ ღირსებად იქცევა.

ცხადია, ჰომეროსმა მემკვიდრეობით მიიღო ტექნიკურ საშუალებათა დიდი ნაწილი თავისი უცნობი წინაპრებისაგან. შეიძლება მან მემკვიდრეობით მიიღო თვით თქმულების დიდი ნაწილიც. ამ თქმულებით, რომელსაც ერთი მომღერალი გადასცემდა მეორეს, აიხსნება ჰომეროსის კავშირი მიკენურ ეპოქასთან. არავითარი ჩანაწერები არ გადარჩენილა მიკენური სასახლეებიდან, და თუ გადარჩა, აღარავის შეეძლო მათი წაკითხვა. მიკენური სასახლეების დამწერლობის B-ხაზოვანის საიდუმლოება დაიკარგა.

დამწერლობა მხოლოდ ბუნდოვნად შემორჩა იმდროინდელ ხალხთა მეხსიერებას, მაგრამ მიკენურ სამყაროზე რაღაც აზრმა შეიძლება მიაღწია ჰომეროსამდე და ლექსთა თხზვის ტრადიცია, შესაძლებელია, თვით მიკენის სასახლეებიდან მოდიოდა. ე. წ. „სანახაობათა მოედნები“ კრეტის სასახლეებში ლექსების სამღერლად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ხარების ბრძოლებისათვის. პილოსში აღმოჩენილია ფრესკა, რომელიც გვიჩვენებს კლდეზე ჩამომჯდარ ლირაზე დამკვრელს. იყო თუ არა იგი ჰომეროსის შორეული წინამორბედი?

ბევრი რამ ცხადყოფს იმას, რომ ჰომეროსის პოემებში ასახულია არა მიკენური ეპოქის დასასრული, არამედ მისი ადრეული ფაზა. ერთ-ერთ გმირს „ილიადაში“ აქვს უზარმაზარი ფარი, რომელიც დახასიათებულია, როგორც „კოშკის მსგავსი“. ჰომეროსს ზუსტად აქვს აღწერილი ტახის ეშვიდან აკრილი ძვლის ფილებით დაფარული ჩაჩქანი. ეს ტიპი ცნობილი იყო მიკენური ხანის დასაწყისში, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოვიდა ხმარებიდან XIII საუკუნეში. ერთ-ერთი საოცარი ეპითეტით შეამკეს გმირი: „ალკინოოსის ღვთაებრივი ძლევამოსილება“. სულ არ იყო აუცილებელი გმირს განსაკუთრებული ღვთისმოსაობა გამოეჩინა, რომ ასეთი სახელწოდება დაემსახურებინა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ იგივე ფრაზა (ოღონდ საკუთარი სახელის გარეშე) გვხვდება ვედურ ჰიმნებშიც. შესაძლოა, ორივე ენამ შეინარჩუნა ძველთაძველი გამოთქმა. ამავე დროს, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰომეროსის ენა არის უბრალო, მიკენური ხანიდან მემკვიდრეობით მიღებული. ის ნაწყვეტი, რომელიც ტახის ეშვებით დაფარულ ჩაჩქანს აღწერს, მოგვიანებით წარმოშობილი ენის ელემენტებს შეიცავს.

ტრადიცია ძალიან ცოტას მოგვითხრობს თვით ჰომეროსის შესახებ. ის ამბობს, რომ ჰომეროსი იყო ბრმა. ამ მოსაზრებას, შესაძლოა, სტიმული მისცა „ოდისეაში“ ბრმა მომღერალმა დემოდოკოსმა. მაგრამ რაკი ბრმებს ხშირად არაჩვეულებრივად კარგი მეხსიერება აქვთ, და სწორედ მეხსიერების ამგვარი ნიჭით ჰომეროსი ნამდვილად იყო და-

ჯილდოვებული, შესაძლოა, არის რაღაც ჭეშმარიტება ზემოხსენებულში. ჩვენ არ ვიცით ჰომეროსის მამის სახელი. არადა, სწორედ ეს არის რესპექტაბელურობის ძირითადი ნიშანი, რომელიც ნებისმიერ ბერძენ მოქალაქეს უნდა ჰქონოდა. ამან და, აგრეთვე, მომღერლის უჩვეულო სახელმა სტიმული მისცა ვარაუდს, რომ ჰომეროსი არაკი იყო ბერძნულენოვანი პოეტი, არამედ მან თავისი მშობლიური ენიდან თარგმნის წყალობით გაავრცელა პოეზია ბერძნებში.

პირველი რომაელი პოეტიც ხომ ის ბერძენი იყო, რომელმაც თარგმნა ჰომეროსი ლათინურ ენაზე. ასეთი თეორია შეუთავსებელია ბერძნული ზეპირსიტყვიერების ხანგრძლივ ტრადიციასთან. ჰომეროსის წინაპრები, უეჭველია, ლაპარაკობდნენ ბერძნულად. ყველაზე საკვალო ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, სადაურია ჰომეროსი. შვიდი ქალაქი ჩემულობს ჰომეროსის დაბადების ადგილს და ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ბერძნებს არა აქვთ სანდო ინფორმაცია. პოემების დიალექტიკის მიხედვით, ჰომეროსს უნდა ეცხოვრა იონიაში (ანატოლიის დასავლეთი სანაპიროს ცენტრალური ნაწილი — მთ. შენ.).

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ჰომეროსზე, როგორც ორი პოემის — „ილიადასა" და „ოდისეას" — ავტორზე, მაგრამ ერთი პირი იყო ეს ჰომეროსი თუ ორი? თუმცა ორივე პოემაში წარმოდგენილი მონუმენტური სტრუქტურა, თავისთავად, ერთ შემოქმედზე მიანიშნებს — რაგინდ ბევრი არ უნდა ყოფილიყო მშენებელი, არქიტექტორი იყო ერთი, მაგრამ გაურკვეველია ერთი და იგივე არქიტექტორმა დაგეგმა თუ არა ორივე სტრუქტურა. ზერელედ რომ გადავავლოთ თვალი ამ ორ პოემას, ისინი ერთმანეთთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებდნენ. ხოლო უფრო ღრმად თუ ჩავწვდებით „ილიადასა" და „ოდისეას", მათ შორის შევამჩნევთ განსხვავებებს, ზოგ შემთხვევაში, წარმოუდგენელსაც კი ერთი შემოქმედის ხელწერისათვის. მაგალითად, დამოკიდებულების საოცარი სხვაობაა „ილიადას" სისხლისმღვრელი ომის სიდიადესა და „ოდისეას" მსუბუქ თავგადასავალს შორის. მაგრამ ალბათ, ასეთი პატარა მხარე, თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში, ვერ წარმოშობდა ორ დიდ გენიოსს, ალბათ, მაინც ჰომეროსმა მემკვიდრეობით მიიღო ორი განსხვავებული თქმულება.

გასულ საუკუნეში დამკვიდრდა არქეოლოგიის საშუალებით ლეგენდების „სიმართლის დამტკიცების" ტენდენცია, თუმცა ყველა ლეგენდა არ ემორჩილება ამ მეთოდს. მაგრამ თუკი ჰომეროსთან დამოწმებული ფაქტი ემთხვევა არქეოლოგიურ რელიქტებს, მაშინ მეტია ამ ფაქტის რეალურობის შესაძლებლობა, ოღონდ ჩვენ არ შეგვიძლია შევამოწმოთ მისი მტკიცებანი. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ანალოგია ბიბლიურ არქეოლოგიასთან — ძველ აღთქმაში ნახსენები ქალაქები აღმოჩენილია გათხრების შედეგად. შესაბამისად, ძველი აღთქმის გათ-

ვალისწინებით, დამოწმებულია, თითქოს იერიქონის კედელთა ნანგრევების ნაშთები ადასტურებს, რომ ისინი მოძრავი ტრანსპორტით გამოწვეულმა ვიბრაციამ დაანგრია.

არ არის საკმარისი დასაბუთება იმისა, რომ რამოდენიმე ფაქტი ჰომეროსის პოემებში ზუსტია. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ყოველი წერტილი, სადაც კი შეიძლება ჰომეროსისეული სურათი შემოწმდეს არქეოლოგიის გზით და შემდეგ უნდა ვნახოთ, გააწონასწორებს თუ არა ერთმანეთს მონაცემები.

რაგინდ დიდი არ უნდა ყოფილიყო ჰაინრიხ შლიმანის შეცდომა, იგი, ყოველ შემთხვევაში, იმით მაინც სანდოა, ძველად ტროას სახელით ცნობილი ქალაქი ჰისარლიყთან რომ გააიგივა. ჰ. შლიმანი იყო ბრინჯაოს ხანის ეგეოსური სამყაროს არქეოლოგიური კვლევის პიონერი.

ტროა დასახლებული იყო (ხანმოკლე ინტერვალებით) ძვ. წ. IV ათასწლეულიდან, რადგან თითქმის ცხრა ქალაქის ნაშთები ფენებად ადევს ერთმანეთს. ქალაქის ერთ-ერთი ასეთი ფენა, ცნობილი როგორც ტროა VII—A, თითქოს მტერმა გაანადგურა დაახლოებით ძვ. წ. 1250 წ. ეს თარიღი საკმაოდ კარგად შეესაბამება ჰომეროსისეულ ტროის ომს. თარიღი იმდენად უახლოვდება მიკენური საბერძნეთის საერთო კატასტროფის თარიღს, თითქოს ეს უკვე დადასტურებული ინციდენტი იყოს. მაგრამ ვინც ჰომეროსის რეპუტაციას უფრთხილდება, შეუძლია ეს ჩათვალოს ტროადის ომის დადასტურებად.

მაინც უზარმაზარი განსხვავებაა ლეგენდის შესაბამის დეტალსა და მის დამადასტურებელ სიმართლეს შორის. არქეოლოგიაც ვერ გვეუბნება, თუ ვინ იყვნენ ტროელი სარდლები ან თავდამსხმელები. თუმცა არ არის საჭირო იმდენად გავაცხოველოთ ჩვენი სკეპტიციზმი, რომ მთლიანად უარვყოთ ტროას ომი, ჩემი აზრით, მეტი თავშეკავება გვმართებს ტროას ომის დეტალების — მისი თარიღის, გამომწვევი მიზეზების, ამ ომში მონაწილეთა და ა. შ. — მიმართ. მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჩანს, რომ ოდესმე მეტი გვეცოდინება, მაგრამ ისტორიაში ცუდი წყარო ზოგჯერ უარესია, ვიდრე არავითარი.

ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჰომეროსის სიზუსტე იქ, სადაც გვაქვს დამოუკიდებელი საბუთები. ზოგიერთი ფაქტები დიდი ხანია ცნობილია და აღიარებული. მაგალითად, ჰომეროსის გმირები აღჭურვილნი არიან ბრინჯაოს იარაღით, მაგრამ პოეტი, დროგამოშვებით, ანაქრონისტულად ახსენებს ხოლმე რკინის იარაღსაც. რკინა, რა თქმა უნდა, უცნობი არ იყო ბრინჯაოს ხანაში, მაგრამ არ ჰქონდათ მისი დამუშავების ტექნიკა. ყველაზე საოცარი მაგალითი არის მიცვალებულთა დაკრძალვა. მიკენის მმართველებს მარხავდნენ დიდ საგვარეულო აკლდამებში, ჰომეროსის გმირებს კი წვავდნენ. გაჩნდა მოსაზრება, რომ

მტრის მიწაზე დაბანაკებულ საექსპედიციო ჯარებს შეიძლება შეეცვალათ თავიანთი ჩვეულებრივი ადათ-წესები, და მაინც, ჰომეროსს გადაკვრითაც კი არსად უხსენებია უზარმაზარი წრიული სამარხები, რომლებიც მიკენური სამყაროსათვის, ალბათ, თვალში საცემი თავისებურება უნდა ყოფილიყო. B-ხაზოვანი წარწერების ფირფიტებზე შედარებისათვის მეტ საშუალებას გვაძლევს ოფიციალური წოდებანი, რომლებიც გვხვდება ამ ტექსტებში (hequetas, telestas, lāwāgetas) და არსად იხსენება ჰომეროსთან. იქნებ ეს შემთხვევითობაა, ჰომეროსისეული ლექსის მეტრიკით გამოწვეული; სადაც კი ჰომეროსთან აღრეულია „მეფის" შესატყვისი ორი სიტყვა, წარწერებში ისინი მკვეთრად დიფერენცირებულია: Wanax ნიშნავს „მეფეს", სხვა სიტყვა კი — „მთავარს".

ჰომეროსი რამოდენიმე ნაწყვეტში გვაძლევს ცნობებს სამხრეთ-დასავლეთ პელოპონესის შესახებ. „ილიადას" მე-2 წიგნში, ე. წ. „ხომალდთა კატალოგში", ჩამოთვლილია ცხრა ქალაქი. სია იწყება პილოსით, რომელიც ნესტორს ექვემდებარება. ფირფიტების წარწერებშიც ვხვდებით „ახლო პროვინციის" ცხრა ოლქს, მაგრამ არაა აღნიშნული პილოსის სახელწოდება. იგი განზე დგას გადასახადთა მევალეთაგან. დანარჩენ ცხრა სახელწოდებათაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება ჰომეროსისეულს — ესაა Kyparissēeis, რომელიც შეიძლება იყოს წარწერების ტოპონიმთა ერთ-ერთი ვარიანტი. ერთ-ერთი ჰომეროსისეული სახელი — Helos — დამოწმებულია პილოსის წარწერებში, მაგრამ ეს არის უკვე „შორეული პროვინცია". ამასთანავე, გავითვალისწინოთ, რომ ეს არის რიგითი ბერძნული სიტყვა „ჭაობის" შესაბამისი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ თავს იჩენს შემთხვევითობა და მეტი არაფერი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეფოს ჩრდილო საზღვარი გადიოდა მდინარე ნედას გასწვრივ. ჰომეროსი კი „ილიადაში" საზღვრად მიიჩნევს ალფეოსს, რომელიც 35 კმ-ის მოშორებითაა ჩრდილოეთით. ეს ცნობა არ შეიძლება შეესაბამებოდეს პილოსის იდენტიფიკაციას ენგლიანოსთან. დეტალურად შეიძლება დამტკიცდეს ჩვენი ვარაუდი, რომ ჰომეროსმა დასავლეთ საბერძნეთის გეოგრაფია არ იცოდა. იგი ოდისევსის სამშობლოს — ითაკას — ადგილმდებარეობას აღწერს, მაგრამ მისი გეოგრაფია იმდენად მცდარია, რომ დღევანდელი მეცნიერებიც კი აცდუნა. მათ იმის დასაბუთებაც კი სცადეს, რომ იმდროინდელი ითაკა სულაც არ იყო თანამედროვე ითაკა. მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო მარტივია: ჰომეროსი იყო იონელი ბერძენი, რომელსაც, შესაძლოა, არასოდეს გადაულახავს ეგეოსის ზღვა, რომ არაფერი ვთქვათ საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროზე. ჰომეროსმა იცოდა, რომ მიკენი ამ პერიოდისათვის მთავარი ქალაქი

იყო საბერძნეთში. ამას ადასტურებს დიდებული არქეოლოგიური აღმოჩენებიც; მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომეროსმა არ იცოდა, თუ სად იყო მიკენი — აგამემნონის სამეფო; პოეტის აზრით, იგი არის კორინთოს სრუტის სამხრეთ სანაპიროზე, მაშინ, როცა მიკენი გაცილებით უფრო დასავლეთითაა. იმის ნაცვლად, რომ შევეცადოთ რაიმე აზრი გამოვიტანოთ ჰომეროსის გეოგრაფიიდან, კარგი იქნებოდა, თუ ჩავთვლიდით მას თავისებურ ინფორმაციად იმ შორეული ქვეყნის შესახებ, რომელიც მან, ამ ქვეყნის უნახავად, მეზღვაურთა ნაამბობიდან შეითვისა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გვახსოვდეს, არის ის, რომ ჰომეროსი პოეტი იყო და არა ისტორიკოსი. პოეტური სიმართლე და ისტორიული სინამდვილე ორი, სრულიად სხვადასხვა რამაა. პოეზიის საქმე უცვლელი, მარადიული ღირებულებაა, ისტორიის საქმე კი — ფაქტები და მოვლენები. პოეზიამ შეიძლება თხრობის ფორმა მიიღოს. ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, არის ადამიანის ღირსება, საერთოდ, პოეტის გმირთა დამოკიდებულებაში, რადგან იგი მარადიულია და არის ისეთივე მნიშვნელოვანი დღეს, როგორიც იყო წარსულის ნებისმიერ მომენტში. მეომრის სიკვდილი ან ქალაქის დაცემა შორეულ წარსულში შეიძლება დღეს არაფერს ნიშნავდეს ჩვენთვის, მაგრამ ჰექტორისა და ტროას ტრაგედია ჯერ კიდევ აღძრავს ემოციებს. ისტორიული ფაქტების ძებნა ჰომეროსთან ისეთივე ამაოა, როგორც მიკენის ფირფიტებზე პოეზიის ძიება. ისინი სხვადასხვა სამყაროებს მიეკუთვნებიან.

თავი XI

მიკენური სამყაროს აღსასრული

კნოსოსი

თავისთავად ცხადია, რომ მიკენური სასახლეების განადგურების პერიოდისათვის დაკარგული დოკუმენტები ვერაფერს გვეტყვიან შემდგომ მომხდარი ამბების შესახებ. უბედურება კნოსოსში მოხდა ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისში. ეს იყო ჩვენთვის ცნობილი პირველი კატასტროფა. სასახლე გაანადგურა ცეცხლმა და იგი იმავე სახით უკვე აღარ აღუდგენიათ. სხვა სასახლეები დაეცა, როგორც ჩანს, ძვ. წ. XIII საუკუნის ბოლოს, მაგრამ ვერც კატასტროფების ზუსტი თარიღი, ვერც მათი თანმიმდევრობა ვერ დადგინდა. მიკენის აღმოჩენების მიხედვით, ნაგებობათა პირველი ნგრევა მასიური კედლის მიღმა საუკუნის შუა წლებში უნდა დაწყებულიყო. არქეოლოგების მუდმივი ცდები, დაექვემდებარებინათ ეს თარიღი საბერძნეთის კონტინენტის კატასტროფათა თარიღისათვის, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ალბათ, განპირობებულია იმ რწმენით, რომ ტროას ომი დათარიღებულია ამავე საუკუნის შუა წლებით.

მაგრამ მომდევნო მოვლენები ხშირად ჩრდილავენ ხოლმე წინა მოვლენებს: აყვავებული, კარგად ორგანიზებული წყობა, ჩვეულებრივ, ერთი ღამის განმავლობაში არ ინგრევა. დოკუმენტების მიხედვით, კნოსოსს, სანახევროდ, გაელილი ჰქონდა სრულიად ჩვეულებრივი წელიწადი, როდესაც უეცრად თავს დაატყდა კატასტროფა. თუმცა ეს არის სამეურნეო დოკუმენტებიდან გამომდინარე თარიღი. ეს თარიღი არ შეესაბამება ევანსის დასკვნას, რომ სასახლე დაინგრა გაზაფხულზე. იმ დროს ძლიერი სამხრეთული ქარი მძვინვარებდა. ჩრდილოეთ მხარეს ქვის წყება ჩაშავებულია კვამლით. ასეთი ქარები, საბერძნეთის მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციების მიხედვით, კრეტაზე დეკემბრიდან აპრილამდე იცის, გამორიცხული არაა მაის-ივნისიც.

ჩანაწერებში გვხვდება სანელებლები, როგორიცაა მიხაკი, და ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ კატასტროფა მომხდარა შემო-

დგომაზე. მაგრამ თუ ეს ასეა. რატომ არსად არის მოხსენიებული ჩანაწერებში რთველი?

თარიღი შეიძლებოდა დაგვეზუსტებინა მიკენურ კალენდართან შესაბამისობების მიხედვით, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე ჩანაწერში გვხვდება თვეების სახელწოდებები, ისიც მხოლოდ რელიგიურ მსხვერპლთშეწირვასთან დაკავშირებით. ეს იქნებ იმიტომ, რომ არქივებში დამოწმებული თითქმის ყველა საქმიანობა რეგულარულად მეორდებოდა ყოველწლიურად. ერთსა და იმავე დროს, და ამიტომაც აღარ იყო აუცილებელი საგანგებოდ გამოეყოთ თარიღი. წარწერები ფირფიტებზე გვიდასტურებს, რომ კნოსოსში ცხოვრება შეწყვეტილა, უკიდურეს შემთხვევაში, მეშვიდე თვეს. ამან წამოჭრა საკმაოდ უხერხული კითხვა: საიდან იწყებდნენ მიკენელები კალენდარულ წელიწადს? მიკენური წელიწადი, ალბათ, იწყებოდა ასტრონომიულად განსაზღვრული ოთხი წერტილიდან — ნაბუნიობებიდან და ბუნიობებიდან. კლასიკური პერიოდის საბერძნეთის პრაქტიკა, ამ შემთხვევაში, ბევრს ვერაფერს გვიშველის, რადგან სხვადასხვა ქალაქებს ჰქონდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული კალენდარი. თუ კნოსოსს ჰქონდა კალენდარი, რომელიც იწყებოდა შემოდგომის ბუნიობისას, მაშინ უნდა ავხსნათ, რატომ არ არის წარწერებში მოხსენიებული რთველი და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სხვა საშემოდგომო მოვლენები. მაგრამ პილოსის ცნობები უფრო ზამთრის ნაბუნიობაზე მიგვითითებს. ეს არის გამოსავალი ამ დილემიდან. ერთ-ერთ ფირფიტაზე აღნიშნულია ჯერჯერობით უცნობი თვის სახელი. თვის სახელი სრულიად განსხვავდება სხვებისაგან ფორმითა და მოყვანილობით. შეიძლება ეს იყოს კალენდარული წლის ბოლო თვის ჩანაწერების შეჯამება, მომზადებული და აღრიცხული ზამთრის დიდი ანგარიშსწორებისათვის, მაშინ, როცა დანარჩენები აღარ შეინახეს. თუ ეს ასეა, კატასტროფა შეიძლებოდა დაგვეთარიღებინა მეექვსე თვით. ეს ჩვენს ივნისს შეესაბამება და ამ პერიოდში სამხრეთის ქარებიც ჯერ კიდევ შესაძლებელია.

XIV საუკუნის კატასტროფის მიზეზის ასახსნელად ევანსი აცდუნა „მიწისძვრის თეორიამ". ისეთ სეისმურ ზონაში, სადაც მდებარეობს კრეტა, მიწისძვრები ხშირია და არ არის საშუალება დავაზუსტოთ ისინი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. ერთადერთი ხელშესახები საბუთი ამ შემთხვევაში არის ქვისწყობის დიდი გადაადგილებები, რაც მოსალოდნელი არ არის ხანძრის შემთხვევაში. ამ პერიოდში, კნოსოსის შემთხვევაში, არავითარი ასეთი აშკარა მონაცემები არ დასტურდება, თუმცა ამის შესაძლებლობა გამორიცხული არ

მაგრამ, როცა აყვავებული საზოგადოება დიდ მიწისძვრას განიცდის, მისი დაუყოვნებლივი რეაქციაა ხელახლა გაშენება. ასეც მოხდა ადრე კნოსოსში. დამოწმებულია მოვლენათა იგივე თანმიმდევრობა ისეთ ადგილებში, როგორიცაა თერა ან ტროა. მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს საბუთი, რომ ამ ნგრევის შემდეგ ხელახალი შენება დაწყებულა.

კნოსოსის ფირფიტები ერთ მნიშვნელოვან გასაღებს გვთავაზობს. წარწერების მიხედვით ჩანს შემდეგი: სამეფოს ადმინისტრაცია ცდილობდა კონტროლი გაეწია ათასობით ადამიანის საქმიანობისათვის არა მხოლოდ ახლომახლო არემარეში, არამედ 70 კილომეტრსა და მეტ ნანძილზე. ყველაზე შორეული პუნქტი, რომელიც კი დამოწმებულია დოკუმენტებში, ესაა Kudōnia — დაახლოებით 150 კილომეტრის მოშორებით კნოსოსიდან. ცხადია, ფესტოსის ადგილობრივ მმართველს (ფესტოსი 50 კმ-ით არის დაშორებული) ჰქონდა უმნიშვნელო ავტონომია. იგი იძულებული იყო დეტალურად მოეხსენებინა კნოსოსისათვის თავისი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და სამრეწველო საქმიანობის შესახებ. ადვილი დასაჯერებელია რომ მმართველობა მეტისმეტად ცენტრალიზებული იყო და ეს იწვევდა უკმაყოფილებას შორეულ კონტროლს დაქვემდებარებულ ქალაქებში. კრეტა ბუნებრივად არის ცალკეულ რაიონებად დაყოფილი. და ფაქტი, რომ მინოსურ პერიოდში არსებობდა ხუთი ძირითადი სასახლე თავისი ადმინისტრაციული ჩანაწერებით, ცხადყოფს შემდეგს: რაოდენ მნიშვნელოვანი არ უნდა ყოფილიყო კნოსოსის ჰეგემონია ბერძნების ჩამოსვლამდე, ადგილობრივ მმართველებს ჰქონდათ საკმაოდ დიდი ავტონომია. კრეტელები დღესაც არაკეთილმოსურნედ არიან განწყობილნი იმ კონტროლისადმი, რომელსაც ახორციელებს კუნძულის მიმართ ათენის ნაციონალური მთავრობა.

თავისთავად საინტერესოა ფაქტი, რომ ურთიერთდამოკიდებულებანი გრძელდება უძველესი დროიდან დღემდე და მაინც, უნდა ვაღიაროთ, რომ არა გვაქვს ნათელი საბუთი, თუ რამ გამოიწვია კატასტროფა კრეტაზე და მისი გამომწვევი მიზეზები ჩვენთვის დიდხანს დარჩება უცნობი. ამის გასარკვევად უნდა ვიცოდეთ ზუსტად, თუ რა ადგილები იყო დასახლებული ძვ. წ. XIV საუკუნის მეორე ნახევარში და XIII საუკუნეში, და თუ რა სახის საქმიანობა გრძელდებოდა შემდგომ. ჯერჯერობით, წერილობითი მონაცემები ძალიან უმნიშვნელოა; თუმცა B-ხაზოვანი წარწერები შიგადაშიგ გეხვდება კერამიკულ ნახელავებზე, მაგრამ B-ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული ფირფიტების კვალი, კნოსოსის გარდა, აღარსად ჩანს. ნუთუ კრეტა დაიშალა ისეთ მცირე სახელმწიფოებად, რომ წერილობითი ან-

ბარიშების აუცილებლობა გამქრალა? თუ მათი არარსებობა უბრალო შემთხვევითობაა?

ჩემი აზრით, კნოსოსის სასახლის დანგრევის შემდეგ, კრეტის ბერძნულენოვანმა მოსახლეობამ დააარსა ბევრად უფრო მომცრო ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც საუკუნეთა შემდეგ აღმოცენდნენ კლასიკური ხანის პატარა-პატარა ქალაქ-სახელმწიფოებად. მაგალითად, ქალაქი ტილისოსი, რომელიც ექვემდებარებოდა მიკენურ კნოსოსს.

პილოსი

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა პილოსში. აქ ჩვენ შეგვიძლია მივაგნოთ იმ სახიფათო სიტუაციის აშკარა დამამტკიცებელ საბუთს, რის წინაშეც მეფე იდგა. მიკენიდან და თებედან კი კვლავაც ძალზე მცირე რაოდენობით გვაქვს საბუთები. და ეს გვაბრკოლებს ანალოგიური დასკვნა გამოვიტანოთ.

წელიწადის ის დრო, როდესაც დაეცა პილოსი, კნოსოსის დაცემის დროზე უფრო ადვილი მისახვედრია. არსებული დოკუმენტური ცნობები მიგვანიშნებს წლის დასაწყისზე. კალენდარიც, თითქოს, გვიმოწმებს ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ სახელს — Sphagiāniēs — ახლავს თვის აღმნიშვნელი სიტყვა. ეს, ალბათ, ის თვეა, როცა Sphagiāniēs-ში დიდი დღესასწაული ტარდებოდა. კლასიკური თვეებიც ანალოგიურად იწარმოება, ტოპონიმების მიხედვით. მაგრამ პილოსის წარწერებში არის ორი სიტყვა, რომლებიც კონტექსტის მიხედვით თვეების სახელები უნდა იყოს, ერთი უნდა შეესაბამებოდეს შემოდგომის დასაწყისს, მეორე — ადრეულ გაზაფხულს. დოკუმენტი, სადაც ამ უკანასკნელი თვის სახელი გვხვდება, ადვილი შესაძლებელია, სასახლის უკანასკნელი დღეების წინ არის შედგენილი. მაშასადამე, პილოსის კატასტროფა მომხდარა ადრე გაზაფხულზე. საგულისხმოა, რომ პილოსი მოელოდა თავდასხმას ზღვიდან. უპირველეს ყოვლისა, ეჭვი შეიძლება მივიტანოთ ე. წ. „ზღვის ხალხებზე", მაგრამ მათ დასადანაშაულებლად არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს. თუმცა ბრინჯაოს წარმოების დოკუმენტაციით მოწოდებული საქმის ვითარება უეჭველად გვიდასტურებს იმ აზრს, რომ ზღვები ამ პერიოდისათვის სახიფათო გამხდარა. მრეწველობა, ესოდენ დამოკიდებული ზღვაოსნობაზე, უნდა ყოფილიყო საზღვაო ანარქიის პირველი მსხვერპლი.

დასკვნა

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ვითარება, ფაქტი რჩება ფაქ-ტად — ერთიმეორეზე მიყოლებით, მიკენური დასახლებები დაემხო და გადაიწვა. მთელ საბერძნეთში დამყარებული წყობილება, რომელ-მაც სამ საუკუნეზე მეტ ხანს გაძლო, დასასრულს უახლოვდებოდა. ამას მოჰყვა მოსახლეობის შემცირება. არ არის ცნობილი ომის, შავი ჭირის თუ შიმშილიანობის შედეგი იყო ყოველივე ეს. არც ერთის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. რის კარპენტერის (1966 წ.) თეორია, რომ მიკენური საბერძნეთის დანგრევა გამოწვეული იყო კლიმატური ცვლილებებით, არის მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრება, და მას ეწინააღმდეგება პალეობოტანიკის საბუთები. ამ თეორიის ყველაზე სუსტი მხარე არის ვარაუდი, რომ ძვ. წ. XII საუკუნეში აყვავებულ ისეთ მხარეებში, როგორიცაა, მაგალითად, ატიკა, კლიმატი ერთბაშად შეიცვალა და უფრო ნალექიანი გახდა.

თითქმის ტრადიციად იქცა მიკენის ტრაგედიაში დორიელები დაადანაშაულონ. დორიელები მხოლოდ მოგვიანო ხანაში გაბატონდნენ საბერძნეთის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში. მათ შეინარჩუნეს ტრადიციული მტრობა იონელებისადმი, რომლებიც გაბატონებული ხალხები იყვნენ ეგეოსურ ცენტრში. ამ მტრობამ აპოგეას მიაღწია ძვ. წ. V საუკუნის ოცდაშვიდწლიან ომში. თუმცა, ცხადია, დორიელებმა სარგებელი ნახეს მიკენის განადგურებით, ამიტომ, ბუნებრივია, ისინი დაედანაშაულებინათ ამ საქმეში, მაგრამ მთავარ სირთულეს განაპირობებს კვლავ ერთადერთი რამ: არქეოლოგიურად არ დასტურდება დორიელთა თავდასხმები. თანდათანობით, უსაფუძვლო აღმოჩნდა ყველა არსებითი სიახლე, რომელიც კი დორიელებს დაუკავშირეს.

ტრადიციული აზრია, რომ დორიელები კლასიკურ პერიოდში მათ სამშობლოდ აღიარებული ტერიტორიების ასათვისებლად დაიძრნენ სამხრეთისაკენ. უეჭველია, ამ პერიოდში იყო მოსახლეობის დიდი გადანაცვლება. მაგრამ სად იყვნენ დორიელები მიკენურ პერიოდში? და რატომ კმაყოფილდებოდნენ ისინი მხოლოდ ლოდინით, ვიდრე თავდასხმისათვის დრო არ მომწიფდა?

XI საუკუნიდან VIII საუკუნემდე პერიოდი, უეჭველად, ითვლება საბერძნეთის „ბნელ წლებად“, რომელთა შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად ვართ ინფორმირებული. ჩვენს ხელთაა მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო მონაცემები მარტივი სამარხებიდან. არა მგონია, „ბნელი წლები“ სრულიად ბუნდოვანი დარჩეს. უკვე გამოიკვეთა წყვდიადში რაღაც კონტურები, მაგრამ ეს არ არის ჩვენი წიგნის თემა.

გარკვეულმა თანმიმდევრობამ შესაძლებელი გახადა ფრაგმენტულად მაინც ჩამოგვეყალიბებინა ზოგიერთი ამბავი მიკენური საბერძნეთის სიდიადის დღეებიდან იმ პერიოდამდე, როცა ისინი უდიდესმა პოეტმა ორი დიდი პოემის საფუძვლად გამოიყენა. მაგრამ დროის ამ ინტერვალზე რეალური ინფორმაცია, ფაქტობრივად, არის მკვდარი ინფორმაცია და საბუთები, რომლებიც ამ წიგნს საფუძვლად დაედო, ჯერ კიდევ მოელის აღორძინებას ჩვ. წ. XX საუკუნეში.

შინაარსი

მთარგმნელის წინასიტყვაობა . . 3

თავი I

საბერძნეთის ელინიზაცია 8

თავი II.

დოკუმენტური მასალები 22

თავი III.

მიკენური გეოგრაფია . 29

მესენია . . . 29

კრეტა 35

თავი IV

მოსახლეობა ფირფიტების ცნობების მიხედვით 41

თავი V

სოციალური სტრუქტურა და ადმინისტრაციული სისტემა 47

ადგილობრივი მმართველობა 51

დაბალი კლასები 56

თავი VI

რელიგია . . 60

თავი VII

სოფლის მეურნეობა 72

მარცვლეული . 75

სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები . 81

შინაური ცხოველები . . . 83

თავი VIII

ხელოსნობა, მრეწველობა და ვაჭრობა . . . 86

ლითონები 89

ავეჯი 93
ქსოვილები 94
სელი 96
ვაჭრობა 97
თ ა ვ ი IX
საბრძოლო იარაღები და ომი 99
ჯავშანი 100
ეტლები 102
იარაღი 104
სამხედრო ორგანიზაცია 105
თ ა ვ ი X
ჰომეროსი, ფსევდო-ისტორიკოსი 111
თ ა ვ ი XI.
მიკენური სამყაროს აღსასრული 119
კნოსოსი 119
პილოსი 122
დ ა ს კ ვ ნ ა 123

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის,
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4174

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი მ. გ ი ო რ გ ა ძ ე
კორექტორი ნ. მ ა ჩ ა ი ძ ე
გამომშვები ე. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 21.11.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.2.1989,
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ეენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 8.0;
პირ. საღ.-გატ. 8.5; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.59;
ტირაჟი 30000; შეკვეთა № 3598;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Дж. Чедвик

МИКЕНСКИЙ МИР

ПЕРЕВОД, ПРЕДИСЛОВИЕ И ПРИМЕЧАНИЯ
Т. Э. БУАЧИДЗЕ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1989

I. CHADWICK

THE MYCENAEAN WORLD

Translated in to georgian by
T. Buachidze

TBILISI
„METSNIEREBA"
1989